

შესავალი 1

რამდენადაც აფუფუნებს კაცი ხორცს, იმდენად უფრო განაძლიერებს მის ხრწნილებას: მრავალი ვნება დაეუფლება და დაატყვევებს მას. მოკლე გზა ამ ბოროტისაგან ხსნისა არის ჭეშმარიტი გულისხმის-ყოფით სიყვარული ღვთისა, უარყოფა ხორცისა და სოფლის სიყვარულისა. როცა ამ გულის-თქმას, ჭირის შიშსა და სოფლის სიყვარულს განვიშორებთ, მაშინ მივადწევთ ღვთის მეცნიერებას.

ვისაც ხორციელი გემოთმოყვარეობა არა სწადია და ჭირის არ ეშინია, იგი უვნებელი იქნება და მოკლული იქნება დედა ყოვლისა ბოროტებისა.

ემმაკმა არ იცის კაცის გულში არის ქრისტე თუ არა. როცა ნახავს კაცს უჯეროდ მრისხანეს, ან მაგინებელს, ცრულ მოფიცარს, განცხრომის მოყვარეს, ლოცვაზე ზარმაცს, ან ბილწი საქმის მოქმედს, ამით ცნობს, რომ მის სულში აღარ არის მისი მცველი და განმანათლებელი ღმერთი; მაშინ როგორც მპარავი, შეეპარება და გაანადგურებს მის სულს.

ეკრძაღე, რომ უღირსად არ უწოდო მამად ღმერთს. სიწმიდე შვილისა დიდებაა მამისა, და მსახურის შიში პატივი თავისი უფლისა.

რომელნიც განშორებულნი არიან ყოველგვარი სოფლის ზრუნვისა და შფოთისგან, და უზრუნველი გონებით, უშფოთველი დაყუდებითა და მიუდრეკელი გონებით დღედაღამ მსახურებენ უფალს სამარადისო ლოცვით, განწმენდილი და დაუფანტველი გონებით, მხურვალე ცრემლით, მდაბალი გულით, შიშით, სრული სიყვარულით და გონების მუდამ ღმერთთან ქონებით და შეითვისებენ სიწმიდეს, სიმართლეს, სიბრძნეს, სიმხნეს, მარხვას, მოწყალებას, სიკვდილის ხსენებას, განკითხვის დღეს, სასუფეველისათვის წვრთნასა, ჯოჯოხეთის სატანჯველის შიშს, ღვთის დიდებასა და სხვა სათნოებებს, აი ესენი არიან სულითა და ჭეშმარიტებით თაყვანისმცემელნი ღვთისა, ვითარცა სთქვა უფალმან.

ვინც სცოდავს, შეინანებს და ისევ მიუბრუნდება იმავე ცოდვას, მისი სინანული უნაყოფო იქნება, მეტადრე თუ იმავე ცოდვაში მოკვდა.

თუ მართალი სიმართლეს გადაუდგა, ცოდვისაკენ მიიქცია და ისე მოკვდა, ნამოქმედარი სიმართლე ვედარ იხსნის, და თუ ურჯულო მოიქცა და ღვთის მცნება აღასრულა, იგი ცხონდებაო, ბრძანა უფალმა.

ვისაც კეთილ საქმეში წარემართა და ისევ პირველსავე ცოდვას დაუბრუნდა, მას არა თუ შრომის სასყიდელი დაეკარგება, არამედ უფრო სასჯელის ღირსი შეიქნება, რადგან კეთილის გემო იხილა და მერმე კვლავ შეურაცხჴყო იგი.

როგორც ღრმა ორმოში ჩავარდნილი კაცი თავისთავად ვერ ამოვა, ისე ცოდვაში ჩავარდნილისათვის საჭიროა სულიერ კაცთა შემწეობა.

უღირსად ზიარების მიღება არა თუ მარტო სულის დასასჯელი, არამედ ხორციელი სენისა და სიკვდილის მომასწავებელი იქნება.

ზოგი წელიწადში ერთხელ ეზიარება, ზოგი ორჯერ და უფრო მეტჯერაც. რომელი უფრო საქებია? არც ერთი! საქებია მხოლოდ ის, რომელიც ღირსებითა და განწმედილი გულით ეზიარება.

უღირსმა და ცოდვით შებღალულმა შეუწინებლად ერთხელაც ვერ უნდა გაბედოს წმიდა საიდუმლოს მიღება, რომ უფრო არ დაისაჯოს.

ბევრი ჭამა და ღვინის სმა შეაგინებს კაცს, გულისთქმას ალუგზნებს და ვნებას აულორძინებს.

ეცადე ჭამა-სმის უფალი იყო და არა მონა.

ვინც ხორცს არ ჭამს და სხვა საჭმელს გადამეტებულად მიიღებს, ღვინოს უზომოდ სვამს და ხორცს აპოხიერებს, უსარგებლოა მისი მარხვა.

ჭეშმარიტი მარხვა არის ყოველგვარი სანოვაგის კრძალვით მიღება, უფრო კი - ღვინისა, ამასთანავე განშორება ყოველგვარი ვნებისა, გულისწყრომისა, გულის-თქმისა, ძვირის-ზრახვისა, ტყუილისა, ცრუ ფიცისა, განცხრომისა და სხვა ყოველგვარი ბოროტებისაგან.

რა არის კეთილი და მშვენიერი? ძმათა ერთად დამკვიდრება (ფს. 132,1).

უფრო მშვენიერია ძმათა ერთობა ერთი სარწმუნოებით, კეთილი საქმითა და ღვთის მსახურებით შეზავებული.

ძმაო, თუ ცოდვაში ჩავარდი, სასოებას ნუ წარიკვეთ; თქვი: კაცთმოყვარეა ღმერთი და ჰსურს ცოდვილის მოქცევა და ცხოვრება.

კაცის დაცემა ისეთი ბოროტება არ არის, როგორც დაცემა და არ ადგომა.

ვის შეუძლია დაიქადოს, წმიდა ვარ გულითა, ან გაბედავს თქმას, უბრალო ვარ ცოდვათაგანო?!

`ცოდვისათვის მცირედ შევაწუხე, და ვიხილე, შეწუხდა და ვიდოდა მჭმუნვარედ, და განვკურნე წყლულებანი მისნიო~, ბრძანა უფალმან წინასწარმეტყველის პირით.

ვინც ცნობს თავის ცოდვას, მოინანიებს და მოიძულეებს აღსარებით, იგი მოიპოვებს განსვენებას და აღარ დაისჯება არც ამ სოფელში და არც იქ.

`მაშინ ორნი ფეკიდენ წისქვილსა, ერთი წარიტაცოს და ერთი დაეტეოსო~, თქმულია სახარებაში. წისქვილად იგულისხმება ამ საწუთროს ცხოვრება, რომელიც დაუდგრომლად ბრუნავს მძაფრად მოტრიალე წისქვილივით, მსწრაფლ აბრუნებს და სცვლის ჩვენს საქმეს. ორნი მეფეკილენი არიან: მოღვაწენი და კეთილ-მოქმედნი, ერთნი საუკუნო ცხოვრებისათვის, და მეორენი, კაცთა საჩვენებლად და მათგან ქების

მისაღებად. განკითხვის დღეს, ღვთისა და საუკუნო ცხოვრებისათვის, მოღვაწენი ღრუბლით აღიტაცებიან საუკუნო ცხოვრებისათვის და კაცთა საჩვენებლად მომქმედნი კი, ქვეყნიერ სულთქმასა და საღმრთოებაში დაშთებთან.

ანგელოზნი განუწყვეტელი ქებით ასრულებენ ღვთის სამსახურს და ჩვენგანაც ამასვე ითხოვს უფალი.

ჩვენ ჩვენს მოყვასს კაცებს კი არ უნდა ვურისხდებოდეთ, არამედ უნდა ვურისხდებოდეთ ჩვენს უხილავ მტრებს.

ვინც შეიქმნება ღირსი, რომ ქრისტე მის გულში სადგურობდეს, იგი ნაკლულევანი აღარ იქნება არც სულიერი და არც ხორციელი საზრდოსაგან.

ვისწრაფოთ წესიერად ლოცვის აღსრულება და საქმით ვაჩვენოთ, რომ მხოლოდ სულიერი ცხოვრების ძლიერად მაძიებელნი ვართ.

საუკუნო და განმაცხოველებელი პურის სურვილით მეძიებელი ამ საწუთროში გონებას აღარ გაართობს, მწუხარება აღარ დაამკმუნვარებს, მის შემაწუხებელზე მვირს აღარ მოიხსენიებს და გულმოდგინედ მიუტევებს ბრალს.

როგორც ყოვლად სახიერი ღმერთი საუკუნო ცხოვრების მიმნიჭებელია მისი მოყვარებისათვის, ისე ეშმაკი - სიკვდილისა და ჯოჯოხეთის მიმგებელია მის მორჩილთათვის.

ამ სოფელში კაცი მთავარი ან მეფე რომ გახდება, პირველად დიდი სიხარული გაუჩნდება, მაგრამ შემდეგ თანდათან დააკლდება, რადგან ამ ერთმხრივ სიხარულს მეორე მხრივ ურვა და მწუხარება მოსდევს; საუკუნო ცხოვრებაში კი - სიხარული არა თუ მოაკლდება, არამედ, უფრო და უფრო მოემატება.

ამ სოფელშივე კაცმა მეფე რომ ნახოს ყვავილოვან ველზე დაბანაკებული სხვადასხვა ფერი ოქრო-ქსოვილი კარვებით, გაუკვირდება და იქიდან განშორება აღარ მოუნდება. რაღა უნდა ვთქვა ზეციური სამყოფელის მშვენიერებაზე, სადაც მკვიდრობენ წმიდანნი და მზეზე უფრო ბრწყინავენ?

კითხვა საღმრთო წერილისა წინააღუდგება ბოროტსა და ამაო გულისთქმას, გონებას განანათლებს და ასწავლის წვრთნას საღმრთო საქმისას.

მღვიძარება და მარხვა აუძღურებს ვნებას, გულისთქმას, გულისწყრომასა და მწუხარებას.

უდებობისა და დახსნილობის გამო მოღვაწეს მოაკლდება მეცნიერება და საღმრთო გულისხმის-ყოფა.

ვინც უგუნურებას იქმს, ანუ ძმას განურისხდება მისი უგუნურებისამებრ, იგი მსგავსია ეშმაკისა.

ვინც შფოთისა და მრისხანების დროს სულგრძელებასა და მოთმინებას იქონიებს და იტყვის საღმრთო წერილისამებრ: `დასცხერ რისხვისაგანო,~ მით იგი უგუნურს აღარ მიუგებს მისი უგუნურებისამებრ.

როგორც დასაბამი ნაყოფისა არის ყვავილი, ისე დასაბამი მოღვაწეობისა არის მარხვა.

რომელიც სძლევს მუცელს, იგი მოაუძღურებს ვნებას, და რომელიც ჭამისაგან იძლევა, იგი აღაღორძინებს ბოროტ გულისთქმას.

როგორც ბევრი შემა ცეცხლს ალაგზნებს, ისე ბევრი ჭამა-სმა ალაგზნებს ბოროტ გულისთქმასა.

როგორც სამსონ ძლიერმა ყბის ძვლით მოსწყვიდა მრავალი ერი, ისე საჭმელ-სასმელის მოკლებით მოსწყდება ყოველი ვნება.

ჭამადის გულისთქმამ შვა ურჩება ღვთისა და ჭამადის გემოს ხილვით გამოვარდა ადამი სამოთხიდან.

შესავალი 2

მრავალგვარი სანოვაგე სასას ახარებს, მაგრამ მისგან ნაშობი გულისთქმა ზრდის დაუძინებელს მატლსა.

ნაკლულევანი მუცელი გონებას ფრთხილსა ჰყოფს და მღვიძარებაში შემწეა, ბევრი საჭმელი კი, ძილსა ჰგვრის ადამიანს.

პოხიერი საჭმელ-სასმელი გულს აბნელებს და ვნებაში ნთქავს ადამიანს (ზომიერი კი სასარგებლოა).

ლოცვა მმარხველისათვის - მართვია მაღლა მფრენი არწივისა.

ნაყროვანებითა და ჭამადით დამძიმებული ადამიანი ქვე ძვრება, როგორც ორბი მძორის მჭამელი.

როგორც ხშირი ღრუბლის აღმური ფარავს მზის ბრწყინვალებასა, ისე ჭამადის სიმძიმე აბნელებს გონებას.

როგორც ბნელი სარკე ვერ აჩვენებს პირი-სახეს, ისე გონება, ბევრი ჭამით დამძიმებული, საღმრთო გულისხმის-ყოფას ვერ შეითვისებს.

როგორც კორდი მიწა აღმომაცენებელია ეკალისა, ისე ნაყროვანი კაცის გონება შემკრებელია ბილწთა გულის-თქმათა.

როგორც მწვირეში არ მოიპოვება ნელსაცხებელი, ისე ნაყროვანის გულში არ დამკვიდრდება წვრთა სულიერის ხედვისა.

ნაყროვანის თვალნი გამოიკვლევენ სტუმრობა-წვეულებას, ხოლო მმარხველის თვალნი კი ეძიებენ ბრძენთა და ღვთისმოყვარეთა შესაკრებელს.

წმიდათა ხსენებით (დღესასწაულით) იხარებს ნაყროვანის გული, რომ ტაბლა დაიგოს მრავალი სანოვაგით, მმარხველი კი მოსწრაფეა მიბაძოს მათს ცხოვრებას.

მშიშარა და უგულო მხედარი ძრწის, როცა ესმის ბრძოლის მაუწყებელი საყვირის ხმა - ეგრეთვე ნაყროვანი მწუხარეა, როცა ესმის განგება მარხვისა.

ნაყროვანი მონაზონი თანამდებია მუცლის ხარკის მიცემისა, მმარხველი კი მსწრაფლ მისწვდება უვნებელ ცხოვრებას.

როგორც მცონარი მოგზაური ვერ მივა თავისს სადგურში და ცის ქვეშ დაბინავდება, ეგრეთვე ნაყროვანი მონაზონი ვერ მოიგებს უვნებლობის საყოფელს.

როგორც საკმევლის კვამლი ჰაერს განასუნელებს, აგრეთვე მმარხველის ლოცვაც წარემართება ღვთის წინაშე.

თუ დანებდი ჭამადის გულისთქმას, აღარაფერი გეყოფა გემოს დასაკმაყოფილებლად.

ჭამადთა გულისთქმა მსგავსია მარადის მოტყინარე ცეცხლისა, რომელიც ვერ გაძლება საწვავ ნივთთაგან.

ზომიერი ჭამა აღავსებს მუცელს წესიერი კაცისას, ხოლო ნაყროვანი არ იტყვის - საკმარისი არისო.

მოსეს მიერ ხელის განპყრობამ განსდევნა ამაღეკი, ხოლო მაღლი მარხვისა დაიმორჩილებს ვნებათა.

როგორც მკვდარი მებრძოლი ვეღარ შეაშინებს კაცს, ისე მარხვისაგან მოკვდინებული ხორცი ვეღარ შეაშფოთებს შენს სულს.

მმარხველის გულს ვერ შეეხება ბილწი გულისთქმა, თვინიერ ამპარტავნებისა.

როგორც პოხიერი მიწა აღმოაცენებს თივას, ასევე მრავალი საჭმლით განპოხილი ხორცისგან, იშვებიან ვნებანი.

დაშრეტილი ცეცხლი აღინთება ფიჩხის დართვით, დამცხრალი გულისთქმაც განახლდება მრავალი ჭამადით.

წესიერის მარხვისათვის ხორცს ნუ შეიბრალებ და ნურც განასუქებ მრავალის სანოვაგით, რომ არ გაგიჩნდეს დიდი ბრძოლა და არ წარიტყვევნოს სული შენი.

როგორც კარგად გაწვრთნილი ცხენი არ დასცემს მხედარს, ემორჩილება ადვირს და მასზე მჯდომარესა, ასევე მარხვითა და მღვიძარებით გაწრთვნილი ხორცი ემორჩილება სულიერ განზრახვათა.

როცა გული გეტყვის უშრომლად და უმარხვოდაც შესაძლებელია სათნოების მოგება და საუკუნო ცხოვრებაში შესლვაო, მიუგე სიტყვა სახარებიდან: `შევედით იწროისაგან ბჭისა, რამეთუ ვრცელ არს ბჭე და ფართო არს გზაბ, რომელ მიჰყავს წარსაწყმედელად, და მრავალნი ვლენან მას ზედა, ხოლო იწრო არს ბჭე და საჭირველი გზა, რომელ მიიყვანებს ცხოვრებად და მცირედნი არიან მავალნი მას შინა~ (მათ. 7,13).

როცა გული გეუბნება, რა სასარგებლოა მარხვა, არც სიწმიდის მოგებას შეეწევაო, მიუგე სიტყვა მოციქულისა: `ყოველი მოღვაწე მარადის იმარხავენ და ყოველსა მოითმენ, მათ სამე გახრწნადი გვირგვინი მიიღეს, ხოლო ჩვენ უხრწნელი. მე უკვე აწ ეგრე ვჰრბი, ვითარცა არა უჩინოდ, ეგრეთვე ვიჭირვი, ვითარცა არა ჰაერსა ვსცემ, ალვიკრძალავ ხორცთა ჩემთა შრომითა და დავამონებ, ნუ უკვე სხვათა ვუქადაგებდე და მე გამოუცდელ ვიყო~ (კორ. 9, 26-27).

როცა გული დღესასწაულებზე ხორცის ჭამასა და ღვინის სმას გვამალებს, და მიზეზად ხორცის სიუძლურე მოჰყავს, მიუგე სიტყვა გამოსლვათაგან: `და დასჯდა ერი ჭამად და სუმად და აღდგეს სიმღერად და უზორეს (მსხვერპლი შესწირეს) ბელფეგორს~ (გამოსლვათა 32, 6). ეგრეთვე სიტყვა ფსალმუნისა: `და ჭამეს და განძღეს ფრიად და გულისთქუმაბ მათი მოსცა მათ და არა ხუებულ იქმნეს გულისთქუმისა მათისაგან იყოლა საჭმელი პირსა მათსა და რისხვებ ღმრთისაბ აღხდა მათზედა და მოსწყვდნა მრავალნი მათგანი და რჩეულნი ისრაელისანი დაამხუნა~ (ფს. 77, 29-31).

როცა გული გეუბნება საჭმლით მუცლის გავსებას და არ მოგაგონებს სიძვასთან ბრძოლას, მოიგონე სიტყვა მეორე სჯულისაგან: `შჭამდე რაბ უკუე და განსძღე. ეკრძალე თავსა შენსა, ნუუკუე დაივიწყო უფალი ღმერთი შენი, რომელმან გამოგიყვანა შენ ქვეყანით ეგვიპტით სახლსა მისგან კირთებისაბსა~ (2 შჯ: 6, 12-13).

როცა გული გეტყვის, მძიმეა მცნება მარხვისაო, მიუგე სიტყვა მეორე სჯულისაგან: `მცნება ესე, რომელსა დღეს გამცნებ შენ, არა მძიმე არს, არცა შორს არის შენგან~ (30-11).

როცა გული გეტყვის, სიმადრითა სჭამე და სვი ღვინოო, არაფერი ბოროტი შეგემთხვევაო, მიუგე სიტყვა მეორე სჯულისაგან: `სჭამა იაკობ და განსძღა და შესტრფოდა საყვარელი იგი თვისი; განსუქდა, განსხვა, განიშვა და დაუტევა ღმერთი შემოქმედი თვისი და განუდგა ღმერთსა მაცხოვარსა თვისსა~ (32, 15).

იმ ნაყროვანს გულის-თქმას, რომელიც მწუხრამდე მარხვას არ განებებს და გაიძულეებს სამხარცა სჭამო, მიუგე სიტყვა მეფეთა წიგნიდან: `წყეულ იყავნ ყოველი კაცი, რომელმან ჭამოს პური დღეს ვიდრე მწუხრამდე, ვიდრემდის არა სრულიად ვიძიო შური მტერთა ჩემთა~ (1 მეფ. 14, 24).

როცა გული გეტყვის პური და ზეთი გაკლია და ღონე არა გაქვს, რომ შეიძინო, მიუგე სიტყვა მეფეთა წიგნიდან: `რამეთუ ესრეთ იტყვის უფალი ღმერთი ისრაელისა: საფქვილესა შენსა არა მოაკლდეს ფქვილი და საზეთესა შენსა არა მოაკლდეს ზეთი, ვიდრე ყოფად წგმისა უფლისა მიერი პირსა ზედა ქუეყანისასა~ (3 მეფ. 17,14).

როცა გული გითქვამს პური და სხვა საჭმელი სიმამლრითა სჭამე და სვიო, განსვენებით სლვავ საჭირო გზასა მონაზონებისასაო, მიუგე სიტყვა: `ვითარმედ არ ესრეთ განწესებულ არს ცხოვრება წმიდათა, ვითარცა იტყვის მოციქული: `იქცეოდეს ხალხებითა და თხის ტყავებითა ნაკლულევანნი, ჭირვეულნი, ძვირ-ხილულნი, რომელთა ღირსვე არა იყო სოფელი ესე, უდაბნოთა ზედა შეცთომილნი, მათათა და ქვაბთა შინა ხვრელთა ქვეყანისათა~ (ებრ. 11,37-38).

როცა გული გეტყვის, მოიგე მეტი სახმარი, რაც გაქვს არ არის საკმარიო, მიუგე სიტყვა დავითისა: `უფალმან მწყსოს მე, და მე არა მკალდეს, განმზადოს წინაშე ჩემსა ტაბლა საშურვებელად მაჭირვებელთა ჩემთა~ (ფს. 22, 14).

როცა გული გეტყვის შიმშილის შიშით ბევრი საზრდო შეჰკრიბეო, მიუგე სიტყვა დავითისა: `ყრმა ვიყავ და დავბერდი და არა ვიხილე მართალი დაგდებულ, არცა თესლი მისი მთხოვნელ პურისა~ (ფს. 36, 25).

როცა გულში საზროსათვის ზრუნვა გაგიჩნდება და სულიერ საქმისათვის ზრუნვას დაგავიწყებს, მიუგე სახარების სიტყვები: `ნუ ზრუნავთ და იტყვით რაბ ვჰსჭამოთ, ანუ რაბ ვსვათ, ანუ რაბ შევიმოსოთ, რამეთუ ამას ყოველსა წარმართნი ჰზრუნვენ, რამეთუ იცის მამამან თქვენმან რაბ გიხმენ ამათ ყოველთაგანი. ხოლო თქვენ ეძიებდეთ პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ~ (მათ. 6, 31- 33). `აგრეთვე სიტყვა დავითისა: `რამეთუ ვჰსთქუ: უშჯულოებაბ ჩემი მივუთხრა და ვზრუნვიდე მე ცოდვათა ჩემთათვის~ (ფს. 37, 18).

როცა გული გირჩევს ნუ დაიმდაბლებ სულსა, და ხორცსა ნუ შემუსრავ მარხვითა, შრომითა და მღვიმარებითაო, მიუგე სიტყვა დავითისა: `ჰშვრებოდა იგი უკუნისამდე და სცხონდა სრულიად არა იხილოს მან განსახრწნელი, რაჟამს იხილონ ბრძენთა სიკვდილი~ (ფს. 48, 9-10).

გულის-სიტყვას, რომელიც საზრდოს ნაკლებობისათვის შეგაურვებს, მიუგე სიტყვა დავითისა: `მიუტევე უფალსა ზრუნვა შენი და მან გამოგაზრდოს შენ~ (ფს. 54, 23).

როცა გული გირჩევს ბევრი მღვიმარება სასარგებლო არ არის და უფრო მეტს გულის-თქმას გაგიჩენს ძილის დროსო, მიუგე სიტყვა სახარებიდან: `იღვიძებდეთ და ილოცევდეთ, რათა არა შეხვიდეთ განსაცდელსა~ (მარ. 14, 38). აგრეთვე მოიგონე სიტყვა დავითისა: `უძილ ვიყავ და დავადგერ, ვითარცა სირი მხოლო სართულსა ზედა~ (ფს. 101, 7).

როცა გული ზეთის უჭმელობას ბრალადა გვდებს, მიუგე სიტყვა დავითისა: `მუხლნი ჩემნი მოუძღურდეს მარხვითა და ხორცნი ჩემნი იცვალნეს ზეთისათვის~ (ფს. 108, 24), ესე იგი უზეთობისაგან.

როცა გული გაშინებს მარხვისაგან დაუძღურებას და უდროოდ გარდაცვალებას, მოიგონე სიტყვა დავითისა: `არა მოვჰკვდე, არამედ ვცხონდე და განვსთქვნი მე საქმენი უფლისანი. ჰსწავლით განმსწავლა მე უფალმან სიკვდილსა არა მიმცა მე~ (ფს. 117, 17-18).

როცა გული გირჩევს ცოტა ხნით დასცხერი შრომისა და მარხვისაგან და ხორცს განსვენება მიეციო, მოიგონე სიტყვა დავითისა: `არა ვჰსცე ძილი თვალთა ჩემთა, არცა რული წამთა ჩემთა, არცა განსვენება ხორცთა ჩემთა, ვიდრემდის ვჰპოვო მე ადგილი უფლისა და საყოფელი ღვთისა იაკობისი~ (ფს. 131, 4-5).

როცა ღვინის სმის სურვილი აღგებრება და გული ვეტყვის მარტო წყალი არღვევს სტომაქსა და ღვიძლ-ფიწალსაო, მოიგონე სიტყვა იგავთაგან: `რომელსა დაუტკბეს სმამ ღვინისა, საყოფელთა შინა მისთა დაუტეოს უპატიობებ ვნებათა, რამეთუ მავნებელ არს ღვინო ფრიადი და მაგინებელ არს მთვრალობა და უგუნურთა შეიტკბონ იგი~ (12,11).

როცა გული საქმლის გემოთი შექცევას გვირჩევს, სათნოებას შეურაცხგვაყოფიებს და გვავიწყებს, უნდა მოვიგონოთ სიტყვა იგავთაგან: `ყოველსა შინა ზრუნვასა ერთი არს მეტი, ხოლო ტკბილი იგი და უღმობელი ნაკლულევანებისა იყოს, რამეთუ, ვითარცა კაწახი (ძმარი) კბილთა მავნებელ და კვამლი თვალთა, ეგრეთ უსჯულოება მოქმედთა მისთა~ (10, 26).

როცა გული გიჩვენებს ბევრს მეტის მარხვისაგან სტომაქითა და ღვიძლ-ფიწალით დაუძღურებულს, მოიგონე სიტყვა იგავთაგან: ყოველსა ჟამსა თვალნი უკეთურნი მოელიან ბოროტსა, ხოლო სახიერნი იგი დაეყუდნიან მარადის,; უცნობელი იგი ნაკლულევან იქმნის გონებითა, ხოლო კაცი გონიერი განმართლებულად ვალნ~ (15, 15, 21).

როცა გული უნდოსა და შეურაცხ საქმელისათვის შეგაურვებს და შეგაწუხებს, მოიგონე სიტყვა იგავთაგან: `ჰსჯობს მცირედი ნაწილი შიშითა ღვთისათა, ვიდრე საუნჯეთა დიდთა უშიშოებით; ჰსჯობს სტუმრობა მხლითა მოყვარებით და მადლით, ვიდრე ზვარაკთა დაკლულთა ბაგეთაგან მტერობით, უმჯობეს არს მცირედი პური გემოთ და მშვიდობით, ვიდრე სახლი სავსე ყოვლითა კეთილითა და სიცრუისა საკრველითა ლალვით~ (15, 16-17, 17,1).

დღესასწაულებში ხორცის სანუგეშოდ გემრიელ საქმლის გაკეთებას რო გეუბნება გული, მოიგონე სიტყვა იგავთაგან: `არა შეგავს უგუნურისა შვება, ეგრეთვე უკეთუ მძლავრებდეს (მონა) უფალთა თვისთა გინებითა და მძლავრებით~ (19, 10).

შესავალი_3

თუ დიდად უძლური არა ხარ და სტომაქის დარღვევის შიშით გული ღვინის სმას გაწვევს, მოიგონე სიტყვა იგავთაგან: `არა წმიდება არს, რომელთა იხმიონ ღვინო ფრიად, და საგინებელ მთვრალობა და ყოველი, რომელი აღერიოს მათ, ვერ იყოს ბრძენ~ (20,1).

მარხვის დადებას ანუ რომელიმე საჭმლის ღმერთთან ფიცით აღკრძალვას გული რო გვეტყვის, რაც სრულიად უცხო და უწესოა მონაზონთათვის. სიტყვის გება ეც იგავთაგან: `საბრხე კაცისა არიან ბაგენი მისნი: ადრე თუ რაიმე აღუთქვას, რამეთუ შემდგომად აღთქმისა შენანებაცა არნ~ (20,25).

როცა გული გლახისათვის პურის მიცემას გიკრძალავს და გეტყვის: ისინი ყოველგან იმოვნიან, შენ კი ვერ შეგიძლია კართი-კარად თხოვა და სიარულიო, მიუგე სიტყვა იგავთაგან: `რომელი ჰსწყალობდეს გლახაკსა, იგიცა გამოვეიზარდოს,-თვისისაგან პურისა ჰსცა გლახაკსა~ (28, 27).

დიდს დღესასწაულებში ღვინის სმასა და ხორცის ჭამას რო გეტყვის გული, მოიგონე სიტყვა იგავთაგან: `ნუ იყოფით მეღვინე, ნუცა ჰხედავ ზიარებასა ღვინისა და ხორცისა სყიდვასა, რამეთუ ყოველი მომთვრალე და მეძავი დაგლახაკუნეს, და შეიმოსოს დაბებკული სამოსელი ყოველმან მოძილემან~ (23, 20-21).

როცა გული ძველს შვებას მოგვაგონებს, რჩეულის ღვინის სმასა, ჭრელ ჭიქებსა და ღვინის მწდეთა, შვენიერ-მოსილთა, უნდა მოვიგონოთ სიტყვა იგავთაგან: `ნუ გწადის დათრობა ღვინითა, არამედ ზრახვედით კაცთა მართალთა. უკეთუ ფიალებსა და სასმლებსა მისცნე თვალნი შენნი, უკანასკნელ ჰხვიდოდი უშიშვლეს საცეხველის თავისა~ (23, 31).

როცა გული გეტყვის პური მამღვრივ სჭამე, წყალი სვი და მუცელი გაივსეო, მოიგონე სიტყვა იგავთაგან: `ნუ მოიყვანებ უღმრთოსა საყოფელად მართლისა, ნუცა ჰსცთები მადრებითა მუცლისათა~ (24,15).

გული რო გეტყვის, რატომ არა გრცხვენია, რომ სულიერნი მამები ღვინის სმასა და გემრიელ საჭმლის ჭამას გაიძულებენ და შენ კი არა სჭამ და არა სვამო, მიუგე სიტყვა

იგავთაგან: `არს სირცხვილი მომატყუებელი ცოდვისა და არს სირცხვილი, დიდება და მადლი~ (26,11).

როცა გული გიტირის და დრტვინავს ხორცის სახმარის დიდს სივიწროეს და გირჩევს ჭამა-სმისაგან არაფერი ბოროტი და ცუდი გულის-თქმა მოგივაო, რადგან მეტის მარხვისა და მოღვაწეობით ხორცი დახსნილი და გამხმარი გაქვსო, მოიგონე სიტყვა იგავთაგან: `რავდენვე გევედრებოდეს მტერი შენი დიდითა ხმითა, ნუ გრწამნ მისი, რამეთუ შვიდნი უკეთურებანი არიან გულსა მისსა~ (26, 25).

როცა გული გეტყვის: ღვთის მცნება მძიმეა, მამათა სწავლა ფიცხელი და სულისა და ხორცისათვის ჭირ-სალმობის შემამთხვეველიო, მოიგონე სიტყვა იგავთაგან: `ღირს არიან სარწმუნოებისა წყლულეზანი მეგობრისანი, ვიდრეღა ნებსითნი ამბორის ყოფანი მტერისანი~ (27, 6). და კვალად `უმჯობეს არს შერისხვა ბრძნისა სმენად, უფროს კაცისა, რომელსა ესმოდის სახეობაზ (სიმღერა) უგუნურთა~ (ეკლ. 7,6). ამის მსგავსადვე იტყვის დავით წინასწარ-მეტყველი: `მცნებანი უფლისანი ბრწყინვალე არიან და განანათლებენ თვალთა. შიში უფლისა წმიდა არს და ჰგიეს იგი უკუნისამდე. განკითხვანი უფლისანი ჭემმარიტებით არიან და მართალ მისთანა. გულის სათქმელ არიან იგინი უფროს ოქრობსა და ანთრაკისა პატიოსნისა მრავლისა, უტკბილეს არიან იგინი უფროს თაფლისა გოლეულისა~ (ფს. 18, 8-10). კვალად იტყვის: `მცნებათა შენთაგან გულის-ხმა ვყავ, ამისთვის მოვიძულე ყოველი გზა სიცრუისა. სანთელ არს ფერხთა ჩემთა სიტყვა იგი შენი, უფალო, და ნათელ ალაგთა ჩემთა~ (ფს. 118, 104-105).

იმ გულის-თქმას, რომელიც მცირედ ღვინოს ეძიებს და გეტყვის, ღვინოც ღმერთს კაცთა სასმელად გაუჩენიაო, მიუგე სიტყვა ეკლესიასტესაგან: `ყოველივე, რაბცა ჰქმნა ღმერთმან, კეთილ არს ჟამსა თვისსა~ (ეკლ. 3, 11).

როცა გული ძველს სტუმრობა-წვეულებას და განმზადებულ ტაბლას მოგაგონებს და იმ ჩვეულებისაკენ გიზიდავს, მოიგონე სიტყვა ეკლესიასტესაგან: `უმჯობეს არს მისვლა სახლსა გლოვისასა, ვიდრეღა მისვლა სახლსა შვებისასა. რამეთუ გამხიარულდეს გული ბრძენთა სახლსა გლოვისასა და გული უგუნურისა სახლსა სიხარულისა~ (7,3,5,).

როცა გული ჩვენდა საცთუნებლად გვებრძვის განუკითხველის მოღვაწეობით, ველურის თივითა და მდელიოთი გაძლომას და გვაწვევს ბაღნის მცირე სამოსლით უბინაოდ უდაბნოებში მიმოსვლას, განუკითხველად ჩვენის ნებით კაცთა ხილვისა და მათთან საუბრისაგან განშორებას, მიუგე სიტყვა ეკლესიასტესაგან: `ნუ იყოფი

მართალ ფრიად, ნუცა ბრძნობ უმეტეს ზომისა, ნუ უმე (ვაი თუ შემდეგში) მისდრკე გზისაგან წრფელისა~ (7,17).

როცა გული მოგვაგონებს პირველ შვებასა და ფუფუნებას და აწინდელს ჭირსა და ნაკლულევანებას გვიჩვენებს, მოვიგონოთ სიტყვა იოზისაგან: `უკეთუ კეთილი იგი მოვიღეთ ხელისაგან უფლისა, ბოროტი ესე ვერ მოვითმინოთა?~ (2,10).

როცა გული გვიჩვენებს ნათესავეებთან და თავის ხორციელთან მისღვას, კეთილად მოგვეგებებიან და მრავალის სანოვაგით პატივს გვცემენო, მოვიგონოთ სიტყვა წინასწარ-მეტყველის მიქასი: `აღსდევ და ვილოდე ამიერ, რამეთუ არა არს ესე შენდა განსვენება~ (12,10).

როცა გონებაში წარმოგვიდგება ნაყროვანი ადამიანები, რომელნიც ითვლიან და ანგარიშობენ წმიდათა დღესასწაულებს იმისთვის, რომ ბრწყინვალე ტაბლითა და მრავლის სანოვაგით გაიხარონ და იშოვებდენ, მოიგონე სიტყვა ამბაკომისაგან: `ხოლო მე უფლისა მიმართ ვიხარებდე და მხიარულ ვიყო მე ღვთისა მიმართ მაცხოვრისა ჩვენისა~ (3,18).

გულის-თქმას უდებებისა და ხორცთ-მოყვარეობისას, რომელიც სოფლიურს შვებას და განცხრომას მონაზნურს ცხოვრებაზე უდიდესად და უპატიოსნესად აყენებს, მოიგონე სიტყვა ისაია წინასწარ-მეტყველისა: `ვაბ, რომელთა ჰსთქვან ბოროტი კეთილად და კეთილი ბოროტად, რომელთა დასდვან ნათელი ბნელად და ბნელი ნათელად, რომელთა ჰყვიან მწარე ტკბილად და ტკბილი მწარედ~ (5,20).

გულის-თქმა, რომელიც სულ-მოკლე გყოფს დღიურის პურისა და წყლის სიმცირისა გამო, მოიგონე სიტყვა ისაია წინასწარ-მეტყველისაგან: `უფალო ჭირსა მოგიხსენო შენ, რამეთუ მცირედ ჭირ არს სწავლა შენი ჩვენ ზედა~.

როცა ხორცი სიღარიბის და უპოვარებისა (უქონელობისა) გამო სულ-მოკლე გყოფს უფალს მხურვალედ ევედრო, მოიგონე სიტყვა იერემიასაგან: `მომიხსენე მე, უფალო, და მომხედე და უბრალო მყავ მე მდევართა ჩემთაგან, გულის-ხმა-ჰყავ, რაოდენი მოვიღე ყვედრება მათგან; რომელთა შეურაცხ-ჰყვენეს სიტყვანი შენნი, აღასრულენ იგინი~ (15,15).

როცა ეშმაკი სტომაქსა და ნაწლევს გაგვიგრილებს, ანუ დიდის შიმშილისა თუ ხანგრძლივის სნეულებისაგან დაგვასუსტებს, მოვიგონოთ სიტყვა იერემიას გოდებიდან: `იხილე, უფალო, რამეთუ მჭირს მე, მუცელი ჩემი შეძრწუნდა, და გული ჩემი გარდაიქცა ჩემთანა, ისმინე აწ. რამეთუ ვჰკვნესი და არავინ არს ნუგეშინის-მცემელ ჩემდა; მტერთა ესმა ძვირი ჩემი და მსცხრებოდა (განიხარებდა), შევედინ ყოველი უკეთურება მათი წინაშე ყურთა პირსა შენსა, მოკუფხლენ იგინი, ვითარცა მომკუფხლე მე ყოველთათვის ცოდვათა ჩემთა, რამეთუ განმიმრავლდეს მე სულთქმანი ჩემნი და გული ჩემი ზრუნავს~ (1, 20-22).

როცა გული პურსა და წყალს არ სჯერდება, მოხარშულსაც ეძიებს და არ მოგვაგონებს პირველ წმიდათა დიდის იწროებით ცხოვრებას, მოვიგონოთ სიტყვა დანიელისაგან: `და ჰრქვა დანიელ ამელსარს, რომელი იგი დაედგინა საჭურისთ-მთავარსა მას დანიელ და ანანია, აზარია და მისაელს ზედა: გამომცადენ მონანი შენნი ათსა ოდენ დღესა და მომცემდ ჩვენ თესლთაგან ქვეყანისათა და ვსჭამდეთ და წყალსა ვჰსმიდეთ, და გამოსცადენ წინაშე შენსა პირნი ჩვენნი და პირნი მათნი, რომელნი ჰსჭამდენ ტაბლისა მისგან სამეფოსა, და ვითარცა იხილო ეგრეცა ჰყავ მონათა შენთა ზედა~ (1,11-13). ამელსარმა აღასრულა ეს, და ნახა, რომ ამათი პირისახე უკეთესი იყო და ხორციტაც უძლიერესნი იყვნენ იმ ყრმებზე, რომელნიც სამეფო ტაბლიდგან სჭამდნენ და იმ დღიდგან თვითონაც იმ საზრდოს იღებდა და იმათაც იმასვე აძლევდა.

ვინც არ იცის, რომ სიმაძღრე პურითა და ღვინითა ამპარტავნების მშობელია და ბოროტი გულის-თქმის აღმაორძინებელი, უნდა მოიგონოს სიტყვა ეზეკიელისაგან: `გარნა ესე უსჯულოება სოდომისა არს დისა შენისა, რამეთუ ამპარტავნებითა და სიმაძღრითა პურისათა და იეფობითა ღვინისათა იშვებდა ნაყოფავნებითა საშვებელთა მისთათა~ (16,49).

რომელიც განსაცდელის დროს უძლეველ საჭურველს ეძიებს, ამისთვის იტყვის დავით წინასწარმეტყველი: `ხოლო რაჟამს იგინი მაჭირვებდეს მე შევიმოსო ძაძაბ და დავიმდაბლი მარხვითა სული ჩემი და ლოცვა ჩემი წიაღადვე ჩემდა მოიქცეს~ (ფს. 34, 13), და კვალად იტყვის: `ვითარმედ დამავიწყდა ჭამად პური ჩემი, ხმითა კვნესისა ჩემისათა შეხმეს ხორცნი ჩემნი ძვალთა ჩემთა~ (ფს. 101, 4-5). აგრეთვე თქმულია სახარებაში: `ვითარმედ აღიყვანა იესო უდაბნოდ სულისაგან გამოცდად ეშმაკისაგან და იმარხა ორმოცი დღე და ორმოცი ღამე და მერმე შეემშია~ (მათ. 4,1-2). ამითი უნდა ვსცნათ, რომ ბრძოლისა და განსაცდელის დროს ძლიერი საჭურველია ლოცვა და მარხვა სიმაძღრით; მით მოგვევლინება ღვთის შემწეობა და განსდევნის ჩვენგან ყოველსა სიცბილსა მტერისასა, რათა ვიტყოდეთ: `შეწევნა არს ჩვენდა სახელითა უფლისათა, რომელმან ჰქმნა ცანი და ქვეყანა~.

როცა გული გვაზრუნებს საზრდელისა და სამოსელისათვის, უცხოთ-მოყვარეობისა, ხანგრძლივის ავად-მოყოფობისა და მოხუცების დროსათვის მოსაგებელის მოგებას, უნდა მოვიგონოთ სიტყვა სახარებისაგან: `ნუ ჰზრუნავთ სულისა თქვენისა, რაბ სჭამოთ, და ნუცა ხორცთა თქვენთა. რაბ შეიმოსოთ, არამედ სული უფრობს არს საზრდელისა და ხორცნი სამოსელისა,~ და შემდგომი ამისი (ლუკ. 12,22-23).

როცა გული გეტყვის რომ მეცნიერების გზა ნაყოფანებით განსვენებითა და შვებით მოიპოება საღმრთო, მოიგონე სიტყვა ეპისტოლესაგან პავლე მოციქულისა ებრაელთა მიმართ: `ყოველნი წმიდანი სარწმუნოებით ერეოდეს მეფეთა, ნაკლულევანნი, ჭირვეულნი, ძვირ-ხილულნი; რომელთა ღირსვე არა იყო სოფელი ესე უდაბნოთა ზედა შეცთომილნი (ივლტოდნენ) მათათა და ქვაბთა შინა და ხვრელთა ქვეყანისათა~ (ებრ. 11, 37-38).

როცა გული გვიშლის ნაკლულევან კაცთათვის საზრდელისა და სამოსელის მიცემას, უნდა მოვიგონოთ სიტყვა ლუკას სახარებიდან: `რომელსა აქვდეს ორი სამოსელი მიეცინ, რომელსა არა აქვდეს; და საზრდელიცა ეგრეთვე მსგავსად ყავნ~ (ლუკ. 3, 11).

შესავალი_4

ანგარისა და გემოთ-მოყვარისათვის, რომელიც სახმარსა და სამოსელს ისაკუთრებს და სხვისთვის მიცემა არა ჰსურს, თქმულია საქმე მოციქულთაში: `ხოლო სიმრავლისა მის მორწმუნეთასა იყო გული და გონება ერთად, არცა ერთმან ვინ ჰსთქვის მონაგები მისი თვისად, არამედ იყო ყოველივე მათი ზოგად და მაღლი დიდი იყო მათ ყოველთა ზედა. რომელნი იგი პოვნიერ (მქონებელ) იყვნეს სანახებისანი, გინა დაბნებისანი, განყიდდეს და მოაქვნდათ სასყიდელი მათი და დასდებდეს ფერხთა თანა მოციქულთასა, და მიეცემოდა კაცად-კაცადსა, ვითარცა ვის უხმდა, და ამისთვის არავინ იყო ნაკლულევან მათ შორის~ (4, 32-35).

პურიტა და წყლით ნაკლულევანებისა გამო შეჭივრებულმა, მოიგონოს სიტყვა მოციქულთაგან: `მრავალთა ჭირთა გვიღირს ჩვენ შესლვად სასუფეველსა ცათასა~ (საქ. მოც. 14,22).

როცა გული ჭამა-სმით ნუგეშის-ცემას გირჩევს, მოიგონე სიტყვა პავლე მოციქულისა რომაელთა მიმართ: `ხორცთა ზრუნვასა ნუ ჰყოფთ გულის სათქმელად~ (13, 15).

როცა გული მოსავლის დროს ყურძენსა და სხვა-დასხვა ფერადს ხილს ეძიებს, მოიგონე სიტყვა პავლე მოციქულისა: `ყოველი იგი მოღვაწე ყოველსა მოითმენ, მათ სადამე გახრწნადი გვირგვინი მოიგონ, ხოლო ჩვენ უხრწნელნი~ (1 კორ. 9, 26).

როცა გული გვაურვებს საზრდოს ნაკლულევანებისათვის და მით ჩვენს გულს- მოდგინებას მოაუძღურებს, მოვიგონოთ სიტყვა პავლე მოციქულისა: `ყოველსავე შინა ვიჭირვით, არამედ იწროება გვიჩნს; წარღა-თუ-წირულ ვართ, არამედ არა განწირულება გვიჩნს; დევნულა თუ ვართ, არამედ არა დატევებულ ვართ; დაღაცათუ დავრდომილ ვართ, არამედ არა წარწყმედილ ვართ; მარადის სიკვდილი იგი ქრისტესი ხორცთა შინა ჩვენთა გვიტვირთავნ, რათა ცხოვრებაცა იგი იესოსი ხორცთა ამათ შინა ჩვენთა გამოსცხადნეს~ (2 კორ. 4,8-10).

როცა გული სტომაქის საღმობასა, ღვიძლის ტკვილსა და ფიწალის გასივებას გვიჩვენებს, მოვიგონოთ სიტყვა პავლესი: `ამისთვის არა მეწყინების, არამედ დაღაცათუ გარეშე ესე კაცი ჩვენი განიხრწნების, არამედ შინაგანი ჩვენი განახლდების დღითი-დღე~ (იქვე 16).

როცა გული უძღურებისათვის შეგვაურვებს, მოვიგონოთ სიტყვა პავლესი: `ესე ვუწყით, უკეთუ ქვეყანისა ესე სახლი ჩვენი საყოფელი დაირღვეს, აღშენებული უფლისა მაქვს ჩვენ სახლი ხელით უქმნელი საუკუნონ ცათა შინა~ (იქვე 5,1).

ნაკლულევანთა ძმათა საზრდელის მიცემისათვის გული რო შეგვიწუხდება, მოვიგონოთ სიტყვა პავლესი: `ნუ მწუხარებით, ნუცა უნებლებით, არამედ მხიარულებით მისაცემელი უყვარს უფალსა~ (იქვე 9, 7).

როცა გული გვეტყვის სხეულის უძღურებისა გამო ბოლვილის (მოხარშულის) ჭამას, მოვიგონოთ სიტყვა მოციქულისა: `ოდეს უძღურ ვიყო, მაშინ ძლიერ ვარ~ (იქვე 12,10).

როცა გული ეძებს დღესასწაულებში მაძღრივ ღვინის სმას, მოიგონე სიტყვა პავლესი: `ნუ დაითვრებით ღვინითა, რომლითა არს სიბილწე, არამედ აღივსენით სულითა; ეტყოდეთ თავთა თვისთა ფსალმუნითა და გალობითა და ქებითა სულიერითა, უგალობდით და აქებდით გულითა თქვენითა უფალსა~ (ეფ. 5, 18-19).

როცა გული შეგვაურვებს და გვეტყვის, -ჩვენის ხელ-საქმისაგან არაფერი სასყიდელი გამოდის, ნათესავებიც ღარიბნი და შორს არიან, იმათგან არაფერი მოგვეცემა და რამ უნდა გადაგვარჩინოსო, მოვიგონოთ სიტყვა პავლესი: `უფალი ახლოს არს, ნურას ზრუნავთ, არამედ ყოვლითა ლოცვითა და ვედრებითა მადლობით თხოვანი საცნაურ იყავნ ღვთისა მიმართ~ (ფილიპ. 4.5-6).

როცა გული შიმშილს გვიქადის, შეგვაურვებს და გვეტყვის: პური ნაკლები გვაქვს, მიმოსვლა და თხოვა სირცხვილიაო, მოვიგონოთ სიტყვა პავლესი: `ყოველსა შინა შეზმნილ (შეჩვეულ) ვარ: განძღებად და შიმშილად, აღმატებად და დაკლებად ყოველივე ძალმიძს განმამლიერებელისა ჩემისა ქრისტეს მიერ~ (ფილიპ. 4,12-13).

როცა გული შრომასა და საქმეს გვიშლის და გვირჩევს სხვისაგან სახმარის მიღებას, მოვიგონოთ სიტყვა პავლე მოციქულისა: `ღამე და დღე ვიქმთ, რათა არა დავუმძიმოთ თქვენგანსა~ (2 თესალ. 3,8). `გლოცავ უკვე თქვენ, ძმანო, ჰმატებდითღა უფროს, პატივის - ცემისა მოყავრე იყვენით, მყუდრო იყვენით, იქმოდეთ თვისსა (საქმესა) და შვრებოდეთ ხელითა თქვენითა, ვითარცა იგი გამცენ თქვენ, რათა იქცეოდით თქვენ შვენიერად გარეშეთა მათ მიმართ და ნურარან ვის გიხმნ~ (1 თესალ. 4, 10-12).

როცა გული ჭამა-სმისაკენ გვაწვევს და საქმეს გვიშლის, მოვიგონოთ სიტყვა მოციქულისა: `უკეთუ ვისმე არა უნდეს საქმის, ნუცა ჰსჭამნ. რამეთუ მესმის ვიეთთვისმე, რომელნი იქცევიან თქვენ შორის უწესოდ და არარას იქმან, არამედ მიმოიწულილვენ. ესევითართა უკვე მათ ვამცნებთ და ვლოცავთ უფლისა ჩვენისა მიერ იესო ქრისტესა, რანთა მყუდროებით იქცეოდინ და თვისსა პურსა ჰსჭამდენ~ (2 თესალ. 3, 10-12).

როცა გული გვეტყვის მოღვაწეობა და მარხვა ფიცხელია, ხორცის დამხსნელი და სულსაც უვნებლობისაგან ვერ დაიხსნისო, მოვიგონოთ სიტყვა პავლესი: `ყოველივე სწავლან მესეულად არა სიხარულ, არამედ მწუხარება, ხოლო უკანასკნელ ნაყოფი მშვიდობისან მის მიერ წურთილთა მათ მიაგის - სიმართლენ~ (ებრ. 12,11).

როცა გული სიძუნწით ქველის საქმეს და გლახის პურისა და სხვა სახმარის მიცემას გვიშლის, მოვიგონოთ სიტყვა პავლე მოციქულისა: `ხოლო კეთილსა საქმესა და ზიარებასა (მოწყალების გაცემას) ნუ დაივიწყებთ, რამეთუ ესე ვითარნი მსხვერპლნი სათნო არიან ღვთისა~ (იქვე 13,136).

თუ დიდად უძლური არა ვართ და სტომაქი დაზიანებული არა გვაქვს და გული ღვინის სმას გვაწვევს, მოვიგონოთ სიტყვა პავლესი: `თავი შენი წმიდად დაიმარხე, ნუ ხოლო წყალსა სვამ, არამედ ღვინონცა მცირე იხმის სტომაქისათვის და ზედასზედა უძლურებისათვის შენისა~ (1 ტიმ. 5,22-23).

როცა გული ისევ სოფლისა და მის შვებას ეძიებს, მოვიგონოთ სიტყვა კათოლიკეთაგან იაკობისთა: `ანუ არა უწყითა სიყვარული ამის სოფლისა მტერობა არს ღვთისა? რომელსა უნდეს მეგობარ ყოფად ამას სოფელსა, მტერად ღმერთსა აღუდგების~ (4,4).

როცა გული გვეტყვის მძიმეა მცნება მარხვისა და მღვიძარებისაო, მოვიგონოთ სიტყვა კათოლიკეთაგან იოანე ღვთის-მეტყველისა: `მცნებანი მისნი მძიმე არა არიან, რამეთუ ყოველი რომელი შობილ იყოს ღმრისაგან, სძლევს სოფელსა და ესე არს ძლევან, რომლითა სძლევს სოფელსა, სარწმუნოებან ჩვენი, რან არს, რომლითა სძლევს სოფელსა? არამედ რომელსა ჰრწმუნეს, ვითარმედ იესო არის ძე ღმრთისა?~ (1 იოან. 5,3-5).

სიძვის ბრალისათვის

მარხვა სიწმიდის მშობელია, ხოლო ნაყროვანება კი დედაა სიძვისა.

როგორც ზეთი ზრდის ლამპარის სინათლეს, ისე დედათა თანა საუბარი გულის-თქმის ცეცხლს ალაგზნებს.

ღელვის სიმძაფრე უსაჭო ნავს იტაცებს, უკრძალავსა და უდებებით მიშვებულს გონებას იტაცებს გულის-თქმა სიძვისა.

ვისაც სიძვის გულის-თქმა ებრძვის, იგი მუცლის სიმძაღრესა და ტკბილს სანოვაგეს ნულარ მიეტანება, განშორდეს და ებრძოლოს ძლიერად.

ვისაც უდაბნო და დაყუდებით ცხოვრება უყვარს, იგი მოუწყლველად დარჩება მტრის ისრისაგან.

ვინც მრავალ ერის კაცებში გაერევა, მას მრავალი წყლულება შეემთხვევა.

დედაკაცის პირი წამლიანი ისარია, ეკვეთება სულსა და მისგან გვემულს კაცს გესლიანი წამალი დაშთება, და რამდენადაც განახანგრძლივებს, იმდენად მეტი სიდამპლე და სიმყრალე მოემატება. ვინც ამას ეკრძალება, იგი არ მივა არც ერის კაცთა კრებულში და არც დღესასწაულთა კრებებში დარჩება. უმჯობესია ამისთანა კაცმა თავისს სენაკში მდუმარედ ილოცოს, ვიდრე დღესასწაულის პატივისათვის მტრისაგან დატყვევებულ იქმნას.

თუ ხორცისა და გონების სიწმიდე გინდა, დედაკაცის ლაპარაკს განემორე და სრულიად ნუ მისცემ შენზე კადნიერებას. პირველად კრძალვითა და მოწიწებით გებასებთან, უკანასკნელად კი გამოიჩინენ ბოროტ კადნიერებას. პირველ შემთხვევაში დაბლა იყურებიან და სიმშვიდით იტყვიან, ცრემლს გადმოადენენ, სულთქმით იკითხვენ და გულს- მოდგინედ ისმენენ სულიერს სიტყვას, მეორე შემთხვევაში ცოტათი მაღლა აიხედვენ, მესამედ, თუ შეხედე, ურიდად შემოგხედავენ და, თუ გაიღიმე, გლისპურად გაიცინებენ და იმ დროიდან იწყებენ მავნებელის სახით ქცევას, იტყვიან გულის აღმაგზნებელ სიტყვებს, სმენის დამატკბობელ სიტყვას იხმარებენ, რომ ყოველ გვარის სახით წარსტყვენონ ადამიანის სული. ყოველივე ეს სანადირო კავია სიკვდილისაკენ მიმზიდველი და ბადე წარსაწყმედელად შთამყვანებელი, ნუ გაცთუნებენ იგინი ლიქნის სიტყვითა, რომელშიაც დამალულია ასპიტისაზე უარესი გესლი. ჭაბუკი ასაკითა და გონებით, როგორც მოტყინარე ცეცხლს, ნუ მიეახლები დედაკაცს. ცეცხლს რო შეეხო სიმწვავისაგან უკუ გასხლტები, მაგრამ დედაკაცის ხილვითა და მასთან საუბრით თუ მოიწყალ, ისე მსწრაფლ ვეღარ გაშორდები. როგორც წყლის პირას აღმოცენებული თივა იშვებს, ისე იშვებს ვნება დედათა თანა საუბრითა.

ვინც მუცელს აივსებს და ეგონება სიწმიდეში წამემართებაო, იგი მსგავსია იმ კაცისა, რომელიც იფიქრებს, ლელწმის ძალით ცეცხლს შევამაგრებო.

როგორც ლელწმითა და თივით შეუძლებელია ცეცხლის შემაგრება, ეგრეთვე შეუძლებელია ბრძოლა და მორევნა სიძვის ვნებისა სიმადლრით ჭამითა.

როგორც სვეტი თავის ალაგას დამყარებული, ისე განისვენებს ვნება სიძვისა მრავალის მჭამელის გულში.

როგორც ნავი ღელვის დროს ნავთ-საყუდელისაკენ მიისწრაფის, ისე სიწმიდის მოყვარე მიესწრაფება უდაბნოსაკენ.

როგორც ნავი ზღვის ღელვას გაურბის, ისე გაურბის კეთილი სული სულის მავნებელს ხილულს ვნებასა.

შემკული პირი დედაკაცისა ზღვის ღელვაზე უარესად დამთქმელია ადამიანის სულისა.

როგორც უდაბნოში მაცვალი ცეცხლის ალისაგან გადარჩა დაუწველად, ეგრეთვე უდაბნოში მყოფის სიწმიდის მოყვარის გონება არ შეიმწიკვლება ბილწების ალითა.

როგორც მარტო ცეცხლის ხსენება ვერაფერს დასწვავს, ეგრეთვე ბრძოლას ვნებისას არა რა შეუძლია, თუ კაცი თვალთ არა ხედავს.

შვენიერი პირის ხილვა ალაგზნებს სიძვის მოყვარის გულს, ღვთისმოყვარისას კი ღვთის დიდების-მეტყველებისათვის ალაგზნებს.

დედათა თანა მიახლებითა და საუბარით, თუ უნდა ვნებასაც არა გრძნობდე, მაინც ნუ გწამს მისგან უვნებელობა.

თუ დედაკაცის ხსენებამ გულში არა ვითარი ვნება გაგიჩინა, ამითი სცანი, რომ სიწმიდის საზღვართან ხარ მისული. მაგრამ ამისთანა დროსაც ნუ შეუშვებ და შეინახავ გულში მის ხსენებას და ნურც განიცდი გონების დაკვირვებით. დედაკაცის სახეს, რადგან უცებ გადაგიზიდავს და მსწრაფლ ალგიგზნებს გულს მისი ვნება.

როგორც თივაში დაფლული ცეცხლი ალს გააჩენს, ისე ალაგზნებს გულის-თქმას დედაკაცის ხსენება ამიტომ დედაკაცთა ხსენებას გონებას ნუ გააყოლებ, რომ არ გაგიჩინოს გულის-თქმის ალი და არ დასწვას სიკეთის ძნა შენის სულისა

სიძვის გულის-თქმის მისაგებელი სიტყვები

როცა კაცის გულის-თქმა ვნებათა აღმაგზნებელ პირის-სახეს ხედავს, განიცდის მის მშვენიერებას და გონებით ცოდვას აღასრულებს, მოიგონოს სიტყვა სახარებისაგან: `ყოველი, რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულის-თქმად მას, მუნვე იმრუშა მისთანა გულსა შინა თვისსა~ (მათ. 5,28).

ვისაც არა წმიდა გულის-თქმა ებრძვის და არა ჰსურს მღვიძარება, ლოცვა და ლმობიერად ღვთის ვედრება, უნდა მოიგონოს სიტყვა სახარებისა: `იღვიძებდეთ და ილოცევდით, რათა არა შეხვიდეთ განსაცდელსა~ (იქვე 25,41).

ვისაც სწადიან მავნებელ პირთან ყოფა და არა სურს მისგან განშორება, უნდა მოიგონოს სიტყვა სახარებისა: `უკეთუ თვალი შენი მარჯვენე გაცთუნებდეს, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან; უმჯობეს არს შენდა, რათა წარსყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე ყოველი გვამი შენი შთავრდომად გეენიასა, და უკეთუ მარჯვენე ხელი შენი გაცდუნებდეს შენ, მოიკვეთე იგი და განაგდე შენგან~ (იქვე 5,29-30).

როცა გულის-თქმა გონებას ძალას ატანს დაემორჩილოს ბოროტი დედაკაცის სურვილს, მოიგონოს დაბადებიდან სიტყვა იოსებისა: `აწ ვითარ ვქმნე საქმე ესე ბოროტი და ვსცოდო წინაშე ღვთისა ჩემისა~ (შექმნ. 39,9).

ვისაც დედაკაცის სახე გონებაში გამოეხატება და ცოდვის გულის-თქმას ჩაუნერგავს, მოიგონოს სიტყვა გამოსლვათაგან: `არა გული გითქმიდეს ცოლისა მოყვისა შენისასა (20, 17), არცა გწადოდის საქმე უჯეროებისასა~.

როცა გონებას ებრძვის სიძვის გულის-თქმა და ეტყვის, რომ მრავლის შრომისა და ჭირის მეტს კეთილს ნურას მოელიო, მოიგონე სიტყვა გამოსლვათაგან: `ამათ სიტყვათა ეტყოდე ძეთა ისრაელისათა: `უკეთუ სმენით ისმენნედ სიტყვანი ჩემნი და ჰყოთ ყოველივე, რომელსა გეტყვი თქვენ, ვემტერო მტერთა თქვენთა და წინააღუდგე წინააღმდგომთა თქვენთა, რათა წარვიდეს ანგელოსი ჩემი (წინა) მზღურად შენდა და შეგიყვანოს შენ ამორეველისა მის და ქერეტელისა და ფერეზელისა, ქანანელისა და გერგესეველისა და იობესელისა, და შემუსრნეს იგინი~ (23, 22-23).

ვინც ფიქრობს ერთს ანუ ორს წელს განვიშორებ სიძვის გულის-თქმას, რომ შემდეგ აღარ დამიწყოს ბრძოლაო, მოიგონოს სიტყვა გამოსლვათაგან: `არა განვასხნე იგინი წელსა ერთსა, რათა არა ქვეყანა მოხრდეს და განმრავლდეს მხეცი ქვეყანისა შენზედა, მცირედ-მცირედ განასხა შენგან, ვიდრემდე აღორძინდე და დაიმკვიდრო ქვეყანა~ (23, 29-30).

ვისაც გული ეტყვის სიჭაბუკეში არ შემიძლია გონების გაწმედა სიძვის გულის-თქმისაგანაო, მოიგონოს სიტყვა გამოსლვათაგან: `ყოველი, რომელი წარმოსდგებოდეს ახილვასა მას ოცის წლითგან და უზესთაესი, მისცენ შესაწირავი~ (30,13).

როცა გული გეტყვის სიჭაბუკეში მყოფი კაცი ბრალეული არ არის ამისთანა ცოდვისათვისაო, მოიგონე სიტყვა გამოსლვათაგან: `და ჰრქვა უფალმან მოსეს, რომელმან ჰსცოდა წინაშე ჩემსა აღვხოცო იგი წიგნისაგან ჩემისა~ (32,33).

ვისი გონებაც არ ეკრძალება სიძვის აღსრულებას და მიჰყვება ამ შინაგან კერძს ცოდვისას, მოიგონოს სიტყვა მეორე სჯულისაგან: `ჰრქვა მოსე ერსა, ისმინე ისრაილ და ეკძალე ყოფად ყოველთა ამათ მცნებათა, რათა კეთილი გეყოს შენ და განმრავლდე ფრიად, ვითარცა ეტყოდა ღმერთი მამათა შენთა, მიცემად შენდა ქვეყანა იგი, რომელსა გამოსდის სძე (რძე) და თაფლი (6,3). უკეთუ არა ჰყოთ ესე, სცოდოთ წინაშე უფლისა და სცნათ ცოდვა თქვენი ოდეს გეწიოს თქვენ ძვირი~.

როცა გონება გაიძულეხს სიძვის ეშმაკის მიყოლას, მოიგონე სიტყვა მეორე სჯულისაგან: `უფლისა ღვთისა შენისა გეშინოდეს და მას მხოლოსა მსახურებდე, და მას მხოლოსა ესვიდე და სახელსა მისსა ჰფუცავდე~ (6,13).

დღე და ღამ სიძვის გულის-თქმით შეჭირვებულმა და იმედ დაკარგულმა, რომ ველარ მოვერევიო, მოიგონოს სიტყვა მეორე სჯულისაგან: `უკეთუ ჰსთქვა გონებასა შენსა, ვითარმედ ნათესავი ესე უძლიერეს არს ჩემსა, და ვითარ შევუძლო მოსრვად ამისა,- არა გეშინოდის შენ მათგან: მოხსენებით მოიხსენო, რა იგი უყო უფალმან შენმან ფარაოსს და ყოველთა მათ მეგვიპტელთა~ (7,17-18).

სიძვის ბრძოლითა და მის სხვა-და-სხვა გვარ ცოდვის გონებაში გამოსახვით შეჭირვებულმა, როცა მრავალ-გვარის ვნების გონებაში შეკრების შემდეგ ერთს რომელსამე ბოროტ აზრს დაადგება, მოიგონოს სიტყვა მეორე სჯულისაგან: `უწყოდე შენ, რამეთუ უფალი ღმერთი შენი წინა გიძღვის წინაშე პირსა შენსა, ვითარცა

ცეცხლმან შემწველმან მოსრნეს იგინი და მან გარე მიაქცინეს იგინი პირისაგან შენისა, ალხოცნეს და წარწყმიდნეს იგინი მსთვად, ვითარცა გეტყოდეს შენ უფალი~ (9,3).

როცა ეშმაკის მანქანებით ცოტა ხნობით სიძვის გულის-თქმა მიყუჩდება და გული თავისუფლად ჭამასა და სმას გვაწვევს იმ იმედით, რომ უვნებლობის საზღვარსა ვარ მისულიო, უნდა მოვიგონოთ სიტყვა მეორე სჯულისაგან: `არა ჰყოთ ეგრე, ვითარ იგი ჰყოფთ აქა დღეს კაცად-კაცადი ნებასა თავისა თვისასა, რამეთუ არღარა მიწევნილ ხართ თქვენ აქამდე განსვენებასა მას და სამკვიდრებელსა მას თქვენსა, რომელი იგი უფალმან ღმერთმან მოგცეს თქვენ~.

ეშმაკისაგან გვამის ჩმუჩვნიტ შეშინებულმა და შეძრწუნებულმა, რაიცა იციან ეს საქმით გამოცდილებმა, მოიგონოს სიტყვა მეორე სჯულისაგან: `ხელის-აღმპყრობელ გეყოს შენ უფალი ღმერთი შენი, შემწე და სიქადულ შენდა და მოგცეს შენ უფალმან ღმერთმან შენმან მტერნი შენნი ხელთა შენთა, და ყოველნი მხდომნი შენნი შეიმუსრნეს წინაშე პირსა შენსა და დასთრგუნე შენ ქედნი (კისერი) მათნი~ (28,7).

ვინც მწუხარებით დახსნილებისა გამო ვერ უძლებს არა წმინდა გულის-თქმით ლოცვის შემწიკვლელს ჭირსა და იწროებას, უნდა მოიგონოს სიტყვა მსაჯულთა წიგნისაგან: `აღსდეგ აწ, რამეთუ ესე არს დღე, რომელსა მოგცეს უფალმან სისრან (ქანანელთა მხედარ-მთავარი) ხელთა შენთა, რამეთუ უფალი არს წინამძღვარ შენდა~ (4,14).

ვისაც მწიკლოვანი გულის-თქმა აქვს და არა სურს განგდება და განმევება მისი და არცა ფიქრობს, რომ ცუდია მისთვის, თუ შეკრული და ტყვე იქნება ამ ბოროტებისა, - მოიგონოს სიტყვა მსაჯულთა წიგნისაგან: `და ჰრქვა დალილა: უცხო თესლნი (მოსრულან) შენზედა, სამფსონ, და განიღვიძა ძილისაგან სამფსონ და სთქვა: განვიდე და განვჰყარნე მტერნი ჩემნი, და ვჰყო, ვითარცა იგი პირველ, და მან არა იცოდა, ვითარმედ განეშორა ძალი მისი, და Dშეიყპრეს იგი უცხო თესლთა მათ და აღმოხადეს თვალნი მისნი და წარიყვანეს იგი გზად, და შეჰკრეს იგი ბორკილითა რვალისათა და ფქვიდა იგი სახლსა შინა საპყრობილისასა~ (16, 19-21).

როცა ანგელოზი თვისის მაღლით უფლისა მიმართ ღმობიერად მვედრებელთან მოვა და განსდევნის მისგან სიძვის გულის-თქმას და განაქარვებს ყოველ გვარ ბოროტს ღელვას, სამადლობელად მოიგონოს სიტყვა მეფეთა პირველის წიგნისაგან: `განძლიერდინ გული ჩემი უფლისა-მიერ და ამაღლდინ რქა ჩემი ღვთისა-მიერ ჩემისა, გავრცნა პირი ჩემი მტერთა ჩემთა (ზედა) და განვიხარო მე მაცხოვარებითა შენითა~ (1 მეფ. 2, 1-2).

როცა ეშმაკი ძილის დროს სიძვის ბილწების სახეს აჩვენებს და ვერ შესძლებს აიძულოს სული საქმით ადასრულებინოს ბილწება, მოიგონოს სიტყვა მეფეთა პრიველის წიგნისაგან: `მშვილდი ძლიერთა მოუძღურდა, უძღურნი შემოისნეს ძალითა, შვებულთა პური მოაკლდა და მშიერთა დაიპყრეს ქვეყანაჲ~ (2,4-5).

როცა ეშმაკი მოსწრაფეა ბილწის გულის-თქმით უჩინო ჰყოს და წარსტყვევნოს შენი სიწმიდე, მოიგონე სიტყვა მეფეთა წიგნის მესამე თავიდან: `ნუ იყოფინ ჩემდა უფლისა-მიერ ღვთისა ჩემისა, მიცემად შენდა სამკვიდრებელი მამათა ჩემთა~ (3 მეფ. 21,3).

როცა სიძვის გულის-თქმა ანუ ძილის დროს ბოროტი ოცნების ჩვენება მოაუძღურებს ჩვენს გონებას, უნდა ვევედროთ უფალს ეზრას სიტყვებით: `ისმინე, უფალო, ხმა მონისა შენისა და ყური მოჰყავ ქმნულსა ხელთა შენთასა, რამეთუ სირცხვილელ ვარ და კდემულ წინაშე პირსა შენსა, ცოდვანი გარდაემატნეს უფროს თავთა ჩემთა და უმეცარებანი ჩვენნი აღიწინეს ვიდრე ცადმდე ჟამთაგან მამათა ჩვენთასა, და ვართ დიდსა შინა ცოდვასა, ვიდრე დღეინდელად დღედმდე! ნუ მოიხილავ საქმეთა მათ უსჯულოებისათა, ნუ მოიხსენებენ მათსა, რომელნი უკეთურებით იქცვიან შენ წინაშე, არამედ მოიხსენე მათი, რომელნი შიშსა შენსა ერწმუნებიან, ნუცა განრისხნები მათზედა, რომელნი ბოროტთა მხეცთა სახე არიან, არამედ მოიხსენ სიყვარული მათი, რომელნი მარადის დიდებასა შენსა ესვენ, რამეთუ ჩვენცა პირველისა ხრწნილებისა სახესა დავადგერთ, ხოლო შენ ცოდვილთათვის მოწყალე ხარ, უკეთუ რომელთა ესე საქმე კეთილისა არა გაქვს და გინდეს შეწყალებაჲ ჩვენი, მაშინ სრულიად მოწყალე იყოს სახელი შენი~ (2 ეზდრ. 8,74...).

როცა ბოროტი გულის-თქმა შეგვაწუხებს და სხვა-და-სხვა ვნება ჩვენს გონებას წარსტყვევნის, უნდა ვევედროთ უფალს მესამე ფსალმუნიდან: `რად განმრავლდეს მაჭირვებელნი ჩემნი და მრავალნი აღსდგეს ჩემ ზედა; მრავალთა ჰრქვიან სულსა ჩემსა. რამეთუ არა არს ცხოვრება მისი ღვთისა-მიერ მისისა, ხოლო შენ, უფალო, მწე ჩემდა ხარ, დიდება ჩემდა და ასამაღლებელ თავისა ჩემისა~ (3, 1-3).

რომელთაც არ იციან, რომ ეშმაკზე რისხვითა და გულის-წყრომით აღძრვა, სიძვის გულის-თქმის წინააღმდეგია, რადგან გულის-წყრომას ცეცხლის თვისება აქვს და სიძვას კი წყლისა, მოიგონოს სიტყვა მეოთხე ფსალმუნიდან: `განრისხდებოდეთ და ნუ ჰსცოდავთ, რაჲ სთქვათ გულთა შინა თქვენთა, სარეცელთა თქვენთა ზედა შეინანაეთ~ (4,4).

როცა მწიკლოვანი გულის-თქმა მრავალჯერ ცუდის ვნებისაკენ წარიტაცებს ჩვენს გონებას და არა წმიდებით ჩვენი სულიერი ძალის შეკრვას ისწრაფის, მოვიგონოთ

სიტყვა მეექვსე ფსალმუნიდან: `განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი, რამეთუ შეესმა უფალსა ხმან ტირილისა ჩემისან, ისმინა უფალმან ხმან ლოცვისა ჩემისა, უფალმან თაყვანის ცემან და ვედრებან ჩემი შეიწყნარა~ (6, 8-9).

როცა ღვთის მადლით მოუძღვრდება ძალი ეშმაკისა და ვეღარ შეუძლია ღვთის მვედრებელის სულის მოწყვლა, და უჩვენებს მხოლოდ გონებით სხვათა ბოროტისა და ბილწის საქმის მოქმედთა, მოიგონოს სიტყვა მეცხრე ფსალმუნიდან: `მტერისა მახვილსა მოაკლდა სრულიად და ქალაქნი აღაოხრეს, წარწყმდა სახსენებელი მათი ღაღადებით და უფალი ჰგიეს უკუნისადე~ (9,6-7).

როცა სიძვის ეშმაკი მოღვაწეს დაესხმის, გონებას განუკრთობს და დაავიწყებს, თუ როგორ უნდა ევედროს უფალს მის (სიძვის ეშმაკის) გასადევნელად, მისთვის კეთილად არს შესვლა სენაკსა და გულის-ხმის-ყოფა სიტყვათა ამათ მეთორმეტე ფსალმუნისა: `განანათლენ თვალნი ჩემნი, ნუ უკვე დავიძინო სიკვდიდ, ნუ სადა ჰსთქვას მტერმან ჩემმან: მძლე ვევაყ მას~ (12, 3-4).

როცა გული გეტყვის ძნელია სიძვის გულისთქმასთან ბრძოლა და ვის შეუძლია მისი მორევაო, მოიგონე სიტყვა მეათშვიდმეტე ფსალმუნიდან: `რომელნი აღდგომილ არიან ჩემზედა ჰყვენ იგინი ჩემ ქვეშე, მტერნი ჩემნი დევნულ ჰყვენ და მოძულენი ჩემნი მოსრენ, დავაწვრილნე იგინი, ვითარცა მტვერნი წინაშე ქარსა, და ვითარცა თიხა უბნისა დავსთრგუნე იგინი~ (17, 39-42).

როცა მტერი ხორცის ბრძოლით უეცრივ შეებმება კაცს, გონებას ვერ უცვლის არა წმიდა გულის-თქმით, სამადლობელად მოიგონოს სიტყვა ოცდამეცხრე ფსალმუნიდან: `მოაქციე გლოვა ჩემი სიხარულად ჩემდა, განმძარცვე მე ძაძან და შემმოსე მე სიხარული~ (29, 11).

როცა გული წინადვე გვეტყვის, მოგერევა სიძვის ეშმაკი და ვერ შეგიძლია წინააღმდეგობა გაუწიო, უნდა მოვიგონოთ სიტყვა ოცდა-მეთოთხმეტე ფსალმუნიდან: ჰრცხვენოდენ და კდემებოდენ, რომელნი ეძიებენ სულსა ჩემსა, მართლ უკუნ-იქცნენ და სირცხვილელ უქმნენ, რომელნი ზრახვიდეს ჩემთვის ძვირსა~ (34, 4).

როცა გული გეტყვის, ჩემზე მომავალი სიძვის ეშმაკი ჩემზე უძლიერესია და მაიძულეებს ცოდვის საქმით აღსრულებასაო, მოიგონე სიტყვა ოცდა მეთოთხმეტე

ფსალმუნიდან: `იქმნენ იგინი, ვითარცა მტვერნი წინაშე ქარსა და ანგელოსმან უფლისამან აჭირვენ მას, იყვნეს გზანი მათნი ბნელ და საცთომელ და ანგელოსმან უფლისამანა ჰსდევნეს იგინი~ (34, 5-6).

როცა სიძვასთან ბრძოლის დროს გულის-თქმა ძაძის ჩაცმას გვაძაგებს და გვავიწყებს, რომ ცოდვის მოსანანიებულად თვით დავითიც ამ გვარად მოიქცა ჩვენდა სასწაულად (სასწავლებლად), მოვიგონოთ იმავე დავითის საქმე და სიტყვა ოცდა მეთოთხმეტე ფსალმუნიდან: `ხოლო რაჟამს იგინი მაჭირვებდეს მე, შევიმოსი ძაძა და დავიმდაბლი მარხვითა სული ჩემი~ (34, 13).

სიძვის გულის-თქმით მუდამ შეურვებულმა და მოუძღვრებულმა, რომელსაც იმედი აღარ აქვს მისი გაქარვებისა და გონებაში ჩარჩენილი აქვს ერთი რაიმე მავნებელი სახე, მოვიგონოს სიტყვა ოცდამეთექვსმეტე ფსალმუნიდან: წუთლა და არღა იყოს უღმრთო, ეძიებდე ადგილსა მისსა და არა ჰპოო~ (36,10).

როცა ეშმაკი პირმშვენიერისა შიშველის დედაკაცის სახით გვეჩვენება და გვაიძულებს ცუდისა და ბოროტის საქმის ქმნასა, მოვიგონოთ სიტყვა ორმოცდა მეთერთმეტე ფსალმუნიდან: `ამისთვის დაგამხვას შენ ღმერთმან სრულიად, აღგვხვრას და განგხადოს შენ საყოფელთაგან შენთა და ძირნი შენნი ქვეყანისაგან ცხოველთასა~ (51,5).

როცა მოღვაწეს გული ეტყვის სიწმიდისაგან დაცემას, ცოდვაში ჩავარდნას და კაცთა სირცხვილი შეაწუხებს, მიუგოს ას-ოცდა-მერვე ფსალმუნიდან: `ჰრცხვენოდენ და მართლ უკუნ-იქცნენ ყოველნი მოძულენი სიონისანი, იქმნენ იგინი ვითარცა თივა ერდოსა, რომელი პირველ აღყვავებისა განხმის~ (128, 5-8).

ვერცხლის-მოყვარებისათვის

ვერცხლის-მოყვარება ძირია ყოველ გვარ ბოროტებისა და, როგორც ხე რტოთა ისე ზრდის სხვა ბოროტ ვნებათა, რტო თუ მოჰკვეთე, ხე სამაგიეროდ მაშინვე სხვას გამოიბამს და მისგან აღმოცენებულს გასახმოზად არ გაუშვებს, ვისაც სურს ვნებათა მოშორება, ძირი უნდა მოჰკვეთოს: თუ ვერცხლის-მოყვარება გექნება, რტოს მოსხეპა უსარგებლოა, რადგან ისევ სხვა აღმოცენდება. მონაზონი მრავალი მონაგების უფალი ტვირთმძიმე ნავია და მრავლის. ღელვისაგან ადვილად დაინთქმება როგორც ნავი მრავლისა და თითოეულის ღელვისაგან უფრო და უფრო წყლით აივსება, ეგრეთვე მრავალის მონაგების ზრუნვისა გამო კაცი შთაინთქმება. უპოვარი (არა-ვერცხლის

მოყვარე) მონაზონი განკვართული (ამოკაპიწებული) მოგზაურია, რომელიც ყოველს ადგილას იპოვის სადგურს, უპოვარი მონაზონი მაღლა მფრინვალე არწივია: საზრდოსათვის მაშინ დაშრიალდება, როცა ჯერია და მხოლოდ საკმარს ეძიებს. ასეთი მონაზონი ყოველს განსაცდელს მაღლა უდგას, ჰკიცხავს საწურთოსა და საუკუნოდ ამაღლდება, ქვეყანას შორდება და ზეციერს სავანეში მიმოვალს; ფრთები სუბუქი აქვს და ზრუნვისაგან არა დამძიმებული. ჭირი და ვნება თუ რამ შეემთხვა, ადვილად სტოვებს ადგილს ვნებისას, სიკვდილი თუ შეემთხვა, სიხარულით გადის ამ სოფლიდან. იგი ქვეყნიურის საკვრელით არ არის შეკრული, ხოლო მრავალის მონაგებით დამძიმებული მონაზონი შეკრულია დიდის ზრუნვისაგან და როგორც ძალი ჯაჭვით დამბულია; თუ ძალა უნებურად ადგილიდგან ადგილას გადასვლა შეემთხვა, მონაგებთა ხსენება და უსარგებლო ზრუნვა მძიმე ტვირთივით დააწვება. მისის ხსენებით მარადის ძლიერად იწყვლის მისი გული. როცა სიკვდილი შეემთხვევა, ყოველსავე საწყალობელად სტოვებს, როცა სული ხდება თვალს მაინც ვერ ამორებს საფასე-საუნჯესა, გაქცეულს მონასავით შეპყრობილს ძალად მიათრევენ. სული მისი ხორცს ადვილად შორდება, მონაგებისაგან კი არ უნდა განშორება; წამყვანებლებზე უფრო ანგარების ვნება იჭერს.

როგორც ზღვა არ აღივსება მდინარის შედინებითა, ეგრეთვე ვერცხლის-მოყვარის გული ვერ გაძლება საფასითა; ორი იმოდენა რომ მოიგოს, კიდევ ორი იმოდენა სურს და მის უმეტესად განმრავლებისათვის არა სცხრება, სანამ მის უსარგებლო მისწრაფებას უცარი სიკვდილი არ დააცხრობს, გონიერი მონაზონი მხოლოდ ხორცისათვის საკმარისს იძუადებს და მუცლის ნაკლულევანებას მხოლოდ პურითა და წყლით იკმაყოფილებს. მდიდარის სანოვაგისათვის გული არ უთქვამს და გონების უაღრესობას მის მრავალ გვარს უფლებას არ დაამონებს. მისი ხელი მხოლოდ ხორცისათვის საჭირო სახმარს ემსახურება და ბუნებრივის საზრდოს მოპოებით კმაყოფილდება. უპოვარი მონაზონი დაუბრკოლებელი მოღვაწეა, მსუბუქად მავალი და ადრე მიიწის საგრობასა მას ზეცისა ჩინებისასა.

ანგარი მონაზონი მრავლის შემოსავლისათვის ხარობს, უპოვარი მონაზონი კი სათნოების გვირგვინისათვის. ვერცხლის-მოყვარე მონაზონი ძლიერად შვრება, უპოვარი კი განკაპიწებულია ლოცვისა და წიგნის კითხვისათვის. ვერცხლის მოყვარე საუნჯეს ივსებს ოქროთი, ხოლო უპოვარი კი ცათა შინა იუნჯებს.

სიტყვის მიგება ვერცხლის-მოყვარების გულის-თქმისა 1

როგორი ჯერი და სამართლიანიც არის გლახაკთა მმათა და დავრდომილთა წყალობა, ამისათვის თქმულია სახარებაში: `ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ~ (მათ. 5,7).

ვისაცა სურს საფასისა ანუ აგარაკთა წამრთმევისათვის საჩივარი სამართალში და არ იცის, რომ თვისის სულის თავისუფლების წამრთმევისათვის უფრო მეტი კეთილის ყოფა მართებს, უნდა მოიგონოს სიტყვა მათეს სახარებიდან: `რომელსა უნდეს სასჯელად და მიღებად კვართი შენი, მიუტევე სამოსელიცა შენი~ (5,40).

როცა გული ძმისთვის რისამე სესხებას გვიშლის და გვეტყვის: ვერ შესძლებს გადახდასაო, მივუგოთ სიტყვა მათესა სახარებისაგან: `რომელი გთხოვდეს შენ მიეც, და რომელსა უნდეს სესხებად შენგან, ნუ გარე მიიქცევი~ (იქვე 5,42).

როცა გული საფასის მოგებას გვაწვევს და მისთვის ზრუნვა გონებას შეგვიშფოთებს, მივუგოთ სიტყვა მათესა სახარებისაგან: `ნუ იუნჯებით თქვენ საუნჯესა ქვეყანასა ზედა, სადა მლილმა და მჭამელმან განრყენის, და სადა მპარავთა დასთხარიან და განიპარიან, ხოლო თქვენ იუნჯებდით საუნჯეთა ცათა შინა, სადაცა არცა მლილმან, არცა მჭამელმან განრყენის და სადა არცა მპარავთა დასთხარიან და განიპარიან, რამეთუ სადაცა არს საუნჯე თქვენი, მუნცა იყოს გული თქვენი~ (6,10-21).

როცა გული გვეტყვის ქონებითა და საფასითაც შეიძლება ღვთის მონებაო, მივუგოთ სიტყვა მათეს სახარებისაგან: `ვერვის ხელეწიფების ორთა უფალთა მონებად, ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხვა იგი შეიყვაროს, ანუ ერთისა მის თავს იდვას და ერთი იგი უგულუბელს ჰყოს: ვერ ხელეწიფების ღვთისა მონებად და მამონისა~ (6,24).

რომელიც ნაკლულოვანების დროს სხვისგან საჭიროებს განსვენების მოპოვებას და სახმართა მიღებას, ხოლო თვითონ კი არა სურს გაჭირვებულის ძმის დახმარება, მოიგონოს სიტყვა მათეს სახარებისაგან: `ყოველი რომელი გინდეს თქვენ რათა გიყონ კაცთა, ეგრეთვე თქვენ ჰყავთ მათდა მიმართ, რამეთუ ესრეთ არნ სჯული და წინასწარ-მეტყველნი~ (7,12).

როცა გული ნებას არ გვაძლევს საფასის განზნევას, მიზეზს რასმე გვიპოვნის, და წმიდათა ადგილთა მოლოცვას გვირჩევს, უნდა მივუგოთ სიტყვა მარკოზის სახარებისაგან: `ვითარმედ ძნიად შევიდეს სასუფეველსა ცათასა, რომელსა აქვს საფასე~, რაოდენ ძნელ არს, რომელნი საფასეთა ესვიდენ შესღვად სასუფეველსა ღვთისასა! უადვილეს არს აქლემი ხვრელსა ნემსისასა განსღვად, ვიდრე მდიდარი შესღვად სასუფეველსა ღვთისასა~ (10,23-25).

როცა გული მოგვაგონებს პირველ სოფლიურს მთავრობის პატივსა და საფასეთა შემოსავლის აღრიცხვას, მივუგოთ სიტყვა ლუკას სახარებისაგან: `რან სარგებელ არს კაცისა შეთუიძინოს სოფელი ყოველი და თავი წარიწყმიდოს, გინა იზღვიოს~ (9,25)?

როცა გული გვაიძულებს ჩვენის მონაგების განმრავლებას და მრავალ-წილ ყოფას (ერთი ნაწილის მრავლად გადაქცევას), მივუგოთ სიტყვა ლუკას სახარებისაგან: `ეკრძალებით და დაიცვენით თავნი თქვენნი ყოვლისაგან ანგარებისა, რამეთუ არა ნამეტნავისაგან ვისისამე არნ ცხოვრებან მისი ნაყოფთა მისთაგან~ (12, 1 5).

როცა გული მიგვაქცევს საფასის სიყვარულისაკენ და ჰსურს ჩვენი გონება მსოფლიო საქმეს შემსჭვალოს, მივუგოთ სიტყვა ლუკას სახარებისაგან: `განყიდენით მონაგები თქვენი და მიეცით ქველის საქმედ~ (12, 33).

როცა გული მოგვაგონებს დიდს სიგლახაკესა და წინ წამოგვიყენებს ჭირსა, მრავალსა საღმრთოსა და გვეტყვის,-არავინ არს შემწე და ხელის აღმპყრობელი ჩვენი ამ გვარის ჭირის დროსა, მოვიგონოთ სიტყვა შექმნათაგან: `უკეთუ იყოს უფალი ჩვენთანა და დამიცვას გზასა ამას, რომელსა მივალთ და მცეს ჩვენ პური საჭმელად და სამოსელი შემოსად და მომაქციოს მე ცოცხლებით სახლსა მამისა ჩემისასა და იყოს უფალი ღმერთი ჩემდა და დიდი ესე, რომელ აღვსდგი ძეგლად იყოს სახედ ღვთისა ჩემისა~ (28, 20, 22).

როცა გული ვერცხლის-მოყავრებით მშობლებისათვის საყვედურის თქმას გვაწვევს, რატომ მათის მონაგებიდან არაფერს გვაძლევენ ჩვენ, მონაზონობაშიო, მივუგოთ სიტყვა გამოსლვათაგან: `რომელი ბოროტსა იტყოდის მამისა, გინა დედისა თვისისათვის, სიკვდილითა მოჰკვედინ~ (21, 16).

როცა გული გვაწვევს ახლად მოსული ძმა წესზე მეტის შრომით შევაწუხოთ ვერცხლის შეკრებისათვის, მივუგოთ სიტყვა გამოსლვათაგან: `მსხემსა მას ნუ აჭირვებთ, რამეთუ თქვენ იცით ჭირი მწირისა (უცხო) და მსხემისა (უბინაო), რამეთუ თქვენსა მწირ და მსხემ იყვენით ეგვიპტეს შინა~ (22,12).

როცა ვერცხლის სიყვარული განაფიცებებს ჩვენს გულს იმ ძმაზე, რომელიც მცირე საფასეს ითხოვს ჩვენგან და ქონების მარტო ჩვენთვის შენახვას გვირჩევს, მივუგოთ სიტყვა ლევიტელთა წიგნისაგან: `შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი, მე ვარ უფალი ღმერთი თქვენი~ (19,18).

როცა ვერცხლის-მოყვარეობითა და მისი შეკრების წადილით გული გვითქვამს, ჩვენზე უმცროსს ძმას ლოცვა ანუ წიგნის კითხვა დავუშალოთ და განუწყვეტლად ვაშრომთ, მოვიგონოთ სიტყვა ლევიტელთა წიგნისაგან: `ნუ ვინ აჭირვებნ კაცი ცუდად მოყვასსა და გეშინოდენ ღვთისა შენისაგან, მე ვარ უფალი ღმერთი შენი~ (25, 17).

ვისაც ვერცხლის-მოყვარეობის გამო გული უთქვამს ხანგრძლივის სწეულებით განლეული და სიგლახაკით შეჭირვებული ძმა მოიძულოს, მოიგონოს სიტყვა ლევიტელთა წიგნისაგან: `უკეთუ გლახაკი იყოს ძმა შენი და ვერ შემძლებელ იყოს ხელითა შენ შორის, ხელი აღუპყარ, ვითარცა მწირსა და მსხემსა და სცხონდეს ძმა იგი შენი შენთანა~ (25,35).

როცა გული თხოულობს ძმისაგან ძალაზე გადამეტებულ ხელ-საქმის კეთებას, მოვიგონოთ სიტყვა ლევიტელთაგან: `არა დაამძიმოს კაცად-კაცადმან ძმასა თვისსა, რუდუნებად წინაშე მისსა~ (25, 46).

ვისაც არა ჰსურს ვერცხლის ანუ დრაჰკანის მიცემა თვისის ძმისათვის, როცა სასესხებლად სთხოვს, მოიგონოს სიტყვა მეორე სჯულისაგან: `უკეთუ ვინმე იყოს თქვენ შორის ნაკლულევან ძმათა შენთაგანი, არა გარე მიაქციო გული შენი მისგან და არცაღა კრულ ჰყო ხელი შენი ძმისა შენისა ნაკლულევანისაგან, არამედ ხსნილ ჰყო ხელი შენი მისთვის და ავასხო მას, რაოდენცა უხმდეს მიცემით მისცე მას, რაოდენცა აკლდეს~ (15, 7-8).

ვისაც სურს ფქვილისა, ღვინისა და ყოველსავე თავისი ქონების შენახვა და არავისი ნაკლულევანის დახმარება და განსვენება ანუ თავისი მონაგებისაგან გამოზრდა, მოიგონოს სიტყვა მეორე სჯულისაგან: ~დაიწყევნეს საუნჯენი შენნი~ (28, 17) და არავინ განისვენა ჭირვეულმან ძმამან.

რომელნიც სიმდიდრეს უფრო პატივს სცემენ, ვიდრე სიგლახაკესა, მოიგონონ სიტყვა მეორე სჯულთა წიგნისაგან: `ანუ არა უმჯობეს არსა საკუფხლებელი (ტევანი ყურძნისა) იგი ეფრემისა, ვიდრეღა სასთლობელი ამიეზერისა? (8,2).

როცა მოწყალებასა ვყოფთ და საფასის წარგება დავგვენანება, მოვიგონოთ სიტყვა მეფეთა წიგნისაგან: `იყვნედ გულნი თქვენნი სრულ უფლისა მიმართ ღვთისა

თქვენისა სიწმიდით ვიდოდეთ ბრძანებათა მისთა და იმარხევდით მცნებათა მისთა~ (3 მეფ. 6,12).

რომელსაც ხორცის მოკვდინება სწადიან ქრისტესთვის მორჩილებითა და მერმე მოისურვებს რამდენისამე ქონების შენახვას და არ მოიგონებს, ელისემ როგორ უარჰყო თავისი ქონება, უნდა მოიგონოს სიტყვა მეფეთა წიგნისაგან: `წარვიდა მიერ ილია და ჰყო ელისე ძენ სავატისი და იგი ჰხვნიდა ათორმეტითა უღლითა ხარითა წინაშე მისსა და იგი ზედაადგა ათორმეტთა და მიაგდო ილია ხალენი ელისეს ზედა, და დაუტევა ელისე ხარნი და იგი მოხნავნი და მისდევედა შემდგომად ილიას და ჰრქვა ილია: უკუნიქეც რაჲ გიყავ შენ და მოიქცა ელისე მისგან და მოიბა უღლეული იგი ძროხათა და წარვიდა და შეაგბო იგი ჭურჭლითა მით ძროხათათა და მისცა იგი ერსა და შეჭამეს და აღსდგა ელისე, წარვიდა და შეუდგა ილიას და მსახურებდა მას~ (3, 19, 19-20).

ვისაცა ჰშურს ვერცხლის ანუ სხვა სახმარის წარგება უცხო ძმათა განსასვენებლად, მოიგონოს სიტყვა მეფეთა წიგნის მეოთხე თავისაგან: `და ჰრქვა ელისე მსახურსა თვისსა, შეადგ შენ ქვაბი ეგე დიდი და უგბე საგბოლველი ძეთა მაგათ წინასწარ-მეტყველთასა~ (4.4, 38).

ვისაც საფასეს მიანდობენ სულეირად განსაგებელად და მას თვისის გულის-თქმისაებრ ჰსურს წარგება მისი და არ მოიხსენებს გეზის კეთროვნებასა და ელისეს მხილებას, რომელმაც განაქიქა ვერცხლის-მოყვარეობისა სენი. მშობელი ყოველთა ბოროტთა, მოიგონოს სიტყვა მეფეთა წიგნის მეოთხე თავიდან: `ჰრქვა მას ელისე, ვინა (საიდგან) მოხვალ გეზი~ და ჰრქვა, არა ვიდრე სრულ ვარ მონა შენი იმიერ, გინა ამიერ, ჰრქვა მას ელისე, გული ჩემი შენთანა იყოა, რაჟამს მოიქცა კაცი იგი ეტლთა მათგან და მოგეგებოდა შენ და აჰა ვერცხლი იგი მოიღე და სამოსელი და მოიგე მით მტილი და ზეთისხილები და ვენახი, ზროხა და ცხოვარი, მონაჲ და მხევალი და კეთოვანებაცა იგი ნემანისი შეგდვას (მოგეფინნეს) შენ და თესლსა შენსა უკუნისამდე. და გამოვიდა პირისაგან მისისა განკეთროვნებული, ვითარცა თოვლი~ (4. 5, 24-26).

როცა ვერცხლის სიყვარულისა გამო გული გვეტყვის სამკვიდრებელისა და მამულის ნაწილისაგან განუშორებლობას, მოვიგონოთ სიტყვა მეხუთმეტე ფსალმუნიდან: `უფალი ნაწილ არს მკვიდრობისა (ტევანი ყურძნისა) ჩემისა და სასუმელისა ჩემისა შენ ხარ, რომელმან მომაგე მემკვიდრობაჲ ჩემი ჩემდა~ (15,54).

როცა მშობლებზე გული გვიდრტვინავს იმის გამო, რომ ისინი არა წარმოსცემენ ჩვენთვის საფასესა და სახმარსა, მოვიგონოთ სიტყვა ოცდა მეექვსე ფსალმუნიდან: `რამეთუ მამამან ჩემმან და დედამან ჩემმან დამაგდეს მე, ხოლო უფალმან შემიწყნარა მე~ (26,10).

როცა გული გვეტყვის, აჰა ერის კაცობაში მყოფი შენი ძმები მდიდრები არიან, ყველასაგან პატივცემული და ქებული და შენ კი გლახაკი ხარ, ნაკლულევანი და საწუნელიო, მოვიგონოთ სიტყვა ოცდამეცამეტე ფსალმუნიდან: `უფლისა-მიერ იქოს სული ჩემი, ესმოდის მშვიდთა და იხარებდენ. მდიდარნი დაგლახაკენ და შეემშია, ხოლო რომელნი ესვენ უფალსა არა ნაკლულევან იქმნენ ყოვლისაგან კეთილისა~ (33, 2,10).

რომელთაა არ იციან, რომ სიკვდილის დროს წარმოგვიდგებიან ეშმაკნი და გვამხელენ, კეთილად განვაგეთ ღვთისაგან ჩვენდა მოცემულნი საფასენი და მონაგები თუ არა, მოვიგონოთ სიტყვა ოცდამეექვსე ფსალმუნიდან: `ჰხედავენ ცოდვილი მართალსა და ეძიებნ მას, რანთამცა მოკლა იგი, ხოლო უფალმან არა დაუტეოს იგი ხელთა მისთა, არცა დასაჯოს იგი, რაჟამს განიკითხვიდეს მას, დაუთმე უფალსა და დაიცევ გზან მისი და მან აღგამაღლოს შენ დამკვიდრებად ქვეყანისა და მოხვრან ცოდვილთან იხილო~ (36, 32-34).

რომელიც სოფლის საქმეში გართულია და უყვარს ამაოება და ეძიებს სახლსა, საფასეთა და მამულთა, მოვიგონოს სიტყვა მეორმოც-და-მეოთხე ფსალმუნიდან: `მოყავ ყური შენი და დაივიწყე ერი შენი და სახლი მამისა შენისა და სთნდეს მეუფესა სიკეთენ შენი~ (44,10).

ვისაც გული უთქვამს საფასეთათვის და არა გულის-ხმობენ, რომ ამაოა და ცუდი ბუნება მსოფლიოსი, მოვიგონოს სიტყვა მესამოცდა-ერთე ფსალმუნიდან: `სიმდიდრე თუ გარდაგერიოს, ნუ შეაპყრობთ გულთა თქვენთა~ (61, 10). აგრეთვე სიტყვა ფსალმუნიდანვე: `ამოდ შვრებიან, იუნჯებენ, არა უწყინ ვინ შეკრიბოს იგი~ (38, 6).

როცა გული მოგვაგონებს სახლის მამულსა და მსოფლიო ცხოვრებას, იგი მოგვესურება და მდაბალ სენაკს შეგვაძაგებს შეურაცხვეყოფინებს, მოვიგონოთ სიტყვა ფსალმუნიდან: `ვირჩიე მე მივრდომად სახლსა უფლისასა, ვიდრე დამკვიდრებად საყოფელსა ცოდვილთასა~ (83;10)

როცა ხორცის სახმარი მოგვაკლდება და ღვთის სახიერებასა და ქველმოქმედებაზე სასოება მოგვემლება, მოვიგონოთ სიტყვა ოთხმოცდამესამე ფსალმუნიდან: `უფალმან არა მოაკლოს კეთილი მისი მათგან, რომელნი ვლენან უბიწოდ~(83;11).

როცა ჩვენს გონებას ვერცხლის სიყვარული წარიტაცებს, ანუ მოგონება პირველ წარგებულ საფასისა, ანუ წადილი გაგვიჩნდება კიდევ სხვა ქონების მოგებისა, ანუ რაღაც გვაქვს, იმის შენახვისა, მოვიგონოთ სიტყვა ასმეთვრამეტე ფსალმუნიდან: `მოსდრიკე გული ჩემი წამებათა შენთა და ნუ ჰანგარებასა, მოაქციენ თვალნი ჩემნი, რათა არა იხილონ ამაოება და გზასა შენსა მაცხოვრე მე~ (118;37).

სიტყვის მიგება ვერცხლის-მოყვარების გულის-თქმისა 2

როცა გულში ვერცხლის სიყვარული გაგვიჩნდება უცხოთა სიყვარულისა და გლახაკთა შეწყალებისათვის, და გვეუბნება საბჭოსა და მსაჯულთან წასვლას ძველ თანამდებთა და მემამულეთა მოვალეთაგან საფასის საძებნელად, რომ მით მოჩვენებული უცხოთმოყვარეობა აღვასრულოთ, მოვიგონოთ სიტყვა ასოცდამეცხრამეტე ფსალმუნიდან: `ჰზრახეს დაბრკოლება სულთა ჩემთა, და დამირწყეს მე ამპარტავანთა მახედ, საბელნი განმზადეს მახედ ფერხთა ჩემთა და გარემოს ალაგთა ჩემთა საცთური დამიდგეს მე~ (139;5).

როცა ვერცხლის მოყვარეობისაგამო გული წინადვე გვეუბნება და გვაურვებს, როგორ შევსძლო მრავალს წელს ამ გვარის სიგლახაკითა და უპოვარებით ცხოვრებაო, მოვიგონოთ სიტყვა ასორმოცდა სამ ფსალმუნიდან: `კაცი ამაოებასა მიემსგავსა და დღენი მისნი, ვითარცა აჩრდილნი წარხდეს,~ და მერმე იტყვის: `გამოავლინე ხელი შენი მაღლით, მიხსენ და განმარინე წყალთაგან მრავალთა, ხელთაგან შვილთა უცხო თესლთასა, რომელთა პირი იტყოდა ამაოებასა და მარჯვენე მათი მარჯვენე იყო სიცრუედ~ (143, 4.7.8).

როცა ანგარებისა გამო მოწყალებასა და ქველის საქმისათვის მცონარებასა და უდედებას მივეცემით, მოვიგონოთ სიტყვა იგავთაგან: `მოწყალებანი და სარწმუნოებანი ნუ მოგაკლდებიედ, შეიბენ იგინი ყელსა შენსა და ჰპოვო მაღლი, წინასწარ განიზრახევდ კეთილსა წინაშე ღვთისა და კაცთა~ (3,3).

როცა ვერცხლის-მოყვარეობისა გამო მოწყალების გაცემისა და ქველის საქმისათვის გული გვიწუხს სიგლახაკისა ანუ უძლურების მიზეზით. მოვიგონოთ სიტყვა იგავთაგან: `ნუ დააყენებ კეთილის ყოფასა ნაკლულევანისა, რაჟამს აქვდეს ხელსა შენსა შეწევნაჲ! ნუ იტყვი, წარვედ აწ და ხვალე მოგცე, ძალ თუ გედვას კეთილის ყოფად, რამეთუ არა უწყი, რაჲ შვეს ხვალემან.~ (3, 27-28).

როცა გული ვერცხლის სიყვარულისთა გამო საფასეთა შეძენის სურვილსა და გულის-თქმით დღე და ღამ ხელსაქმეზე გვაწვევს და ლოცვასა, წიგნის კითხვასა და

სნეულის ნახვას გვაშორებს, მოვიგონოთ სიტყვა იგავთაგან: `სჯობს მცირედი ნაწილი შიშითა უფლისათა, ვიდრე საუნჯეთა დიდთა უშიშოების; უმჯობეს არს მცირედი მისაღები სიმართლით, ვიდრე ფრიადი ნაყოფი სიცრუით, რამეთუ არა ერგოს საფასე დღესა რისხვასა, ხოლო სიმართლე იხსნის რისხვისაგან~ (15,15); (16,8); (10,2).

როცა ქველის საქმისათვის გულში სინანული გაგვიჩნდება და საფასის ურიგოდ წაგებას გვაბრალეხს, მოვიგონოთ სიტყვა იგავთაგან: `სახსარ სული კაცისა სიმდიდრე თვისი, ხოლო გლახაკმან ვერ დაუთმოს, რომელი ესვიდეს სიმდიდრესა, იგი დაეცეს, ხოლო რომელნი შეეწეოდინ მართალსა, იგინი განბრწყინდენ~ (11,28).

ვისაც არა ჰსურს ქველის საქმის ქმნა სიბერისა ანუ ხანგრძლივის სიცოცხლის გამო, მოიგონოს სიტყვა იგავთაგან: `მოწყალებითა და სარწმუნოებითა განიწმიდებიან ცოდვანი, ხოლო შიშითა უფლისათა მოაქციის უფალმან ბოროტისაგან~.

ვისაც გულში გაუჩნდება უწყალოებისა და გულფხიზელობისაგან ვერცხლისა და ოქროს პატივისცემა, ვიდრე სიბრძნისა და საღმრთო გულის-ხმისყოფისა, მოიგონოს სიტყვა იგავთაგან: `უმჯობეს არს სიბრძნენ მოგებად, ვიდრე ოქროსა და ვერცხლისა საუნჯესა. უმჯობეს არს ანთრაკთა პატიოსანთა~ (3,13-15).

რომელიც უდებ ჰყოფს გლახაკთა წყალობასა, უცხოთა შეწყნარებასა და ჭირვეულის ხელის აღპყრობას, მოიგონოს სიტყვა იგავთაგან: `დიდ არს კაცი და პატიოსან მამაკაცი მოწყალე, კაცი მხიარული მიმცემელი უყვარს უფალსა. რომელი მისცემდეს გლახაკსა, არა ნაკლულევან იყოს, რომელმან გარე მიაქციოს პირი მისი გლახაკისაგან, მრავალსა უპოვარებასა შინა იყოს~.

როცა გული მოგვაგონებს ჩვენს სახლსა, საფასესა და სოფლის ცხოვრებასა, მოვიგონოთ სიტყვა ეკლესიასტესაგან: `ამაოება ამაოებათა, ჰსთქვა ეკლესიასტე, ყოველივე ამაო~ (1,2).

ვისი გულიც ვერცხლის-მოყვარეობით მოწადინეა შინ ქონებული საფასე შეინახოს და მოსწრაფეა გარედგანაც შეკრებას მასთან მყოფ ძმათა სამოღვაწეონ ანუ საღმრთო წიგთა მოსაგებელად, მოიგონოს სიტყვა ეკლესიასტესაგან: `რომელსა უყვარდეს ვერცხლი ვერ განსძღეს ვერცხლითა, ვინ შეიყვაროს სიმრავლენ ნაყოფთა და ესეც ამაოვე არს~.

როცა გული მოგვაგონებს პირველ წარგებულ საფასეს და იმ მონაგებით გვექნებოდა დიდი ხორციელი განსვენება, მოვიგონოთ სიტყვა იობისაგან: `უფალმან მომცა და უფალმანვე მიმიღო, ვითარცა ენება ეგრეთცა იქმნა, იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ~ (1,21).

ანგართ-მოყვარემ და ძუნწმა, რომელსაც საფასისა, სამოსლისა და სხვა სახმარის შეძენა და შენახვა ჰსურს და არ მიხედავს გლახაკთა ძმათა, მოიგონოს სიტყვა ისაია წინასწარ-მეტყველისა: `ეც მშიერსა პური შენი და გლახაკნი უსართულონი შეიყვანენ სახედ შენდა, იხილო თუ შიშველი შემოსე იგი და თვისი ნათესავისა შორისა არა უგულუბელს-ჰყო~ (58,7).

ვისაც ანგართ-მოყვარეობით გული უთქვამს სარგებლით ფულის გასესხება, მოიგონოს სიტყვა ისაიასი: `განისხენ კრულებან სიცრუისა და განხეთქე ყოველივე გულარძნილება მძლავრობით ვაჭრობისა და განუტევენ ჰყრობილნი მიტევებითა და ყოველი ხელით-წერილი სიცრუისა განხეთქე~ (58,6).

როცა გული გვაწვევს სამეფო საფასის გამგეობასა და მის შეწევნას, რომ მით მრავალ ერისკაცთა და მოანაზონთა დავებმაროთ, მოვიგონოთ სიტყვა საქმე მოციქულთაგან: `მაშინ მოუწოდეს ათორმეტთა მათ სიმრავლესა მას მოწაფეთასა და სთქვეს, არა სათნო არს ჩვენდა დატევებან სიტყვისა ღვთისა და მსახურებად ტაბლებსა~ (6,2).

ვისაც არა სწადიან ძმათა და გლახაკთათვის საღვაწოს მიცემა, მოიგონოს სიტყვა საქმე მოციქულთაგან: `ხოლო მოწაფეთა მათ ხელრანვის-ეწიფებოდა ჰბრძანეს თითოეულმან მათმან სამსახურებელად მიძღვანებად ძმათა მათ, რომელნი იგი მყოფ იყვნეს ურიასტანს~ (11, 29).

ხარბმა, რომელიც მიღებაზე უფრო მოსწრაფეა, ვიდრე მიცემაზე, მოიგონოს სიტყვა საქმე მოციქულთაგან: `ჯერ არს შეწყნარება უძლურთა მათ და ჭირვეულთა და მოხსენებად სიტყვა იგი უფლისა იესოსი, რამეთუ მან სთქვა: ნეტარ არს მიცემა უფროს მოღებისა~ (20,35).

რომელნიც ქველის საქმესა იქმენ, მაგრამ შენახებით, დრტვინვითა და მჭუმნვარებით, რაიცა სიყვარულისა და მოწყალების წესისაგან სრულიად უცხოა, არცა ჯერია ამ გვარ ქცევის მონება, არამედ მარტივის გულითა და მხიარულის პირით უნდა აძლევდეს,

მოიგონოს სიტყვა პავლე მოციქულისა რომაელთა მიმართ: `რომელი ნუგეშის-
ჰსცემდეს ნუგეშინის-ცემითა, რომელი მისცემდეს უხვებით, რომელი წინა უძლოდის
მოსწაფებით, რომელი ჰსწყალობდეს მხიარულებით, სიყვარულით
შეუორგულებელად, განეშორებით ბოროტსა და შეეყვებით კეთილსა ძმათ-
მოყვარებით, ურთიერთარს სურვილად მოყვარენ იყვენით, პატივის ცემასა ერთი
ერთსა უსწრებდით, მოსწრაფებასა ნუ მცონარე ხართ, სულითა მდუღარე იყვენით,
უფალსა მონებდით, სასოებითა გიხაროდენ, ჭირსა დაუთმობდით, ლოცვასა
განკრძალულ იყვენით, სახმარსა წმიდათასა ეზიარებოდეთ, უცხოთ-მოყვარებასა
შეუდეგით~ (რომ. 12, 8-13).

თუ გემოთ-მოყვარე და შეიწროებულის გულისთქმით მივსცემთ გლახაკს ქველის
საქმესა და მოწიწებითა და იწრო გონებით ვიქმთ, მოვიგონოთ სიტყვა პავლე
მოციქულისა კორინთელთა მიმართ: `რომელმან ჰსთესოს რიდობით, რიდობითცა
მოიმკოს და რომელი ჰსთესვიდეს კურთხევით, კურთხევითცა მოიმკოს; ნუ
მწუხარებით, ნუცა უნებლებით, რამეთუ მხიარულებით მისაცემელი უყვარს
უფალსა~ (2 კორ. 9, 6-7).

რომელნიც ვერცხლის-მოყვარეობითა და ანგარებით გარყვნიან იმ სიტკბობას,
რომელიც ვალდებული ვართ ძმისა მიმართ უნდა გვქონდეს, უნდა მოვიგონოთ
სიტყვა პავლე მოციქულისა ეფეს. მიმართ: `იყვენით ურთიერთარს ტკბილ, მოწყალე,
მიმმაღლებელ თავთა თვისთა, ვითარცა იგი ღმერთმან ქრისტეს-მიერ მოგვმადლა
ჩვენ~ (4,32).

როცა გული მარტო თავისთვის ეძებს სიხარულსა და განსვენებას, მოვიგონოთ სიტყვა
პავლე მოციქულისა კორინთელთა მიმართ: `ნუ თავისასა ხოლო კაცადი კაცად
ეძიებნ, არამედ მოყვასისასაც თითუელი თქვენი~ (1 კორინ. 10,24).

როცა გული საფასესა და ძველს სიმდიდრეს მოგვაგონებს, ვითომ განსასვენებელად
მრავალთა ძმათა, მოვიგონოთ სიტყვა პავლე მოციქულისა: `არამედ, რომელი იგი
იყოს ჩემდა შესაძინელ, ესე შემირაცხიეს ქრისტესთვის ზღვევად, არამედ ნამდვილვე
შემირაცხიეს ყოველი ზღვევად გარდამატებულისა მისთვის მეცნიერებისა ქრისტე
იესოს უფლისა ჩვენისა, რომლისათვის ყოველივე ვიზღვივე და შემირაცხიეს იგი
ნაგევად, რათა ქრისტენ შევიმოსოთ~ (ფილიპ. 3,7-9).

როცა გული ანგარებას მოგვაგონებს და მის ნაშობს კერპთ-მსახურებას არ
გამოგვიცხადებს, მოვიგონოთ სიტყვა პავლე მოციქულისა: `მოაკვირვებით ასონი ეგე
თქვენნი ქვეყანისანი: სიძვა, არა წმიდეზა, ვნებულნი გულის-თქმანი ბოროტნი და

ჰანგარება ბოროტი, რომელ არს კერპთ-მსახურება, რომლისათვის მოიწვევის რისხვა ღვთისა ნაშობთა მათ ზედა ურჩებისათა~ (კოლ. 3,5-6).

როცა გული საჭიროზე მეტს სახმარს ეძიებს, მოვიგონოთ სიტყვა პავლე მოციქულისა: `ვერცხლის უყვარულ იყვენით, წესითა კმა გეყავნ, რომელი იგი გაქვდეს, რამეთუ თავადმან ჰსთქვა, არა დაგიტეო შენ, არცა დაგაგდო შენ~ (ებრ. 13,5).

ვინც მომეტებულ საზრდოსა და სამოსელს ეძიებს და არ მოიგონებს, რომ შიშველნი განვალთ ამ სოფლიდან და უფრო შიშველი მოვედით, მოიგონოს სიტყვა პავლე მოციქულისა: `რამეთუ არა რაჲ შემოვიღეთ სოფლად, სჩანს, რამეთუ (არცა) განღებად რა ხელგვეწიფების, ხოლო მაქვდეს თუ საზრდელი და სამოსელი ესე, კმა იყავნ ჩვენდა, ხოლო რომელთა ნებავს სიმდიდრენ, შესცვივდნენ განსაცდელსა და საბრხესა და გულისთქმასა მრავალსა უცნაურსა და სავნებელსა, რომელთა დაანთქიან კაცნი მოსასრველად და წარსაწყმედელად~ (1 ტიმ. 6,7-9).

როცა ანგარსა გული ეტყვის ვერცხლის-მოყვარეობას არაფერი ბოროტი მოჰყვებაო, უფრო მისგან მრავალს ძმასა და უცხოს განსვენება მიეცემაო, მოიგონოს სიტყვა მოციქულის პავლესი: `რამეთუ ძირი არს ყოვლისა უკეთურებისა ვერცხლის-მოყვარეობა, რომლისა იგი ვიეთმე გული უთქმიდა და შესცთეს სარწმუნოებისაგან და თავნი თვისნი შესთხინეს საღმობასა მრავალსა~ (1. ტიმ. 6, 10).

ვისაც გული უთქვამს ვაჭრობით გამდიდრებას, მოიგონოს სიტყვა მოციქულის პავლესი: `არავინ მოღვაწე შეეყოფვის სოფლისა საქმეთა, რათა ერისთავსა მას სათნო ეყოს და უკეთუ ვინმე იღწვიდეს, არა გვირგვინოსან იქმნების არა თუ სჯულიერად იღვაწოს~ (2 ტიმ. 2,4-5).

რომელნიც მწუხარებით და გაჭირვებით იქმნენ ქველის საქმესა და იტყვიან, არა მაქვს საფასე და არცა არსაიდგან მოველიო, მოიგონოს სიტყვა პეტრე მოციქულისა: `ძმათა-მოყვარეობისათვის შეუორგულებელ იყვენით, გულითა ურთიერთას იყვარებოდით განმარტებულად, რომელი მსახურებდეს, ვითარცა ძალისაგან მრავალსა, რომელსა მოსცემს ღმერთი~ (1 პეტ. 1,22).

როცა ვერცხლის-მოყვარეობისა გამო გულის-თქმა ნებას არ გვამღევს უპოვარსა და გაჭირვებულ ძმას შევეწიოთ, მარტო სიტყვით აღვიარებთ ძმათა სიყვარულს, ხოლო საქმით კი, ანგარებისა გამო, უარ ვყოფთ ამ სიყვარულს, მოვიგონოთ სიტყვა იოანეს კათოლიკეთაგან: `უკეთუ ვისმე აქუნდეს საცხოვრებელი ამის სოფლისა და იხილოს

მმან თვისი, რომელსა ეხმარებოდის (ესაჭიროებოდეს) რანმე, და დახშნეს ნაწლევნი მისნი,-ვითარიმე სიყვარული ღვთისა ჰგიეს მის შორის? შვილნო, ნუმცა ვიყვარებდით სიტყვითა, (ანუ) ენითა ხოლო, არამედ საქმითა და ჭემმარიტებითა~, (3, 17-18), ქრისტე იესოს-მიერ, უფლისა ჩვენისა.

მწუხარებისათვის

მწუხარება არის მჭმუნვარება სულისა და ნაშობია მრისხანების გულის-თქმისაგან. გულისწყრომა კი არის წადილი შურის-გებისა. როცა კაცი შურს ვეღარ აგებს, იგი ჩავარდება მწუხარებაში. მწუხარება სხვათა მრავალთა ვნებათაგან ნაშობია და ვნებაც მშობელთა მწუხარებისა მწუხარება მატლია გულისა და მჭამელი მისის მშობელისა, მწუხარება პირია ვეშაპისა, მაძიებელი შთანთქმისა.

ყრმის შობის დროს დედა იტანჯება, შობის შემდეგ კი ტანჯვა უქრება, ხოლო მწუხარება შობის დროსაც დიდი სატანჯველია და შობის შემდეგაც მეტის ჭირისა და ტკივილის შემამთხვეველი. მწუხარებისაგან ძლეულმა არ იცის სიტკბოება სულიერის ნუგეშის-ცემისა ისე, როგორც ნადვლისაგან გამწარებული პირი ვერა სცნობს თაფლის გემოსა, მწუხარებისაგან ძლეულის გონება ღვთის სახილველად ვერ წარემართება, ვერც წმიდასა და წესიერს ლოცვას შესწირავს ღმერთსა. მწუხარება ყოვლის კეთილისაგან განმშორებელია; იგი საკვრველია ფეხისა და დამაბრკოლებელი სლვისა. მწუხარება სულიერის ხედვისაგან დამაშორებელია, როგორც ბარბაროსთაგან წარტყვენილი და ჯაჭვით შეკრული, ისე შეიკვრება კაცი მისის ვნებითა. თუ სხვა ვნება არ ახლავს, მწუხარება ვერა რას შემძლებელია ისე, როგორც არავინ შეიკვრის, თუ შემკვრელი არ იქნება მწუხარებით შეკრული ძლეულია ვნებათაგან და მისგან ძლეული ამ კრულებას თავის ძლეულების სამხილველად ატარებს. მწუხარება მომდინარეობს ამაო გულის-თქმათაგან, ვინც ვნებასა სძლევს, მას მწუხარება ვერ მოერევა.

მმარხველი კაცი, თუ შემთხვევით საქმელი არ ექმნა, არ შესწუხდება; სიწმიდის მოყვარეც არ შერცხვება მწიკლოვან გულის-თქმის შეუსრულებლობისათვის. არცა სახიერი და მშვიდი შესწუხდება შურის-უგებლობისათვის, არცა თავ-მდაბალი კაცი კაცობრივის ბუნების დაკლებისათვის და არცა ვერცხლის-მოდულე საფასის დაკარგვისათვის. ყოველივე ესე ვნება მას სრულიად უარ უყვია და როგორც ჯავშან-ჯაჭვით შეჭურვილს მხედარს ვერ განგმერს ისარი, ეგრეთვე წმიდა გონება არ მოიწყვლის მწუხარებისაგან. ფარი მხედრის მცველია და ზღუდე ქალაქისა, უვნებლობაც უფრო შემჭირუელია (საჭურველი) მონაზონისა. ფარს მრავალჯერ ასცილდება ისარი და მხედარი განიგმირება, ქალაქის ზღუდეც დაირღვევა ბევრის ბრძოლისაგან, ვნებისაგან თავისუფალ კაცს კი მწუხარება ვერ სძლევს. ვისაც

ვნებისათვის უძლევია, მას მწუხარებისათვისაც უძლევია. გულის-თქმისაგან ძლეული კი ვერ გადაურჩება მწუხარების საკვრელსა.

ვინც მწუხარებისაგან იძლევა და გულის-სიწმიდეს იჩემებს, იგი მსგავსია იმ კაცისა, რომელიც დიდად სნეულია და სიმრთელეს იჩემებს. როგორც სნეული იცნობება ფერის განლეულებითა და ძალის მოკლებით, ეგრეთვე ვნებულს ემხილება მწუხარებისაგან. ვისაც სოფელი უყვარს, მას მწუხარება არ მოაკლდება, ხოლო ვისაც სოფელი უარ-უყვია და მისი საქმე, იგი მარადის მოხარულია.

ვერცხლის-მოყვარე, როცა დაზიანდება, მწარედ შესწუხდება, ხოლო ვისაც საფასისათვის უარი უყვია, იგი შეუწუხებლად იქნება.

დიდების მოყვარე იგლოვს, როცა უპატიოვება შეემთხვევა, მდაბალი კი თვითვე შეირაცხყოფს მას.

როგორც სადნობი ქურა განსწმენდს გამოუცდელს ვერცხლსა, ეგრეთვე საღმრთო მწუხარება განსწმენდს კაცის გულს ცოდვათაგან, როგორც ზედი-ზედ გადადნობა მოაკლებს კალას სიმძიმესა, ეგრეთვე მწუხარება მსოფლიო მოაკლებს კაცსა ცნობასა. ამისთვის იტყვის ნეტარი მოციქული პავლე: `ვითარმედ ღვთისა-მიერი იგი მწუხარება სინანულსა ცხოვრებისასა შეუნანებელსა (შეურყეველსა) შეიქმს. ხოლო სოფლისა ამის მწუხარება სიკვდილსა შეიქმნს~ (2 კორ. 7,11).

რომელია საღმრთო მწუხარება? ერთი არის იგი, როცა წესიერის მწუხარებით იგლოვს კაცი თავის ცოდვებისათვის, და სინანულით და ღმობიერად შეევედრება უფალსა და წყალობასა სთხოვს, და მეორე არის იგი, როცა ძმასა სულიერი თუ ხორციელი განსაცდელი შეემთხვევა და მის გამო სულიერის სიყვარულის წესით შესწუხდება ღვთის მოყვარის სული. ამ ორ გვარი მწუხარების გარეშე სხვა მწუხარება უწესოა და მავნებელი.

როგორც ხშირი ცეცხლის არმური თვალთა სახედველს შეამღვრევს, ისე მხედველს გონებას დააბნელებს ვნებული მწუხარება.

როგორც მზის ნათელი ვერ ჩასწვდება წყლის უფსკრულამდე, ისე მწუხარებისაგან ძლეულსაც ვერ განაბრწყინებს ნათელი გულის-ხმის-ყოფისა.

საწადელია ყოველის კაცისათვის ნათელი მზისა, ხოლო შეწუხებულს სულს ისიც არ მიაჩნია საწადელად.

ვინც სოფლურს გულის-თქმას შეურაცხ-ჰყოფს, მას ვერ აწყენს სოფლური მწუხარების გულის-თქმანი და სხვა ვნებანი.

ისათვის ნათელი მზისა, ხოლო შეწუხებულს სულს ისიც არ მიაჩნია საწადელად.

ვინც სოფლურს გულის-თქმას შეურაცხ-ჰყოფს, მას ვერ აწყენს სოფლური მწუხარების გულის-თქმანი და სხვა ვნებანი.

მწუხარების გულის-სიტყვისათვის 1

ვინც არ იცის, რომ უძღურებას სარმწუნოებისას და შეუორგულებელის სასოების მოუგებლობას თან მოსდევს მწუხარება, შფოთი და ცუდი შიში კაცის გულში, მოიგონოს სიტყვა იოანეს სახარებიდან: `ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი, გრწმენინ ღვთისა და გრწმენინ ჩემდა მომართ,-სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალ არიან~ (14,1-2).

შეჭირვებულმა და მწუხარებით შეჰყრობილმა მოიგონოს სიტყვა იოანეს სახარებიდან: `ამინ, ამინ გეტყვი თქვენ, რამეთუ ჰსტიროდეთ და ჰგოდებდეთ თქვენ, ხოლო სოფელსა უხაროდის და მწუხარება თქვენი სიხარულად გარდაიქცეს~ (16,20).

ემმაკის ცუნდრუკებისა და ოცნებისაგან შეურვებულმა და დაღონებულმა უნდა მოიგონოს სიტყვა ლუკას სახარებიდან: `ნუ გეშინინ მცირესა მაგას სამწყსოსა, რამეთუ სათნო იყო მამამან თქვენმან მოცემად სასუფეველი~ (12,32).

მტერის მოსვლისაგან შეშინებულმა, როცა ასპიტივით და იქედნესავით მოუხდებიან, მოიგონოს სიტყვა ლუკას სახარებიდან: `ჰრქვა უფალმან თვისთა მოწაფეთა: აჰა მიგცემ თქვენ ხელმწიფებასა დათრგუნვად გველთა და ღიანკალთა და ყოველსა ზედა ძალსა მტერისასა და თქვენ არა რა გევნოს~ (10,19).

იმათ, რომელთაც ჰგონიათ დიდის მწუხარებისაგან უფალი არ ისმენს ჩვენს სულთქმასაო, მოიგონონ სიტყვა გამოსლვათაგან: `და სულთ-ითქმიდენ ძენი ისრაილისანი საქმეთა მათგან ფიცხელთა და ღალატებულთა, და მიიწია ღალატება მათი ღვთისა და შეისმინა ღმერთმან სულთქმანი მათნი~ (2,24-25).

ვისაცა ჰგონია, რომ უფალი არ მოხედავს მას ეშმაკის ძვირის მოქმედებისა, ბრძოლისა და შეწუხების დროს, მოიგონოს სიტყვა გამოსლვათაგან: `ჰრქვა უფალმან მოსეს, ხილვით ვიხილე ძვირი ერისა ჩემისა, რომელ არს ეგვიპტესა შინ ა და ღალატებან მათი მესმა საქმისა მაწვეველთაგან. ვიცი ჭირი იგი მათი და გარდამოვხდე განრინებადა~ (3,7-8).

ვინც არ იცის, რომ უფრო მაშინ განმრავლდება განსაცდელი და ბრძოლა, როცა სულიერად იწყებს კაცი ღვთის სიტყვის სმენას და მოსწრაფებით საქმით აღსრულებას, მოიგონოს სიტყვა გამოსლვათაგან: `მიაქცია მოსე ღვთისა და რქვა: `უფალო, რანსათვის განაბოროტე ერი ესე და რანსა მომავლინე მე? და ვინანთგან შევედ მე ფარაოსსა სიტყვად სახელითა შენითა, ბოროტსა უყოფს ერსა შენსა და არა იხსენ ერი შენი~ (5,22-23).

როცა კაცს სასოება აღარ აქვს, რომ შემწეობას მოუვლენს უფალი და მის გამო მწუხარებით დაემხოზა მოღვაწის სული, მოიგონოს სიტყვა გამოსლვათაგან: `წარვედ და ეტყოდე ძეთა ისრაილისათა და არქუ: მე ვარ უფალი ღმერთი შენი და გამოგიყვანნე თქვენ მძლავრებისა მეგვიპტელთასა და გიხსენე თქვენ კერპებისაგან მათისა და განგარინნე თქვენ მკლავითა მაღლითა და სასჯელითა დიდითა~ (6,6).

რომელთაც არ იციან, რომ სოფლიდამ ახლად მოსულნი არ მიცემიან ეშმაკთაგან ფიცხელ განსაცდელსა, არცა ჩვენებით და არცა ხელდახელ ბრძოლით, რომ შიშით არ განკრთენ და ისევ სოფლისაკენ არ მიიქცენ, მოიგონონ სიტყვა გამოსლვათაგან: `და ვითარ გამოიყვანა უფალმან ერი თვისი, არა წარუძღვა ქვეყანასა მას ფილისტიმელთასა, რმეთუ მახლობელი იყო, რამეთუ ჰსთქვა ღმერთმან: ნუ უკვე შეინანოს ერმან ამან, იხილოს რა ბრძოლან და მიიქცეს ეგვიპტედ~ (13, 17).

როცა გული გვეტყვის, ეშმაკებმა არ იციან, რომ უფალი ჩვენ მაგიერ ებრძვის მათ, უნდა მოვიგონოთ სიტყვა გამოსლვათაგან: `ჰსთქვეს მეგვიპტელთა მათ, ვილტვოდეთ პირისაგან ისრაილისა, რამეთუ უფალი გვბრძავს ჩვენ მათ წილ, მეგვიპტელთა~ (14, 25).

ემაკის ბოროტის ზრახვით შეურვებულმა მოიგონოს სიტყვა გამოსლვათაგან:
`ჰსთქვა მტერმან, ვჰსდევნო, ვეწიო, ვჰგვემო, განვიყო ნატყვენავი და განვიძლო თავი ჩემი, მოვსრა იგი მახვილითა, უფლებდეს მას ზედა ხელი ჩემი~ (15,9).

როცა გული გვეუბნება და გვაშინებს ემაკის ღამე მოსლვით, ღვთის საქებელად მოვიგონოთ სიტყვა გამოსლვათაგან: `დაეცეს მათ შიში და ძრძოლა, ძლიერებითა მკლავისა შენისათა, ქვა იქმნეს იგინი, ვიდრემდის განხდეს ერი შენი. უფალო, ვიდრემდის განხდეს ერი ესე შენი, რომელ გამოირჩე?~ (15, 16).

შეძრწუნებულმა მით, რომ ანგელოზი აღარ მიცავსო, მოიგონოს სიტყვა იქიდანვე:
`წარვიდეს ანგელოსიუ ჩემი მზღვრად შენდა, რათა დაგიცვას გზასა, ვიდრემდის შეგიყვანოს შენ ქვეყანისა მას, რომელი განგიმზადე შენ~ (23,20).

ღამის შფოთისა და ამბოხებისაგან შეწუხებულმან მოიგონოს სიტყვა ლევიტელთაგან:
`და მოვსცე მშვიდობა ქვეყანასა თქვენსა, და დაიძინებდეთ უზრუნველად და არავინ იყოს მაშინებელ თქვენდა, და წავსწყმიდო მხეცი ბოროტი ქვეყანისაგან თქვენისა, და ბრძოლა არა იყოს ქვეყანასა თქვენსა, და სდევნიდეთ მტერთა თქვენთა და დაეცნენ წინაშე თქვენსა მომწყდარნი მახვილითა~ (26, 6-7).

ემაკისაგან შეძრწუნებულმა, როცა უეცრივ ჰაერში სტვენას იწყებს მოიგონოს სიტყვა მეორეს სჯულისაგან: `იწყე მისა მიმართ ღვაწლი ბრძოლისა, დღეისით დღეთაგან დასდევ ჰერი (ძრწოლა) და შიში შენი პირსა ზედა ყოველთა წარმართასა, რომელნი არიან პირსა ქვეშე ცისასა, რათა ყოველთა, რომელთა ესმეს სახელი შენი შეძრწუნდნენ, და სალმობამან შეიყპრნეს იგინი პირისაგან შენისა~ (2,25-26).

როცა კაცობრივი გული გვეტყვის, ნუ თუ ჯერი არ არს მეტი სიტყვის-გება და ბრძოლა ემაკისაო, მოვიგონოთ სიტყვა იქიდანვე: `და მე გარქვ თქვენ, ნუ გეშინინ, ნუცა შეძრწუნდებით მათგან, რამეთუ უფალი ღმერთი თქვენი წარგიძღვეს წინაშე პირსა თქვენსა და იგი ბრძოდეს მათ თქვენ წილ~ (1,29-30).

ცეცხლისა ფერისა და ლამპრის ალის მსგავს თვალით გამოჩენილ ემაკისაგან შემფოთებულმა მოიგონოს სიტყვა მეორე სჯულისაგან: `ნუ გეშინის, ნუცა შეძრწუნდებით მათგან, რამეთუ უფალი ღმერთი თქვენი ჰბრძოდეს მათ თქვენ წილ~ (3,24).

როცა ეშმაკნი ზახებითა და რეხვებით უეცრივ მოგვიხდებიან და გვებრძვიან, მათის ოცნებისაგან უშიშრად დაცვისათვის უფლის სავედრებელად, მოვიგონოთ სიტყვა იქიდანვე: `და ევედრე უფალსა მას დღესა შინა და ვჰსთქვი: უფალო ღმერთო, შენ უწყი ჩვენებად მონისა შენისა ძალი შენი და სიმტკიცე შენი, ხელი შენი მტკიცე და მკლავი შენი მაღალ, ვინ არს ღმერთი ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, რომელმან ჰყოს ესე, რომელ ესე შენ ჰყავ ჩვენთვის, მსგავსად ძლიერებისა შენისა~ (3,24).

ვისაც ეშინია ეშმაკის ოცნებისა და იტყვის, ნუთუ დამაგდო უფალმაო, სანუგეშებლად მოიგონოს სიტყვა იქიდანვე: `უფალმან ღმერთმან შენმან არა დაგიტეოს შენ, არცა აღგხოცოს შენ, არა დაივიწყოს აღთქმან მამათა შენთა, რომელ ეფუცა მათ~ (4,31).

ვინც ეძიებს მრავალის ჭირისა და განსაცდელის მიზეზს, სიტყვა იქიდანვე: `ბოროტი გიყო და გამოგცადა შენ უფალმან ღმერთმან შენმან, რათა უკანასკნელ კეთილი გიყოს და განგისვენოს შენ~ (8,2).

ეშმაკის ოცნებით შეშინებულმა და შეწუხებულმა, როცა ღამით ელვით შეგვაკროთოხს, სიტყვა იქიდანვე: `ნუ გეშინინ, ნუცა შეძრწუნდებით, ნუცა გარე მიიქცევით ბრძოლად მათდა, რამეთუ უფალი ღმერთი, რომელი წინა გიძღვის, ჰბრძოდის მტერთა შენთა, ვითარცა ცეცხლმან შემწველმან მოსრნეს იგინი და მან გარემიაქცინეს იგინი პირისაგან შენისა, აღხოცნეს და წარსწყმიდნეს იგინი~ (20,3-4; 9,3).

როცა გული წინადვე გვაშინებს ეშმაკის მანქანებისა და დიდის ბრძოლისათვის, სიტყვა იქიდანვე: `ხოლო მტერნი ჩვენნი უგუნურ იყვნენ, რამეთუ საყურძნისა მისგან სოდომელთასა იყო ყურძენი მათი და ვენახები მათი გომერელთაგან, ყურძენი მათი ყურძენი ნალვლისა და ტევანი სიმწარისა მათისა და შემდგომი ამისი, ვიდრე ახლოს არს დღე იგი წარწყმედისა მათისა და მოწევნულ არს განმზადებული მათ ზედა~ (32,31-35).

ვისაცა სწადიან მარტო ყოფით დაყუდება, ეშინია ეშმაკის ბრძოლისა და მით შეწუხებულია, მოიგონოს სიტყვა ისუ ძისა ნავესი: `მხნე იყავ და ნუ შეძრწუნდები, ნუცა გეშინინ, რამეთუ მე შენთანა ვარ უფალი ღმერთი შენი ყოველსა ადგილსა, ვიდრეცა ხვიდოდი და არა დაგიტეო შენ, არცა დაგაგდო შენ~ (1,9).

როცა გულის-თქმა შეგვაწუხებს და შეგვაურვებს, გულში შიშს გაგვიჩენს ეშმაკის მანქანება ჰაერში ელვის მსგავსად ჩვენებით, მოვიგონოთ სიტყვა ისუ ნავესაგან: `ნუ

გეშინინ მათგან, ნუცა შეძრწუნდებით, მხნე იყვენით და განძლიერდით, რამეთუ ესრეთ უყოს უფალმან ღმერთმან თქვენმან ყოველთა მტერთა თქვენთა, რომელთა ჰბრძავთ თქვენ~ (10,25).

ღამის ოცნებისაგან მწუხარემ და შეძრწუნებულმა, მოიგონოს სიტყვა მსაჯულთა წიგნისაგან: `განიღვიძე, განიღვიძე დებორა, აღსდეგ, აღსდეგ და განაგდე ყოველი ურვან და მწუხარებან, აღამაღლე ხმან მოლოდებისა, იტყოდე გულითა~ (5,12).

ანგელოსის სავედრებელი, რომ შემწე გვეყოს და განსდევნოს ჩვენგან მაჭირვებელნი ჩვენნი ეშმაკნი, სიტყვა იქიდაძვე: `ერო უფლისა, დამიმდაბლენ მე უძლიერესნი ჩემსა, ჰსდევნენ იგინი და მართლუკუნ აქციენ ჩემგან~ (5,13).

როცა გული გვაშინებს ეშმაკის საბრძოლველად მოსლვით, სიტყვა იქიდაძვე: `ღელეთაგან კიშონისათა განასხნე იგინი, ხევთა კადემისთა, ხევთა კიშონისთა, დასთრგუნეს იგინი სულმან ჩემმან ძლიერმან~ (5,21).

ვინც არ იცის, რომ ფსალმუნება და ლოცვა განამტკიცებს გულსა, განაძლიერებს გვამს და განსდევნის ეშმაკთა, რომელნიც სხვა-და-სხვა ნაირის განსაცდელით გაგვიგრილებენ ძარღვსა და ციებას შეგვყრიან, მოიგონოს სიტყვა მეფეთა წიგნისაგან: `და იყო რაჟამს სული უკეთური მოვიდის საულსა ზედა და იგვემებინ, მიიღის დავით ქნარი და ჰგალობნ სახიობასა მას კურთხევისასა, ვითარცა მარადის ჩვეულ იყო, და ელხინის (საულს) და განემორის სული იგი უკეთური~ (1 მეფ. 16,23).

როცა ეშმაკი ამოწვდილის ხმლით მოგვადგება, მოვიგონოთ სიტყვა იქიდაძვე, რომელიც მაკარიმაც წინ მიაგება, როცა იგი ანესსა და ინბრესს ბაღის სანახავად მიდიოდა და ეშმაკი წინააღუდგებოდა: `შენ ეგერა მომიხვალ მე ჯაჭვითა, მახვილითა, ოროლითა და ფართითა და მოგივალ შენ სახელითა უფლისა ღმრთისა ძალითა~ (17,45).

როცა ეშმაკნი ჰაერში დაიძახებენ და დიდს ამბოხებას მოახდენენ, მოვიგონოთ სიტყვა პირველისა თავისა მეფეთასა: `არა მახვილითა, არცა ოროლითა და ჯაჭვითა იხსნას უფალმან, არამედ უფლისა-მიერ არს ძლევა ბრძოლასა შინა და გაგწირნა თქვენ უფალმან და დაგამდაბლნის ხელთა ქვეშე ჩვენთა~ (17,47).

ემაკისაგან შეძრწუნებულმა, როცა უეცრად ჰაერში გამოჩნდებიან, მოიგონოს სიტყვა მეფეთა მეოთხე თავისაგან: `ჰრქვა ელისე, ნუ გეშინინ, რამეთუ ჩვენთანანი უმრავლეს არიან, ვიდრე მათთანანი~ (6,16).

ვისაც არა სწამს, რომ ჰაერი ანგელოზებით სავსეა ჩვენ შემწედ და ეშმაკთა ოცნების განსადევნელად, მოიგონოს სიტყვა იქიდანვე: `და ილოცვიდა ელისე, თაყვანის-ჰსცემდა უფალსა და ჰსთქვა: უფალო, განახვენ თვალნი ამის ყრმისანი, და განახვანა უფალმან თვალნი მისნი, და იხილა და აჰა მთა იგი სავსე იყო ეტლებითა და ჰუნებითა ცეცხლისათა გარემოს ელისესა~ (6,17).

როცა ძრწოლა და თრთოლა შეგვიპყრობს და ეშმაკის მოსლვას გული წინადვე გვაუწყებს, მოვიგონოთ სიტყვა მეორე ფსალმუნისაგან: `იგი, რომელ დამკვიდრებულ არს ცათა შინა, ეცინოდის მათ და უფალმან შეურაცხ-ჰყვენის იგინი. მაშინ ეტყოდის მათ რისხვითა მისითა და გულის-წყრომითა მისითა შეაძრწუნნეს იგინი~ (2,4-5).

ღამე ოცნებით შეშინებულმა და შეშფოთებულმა, ღვთის სავედრებელად მოიგონოს სიტყვა ფსალმუნისაგან: `მიწყალე მე, რამეთუ უძღურ ვარ, მილხინე მე, უფალო, რამეთუ შემძრწუნდეს ძვალნი, სული ჩემი შემძრწუნდა ფრიად და შენ, უფალო, ვიდრემდის? მოიქეც, უფალო, იხსენ სული ჩემი, მიხსენ მე წყალობითა შენითა~ (6,2-4).

როცა გული ეშმაკთა უკეთურობისაგან გაქცევას გვაწვევს, მოვიგონოთ სიტყვა მე-ი ფსალმუნისაგან: `უფალსა ვესავ; ვითარ ეტყვით სულსა ჩემსა, იცვალეზოდე შენ მათათა ზედა, ვითარცა სირი~ (10,1)?

ემაკთა ბრძოლისა და ოცნების გასადევნელად ვევედროთ უფალს მე-ივ ფსალმუნის სიტყვებით: `აღსდეგ, უფალო, უსწრვე მათ და აღხოცენ იგინი, და იხსენ სული ჩემი უღმრთოთაგან~ (16,12).

მწუხარების გულის-სიტყვისათვის 2

ემაკთა ხმისა და ამბოხებისაგან შეშინებულმა მოიგონოს სიტყვა მე-ით ფსალმუნისაგან: `იგინი ეტლებითა და ჰუნებითა, ხოლო ჩვენ სახელსა უფლისა

ღვთისა ჩვენისასა ვჰხადოდეთ, იგინი შებრკოლდეს და დაეცნეს, ხოლო ჩვენ აღვსდევით და აღვემართებით~ (19, 7-8).

ემმაკთა შესარისხავად, როცა ღრიანკალის სახით ღამით ჩვენს ხორცს წრეტას დაუწყებენ, მოვიგონოთ სიტყვა მე-კვ ფსალმუნისაგან: `უფალი ნათელ ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა, ვისა მეშინოდის? უფალი შესავედრებელ არს ცხოვრებისა ჩემისა, მე ვისგან შევსძრწუნდე? მოახლებასა ჩემზედა უკეთურთასა შეჭმად ხორცთა ჩემთა, მაჭირვებელნი ჩემნი და მტერნი ჩემნი იგინი მოუძღურდეს და დაეცნეს~ (26, 1-2).

როცა ეშმაკნი უეცრივ ჰაერიდან ჩამომავალნი მახინჯის ჰინდოს სახით გვეჩვენებიან, მოვიგონოთ სიტყვა მე-კვ ფსალმუნისაგან: `განთუ ეწყოს ჩემზედა ბანაკი, არა შეეშინოს სულსა ჩემსა, აღთუსდგეს ჩემზედა ბრძოლა, ამისთვისცა მე შენ გესავ~ (26,3).

როცა მწუხარების ეშმაკი მოგვეახლება, თავბრუს დაგვასხამს, ზურგის ტკივილით მოგვდრეკს, მწუხარე გულის-თქმით დაგვაბნელებს და ყოველგვარ ნუგეშისაგან განგვაშორებს, მოვიგონოთ სიტყვა მე-ლა ფსალმუნისაგან: `შენ ხარ შესავედრებელი ჩემი ჭირისაგან, რომელი გარემომადგეს მე, სიხარულო ჩემო, მიხსენ მე მათგან, რომელთა მოუცავ~ (31, 7).

როცა ეშმაკნი მწუხარების არმურით მოგვიხდებიან და გახურებულის რკინით დამწვარივით ჩვენს ხორცზე წყლულებას გამოაჩენენ, რისთვისაც მრავალჯერ განკვირვებულ ვიქმენ, როცა ვნახე მათ-მიერ დამწვარ-დაწყლულებული და ფიცხელის ტკივილით აღსავსე, ღვთის სავედრებელად მოვიგონოთ სიტყვა მე-ლდ ფსალმუნისაგან: `საჯენ, უფალო, მავნებელნი ჩემნი და ჰბრძოდე მბრძოლთა მათ ჩემთა, აღილე ჭური და ფარი და აღსდევ მწედ ჩემდა, აღილე მახვილი შენი მდევართა ჩემთათვის და დააყენენ იგინი, ჰრქვი სულსა ჩემსა, მხსნელი შენი ვარი მე~ (34,1-3).

ღვთის სავედრებელად, რომ შერისხოს მწუხარებისა ეშმაკნი, რომელნიც ხშირის სიბნელით გონებას დაგვიბნელებენ, რაც საშიშია, რომ არ გაგვაფიცხოს და ცნობას არ დავაკლდეთ, მოვიგონოთ სიტყვა მე-ლდ ფსალმუნისა: `დაიღრიჭინნეს ჩემზედა კბილნი მათნი და ვჰსთქვი: უფალო, ოდეს მომხედო, განაშორე სული ჩემი ძვირის საქმისა მათისაგან და ლომთაგან-მხოლოდმოზილებან ჩემი~ (34, 16-17).

როცა გული გვეტყვის ამოწვდილს მახვილით ეშმაკის ღამით დაცემას და ჩვენს დაწყლულებას, მოვიგონოთ სიტყვა მე-ლვ ფსალმუნისა: `მახვილი აღიღეს

ცოდვილთა და გარდააცვეს მშვილდსა მათსა და დაცემად გლახაკისა და დავრდომილისა და მოკლვად მათდა, რომელნი წრფელ არიან გულითა, მახვილი მათი განეწონნეს გულსა მათსა და მშვილდი მათი შემუსრნენ~@ (36, 14-15).

ვისაც მწუხარებისა და ლოცვის დროს სწადიან სულიერი სიტყვები, მოიგონოს სიტყვა მე-ლზ ფსალმუნისა: ნუ განმაგდებ მე, უფალო, ღმერთო ჩემო, ნუცა განმემორები ჩემგან, მოიხილე შეწევნად ჩემდა, უფალო, ღმერთო, ცხოვრებისა ჩემისაო~ (37, 21-22).

რომელნიც მწუხარებით მოიგონებენ მამის სიბერესა, დედის უძღურებას და თვისთა უნუგეშო გლოვასა, მიუგონ სიტყვა მე-ნდ ფსალმუნისა: `ლბილ იყვნეს სიტყვანი მათნი უფროს ზეთისა და იგინი იყვნეს, ვითარცა ისრის პირნი, მიუტევე უფალსა ზრუნვა შენი და მან გამოგზარდოს შენ და არა ჰსცეს შერყევან უკუნისადმე მართალსა~@ (54,22-23).

ღვთის სავედრებელად, რომ შერიხსოს და უკუნ აქციონ ეშმაკნი, რომელნიც მოღვაწეს განაცოფებენ და განაცვიფრებენ, და ყველა მოაზონებში შეარცხვენენ, მარადის უნდა გვხსოვდეს სიტყვა ფსალმუნისა: `ნუ ჰრცხვენებინ ჩემ-გამო, რომელთა დაგითმონ, შენ, უფალო, ღმერთო ძალთაო, ნუცა კდემებინ ჩემ ძალით, რომელნი გეძიებენ, შენ, ღმერთო, ისრაილისაო~ (68,6).

ბოროტის-მეტყველთა და ძვირის მომქმედთა, რომელთაც ჰგონიათ, რომ უფალმან დაგვიტევა ჩვენ, მიუგე სიტყვა ფსალმუნისა: `რამეთუ მჰრქვეს მე მტერთა ჩემთა, და რომელთა მოევცა სული ჩემი ჰზრახვიდეს ერთბამად და იტყოდეს: ღმერთმან დააგდო იგი, ვჰსდევნოთ და ვეწინეთ მას, რამეთუ ვინ არს მხსნელ მისსა. ღმერთო ჩემო, ნუ განმეთმორები ჩემგან, ღმერთო, შეწევნად ჩემდა მომხედენ,~ და შემდგომად ამისი (70, 10-11).

ღვთის სავედრებელად, რომ უჩინო ჰყოს ის ეშმაკნი, რომელნიც, როგორც ფრთოსანი ვეშაპნი, კედლიდგან თავს გამოჰყოფენ, მოვიგონოთ მსგავსად მაკარისა მეგვიპტელისა სიტყვანი მე-ოგ ფსალმუნისა: `ნუ მისცემ მხეცთა სულსა, რომელმან აღვიაროს შენ, სულსა გლახაკთა შენთასა ნუ დაივიწყებ მარადის~ (73, 19).

როცა ეშმაკნი ჰაერიდგან სხვა-და-სხვა სახით გვიწყებენ ჰვრეტას, ამათაც, მსგავსად მამა ანტონისა, მიუფგოთ ეს სიტყვები ფსალმუნისა: `უფალი შემეწიოს მე და არა

შემეშინოს, რაჲ მიყოს მე მტერმან? უფალი შემეწიოს მე და მე ვიხილო მტერთა ჩემთა წარწყმედაჲ~ (117, 6-7).

როცა ეშმაკისაგან ცეცხლი აღეგზნება, კვამლად იქცევა და განილევს, მოვიგონოთ სიტყვა მე-რკვ ფსალმუნისა: `საბრხე შეიმუსრა და ჩვენ განვერენით, შეწვენა არს ჩვენდა სახელითა უფლისათა, რომელმან ჰქმნა ცანი და ქვაყანა~ (123, 7-8).

როცა გული გვაშინებს, ეშმაკნი მოვლენ ჩვენზე ცეცხლითა და წვას დაგვიწყებენო, მოვიგონოთ სიტყვა მე-რლთ ფსალმუნისა: `დაეცოდენ მათ ზედა ნაკვერცხალი ცეცხლისა და დაემხვნენ იგინი და გლახაკობასა ვერ დაუდგენ. ვუწყი, რამეთუ ჰყოს უფალმან სასჯელი გლახაკისა და სამართალი დავრდომილისა~ (139, 10-12).

როცა გული გვეტყვის მრავალის განსაცდელითა და ჭირითა სავსეა წესი მოღვაწეობისა და ვის შეუძლია გაუძლოს ამოდენა ჭირსა და მოთმინებასო, მოვიგონოთ სიტყვა იგავთაგან: `მიზეზობნ მცონარი და ჰსთქვის: ლომი გზასა, და უბანთა ზედა კაცის მკვლელნი~ (22,13).

ვინც არ იცის, რომ ეშმაკი ღვთის უნებურად პირუტყვსაც ვერ შეეხება, მოვიგონოს სიტყვა იობისა: `მიუგო ეშმაკმან და ჰრქვა უფალსა: ნუ უკვე მეტად მსახურებსა იობ უფალსა, ანუ არა შენ მოზღუდდა გარემოს მისა და შინაგანი სახლისა მისისა და გარეშე ყოველივე, რაჲცა არს მისი შენ მოიცევ? საქმენი ხელთა მისთანი აკურთხენ და საცხოვარი მისი მრავალ ჰყავ, არამედ მიავლინე ხელი შენი და შეახე, რაოდენი რაჲ აქვს, პირითადა თუ გაკურთხევდეს~ (1,9-11).

გულის-თქმასთან ბრძოლის შემდეგ ეშმაკნი მრავალჯერ მოითხოვენ ღვთისაგან ტანჯვას სნეულებითა და სხვა-და-სხვა გვარ განსაცდელით, ვითარცა იტყვის წიგნი იობისა: `ტყავი ტყავისა წილ, და რაოდენი რაჲ არს კაცისა სულისა თვისისა მიუზღის, ხოლო აწ მიავლინე ხელი შენი და შეახე ძვალთა მისთა, უკეთუ განმარტებულად თაყვანის-გცეს, გინა თუ გაკურთხევდეს შენ~ (2,4-5).

როცა გული ეშმაკისაგან სიკვდილის მოვლენით წინაღვე გვაშინებს, მოვიგონოთ სიტყვა იობისა: `რამეთუ, უკეთუ მოკვდესმცა კაცი, ჰსცხონდეს, რამეთუ აღასრულნა კეთილად დღენი ცხოვრებისა მისისანი~ (14,14).

როცა მტერი გვებრძვის და მოგვაგონებს ძველს ცოდვებს და ჩაგვაგდებს მწუხარებასა და სასოწარკვეთილებაში, მოვიგონოთ სიტყვა წინასწარ-მეტყველის მიქიასაგან: `ხოლო მე უფალსა ვესვიდე და შევეუვრდე მას მაცხოვარსა ჩემსა და შეისმინოს ჩემი ღმერთმან მაცხოვარმან ჩემმან. ნუ მოგცხრებინ ჩემი (ნუ იხარებნ ჩემზედა), მტერნო ჩემნი, რამეთუ დავეცი და აღვსდეგ, დაღაცათუ ვიდოდი ბნელსა, უფალი არს ნათელ ჩემდა~ (7,7-8).

ეშმაკისაგან მრავალის ბრძოლით შეწუხებულმა, უფრო კი ლოცვის დროს, როცა სხეული დამძიმდება და ყოველ გვარი ტკივილი სხეულს შეიპყრობს, მოიგონოს სიტყვა ნაომ წინასწარ-მეტყველისა: `ტკბილ არს უფალი მოთმინეთათვის, ჟამსა ჭირისასა დაიცვნის მოშიშნი მისნი~ (1,7).

ვისაც სწადიან შეიტყოს, რა შეემთხვევა ეშმაკთ მომავალს საუკუნეში, ანუ რა გვარის სასჯელით იტყვიან წინასწარ-მეტყველნი მათს ტანჯვას, მოიგონოს სიტყვა ზაქარია წინასწარ-მეტყველისა: `და ესე იყო დაცემა, რომლითა განკვეთნეს უფალმან ყოველნი იგი განწყობილნი ბრძოლად ერისა მისისა, დასდნენ ხორცი მათნი დგომასა მათსა ფერხთა ზედა მათთა, და თვალნი მათნი დგომასა მათსა ფერხთა ზედა მათთა, და თვალნი მათნი წარმოსცვივნენ ბუდეთაგან მათთა და ენანი მათნი დასდნენ პირთა შინა მათთა~ (14,12).

როცა ეშმაკნი უეცრივ ცეცხლს ადაგზნებენ, საზარელს რახუნს ასტეხენ, მაგრამ ვერ შეაშინებენ მოღვაწის სულს, მაშინ უნდა მოიგონოს წმ. მაკარისაგან ხმარებული სიტყვები წინასწარ-მეტყველის ისაიასი: `ჩვენთანა არს ღმერთი, ჰსცანთ წარმართთა და იძლიენით, ისმინეთ ესე დასასრულადმდე ქვეყანისა, განძლიერებულ ეგე იძლიენით და ზრახვა, რომელი იზრახოთ, განაქარვოს უფალმან და სიტყვასა, რომელსა იტყოდეთ, არა დაადგრეს, რამეთუ ჩვენთანა არს ღმერთი~ (8,9-10).

თვისთა და მეგობართაგან ყვედრებით შეწუხებულმა, რომელთაც ჩვენგან არავითარი ნუგეშის ცემა არა აქვს, მოიგონოს წინასწარ-მეტყველება ისაიასი: `ნუ გეშინინ ყვედრებისაგან კაცთასა და კდემისაგან მათისა ნუ იძლევი~ (55,4).

როცა ცრუ და მედგარი გულის-თქმა ძრწოლასა და შიშს გაგვიჩენს და გულის განმძლიერებელსა და განმამატკიცებელს საღმრთო ნათელს მიაფარებს ჩვენგან, მაშინ მოვიგონოთ სიტყვა ისაია წინასწარმეტყველისა: `განეშორე უსამართლოებასა და არა სადა გეშინოდეს და ძრწოლა არა მოგეახლოს შენ~.

კედლიდგან ეშმაკისაგან ელვის ჩვენებით შეშინებულმა მოიგონოს სიტყვა იერემია წინასწარ-მეტყველისა: `ნუ გეშინინ პირისაგან მათისა, ნუცა იწიწვ წინაშე მათსა, რამეთუ შენთანა ვარ მე მხსნელად შენდა, იტყვის უფალი~ (1,8).

მწუხარებით შეურვებულმა და სხვა-და-სხვა საზარელ ოცნებისაგან შეშინებულმა, მოიგონოს სიტყვა იერემიასი: `ჰსაჯენ, უფალო, სასჯელნი სულიერნი და იხსენ ცხოვრებაჲ ჩემი; იხილენ, უფალო შერყევანი ჩემნი, განამრავლე სამართალი ჩემი, იხილე სასჯელი ჩემი და იხილენ ყოველნი შურის-გებანი მათნი და ყოველნი ზრახვანი მათნი. რაჲსათვის მაჭირვებელნი ჩემნი მძლავრობენ მე, წყლულება ჩემი დიდ არს, ვიდრე მე განვიკურნო?~

უფლის სავედრებელად, რომ შერისხოს და განსდევნოს ჩვენგან მტერი ეშმაკნი, რომელნიც მარადის გვებრძვიან, ბოროტს გავგონებენ და მოსწრაფენი არიან, რომ სირცხვილულ გვყონ ამ ცხოვრებასა და მომავალს საუკუნეშიაც, მოვიგონოთ სიტყვა იერემია წინასწარ-მეტყველისა: `ჰრცხვენოდენ მდევართა ჩემთა და ნუ მრცხვენების მე, ეშინოდეს მათ და ნუცა მეშინის მე, მოაწიე მათ ზედა დღენ ბოროტი, ორკერძოთა შემუსრვილებითა შემუსრენ იგინი~ (17,18).

მტრისაგან საშინელის სიზმრითა და ოცნებით შეშინებულმა, რომელსაც გულში სენაკის დატოვების ფიქრი გაუჩნდება, მოიგონოს სიტყვა ბარუქიასი: `გდევნიდა შენ მტერი შენი და იხილე ადრე წარწყმედაჲ მისი და ქედსა მისსა ზედა აღხედ შენ~ (4,25).

ვისაც ეშინის ეშმაკთან ხელ-და-ხელ შებმა და შებრძოლება, მოიგონოს სიტყვა ეზეკიელ წინასწარ-მეტყველისა: `და შენ ძეო კაცისაო, ნუ გეშინინ მათგან, ნუცა განკრთები წინაშე მათსა, განგარისხონ შენ და შეკრბენ შენზედა გარემოს შენსა და შორის ღრიანკალთა დამკვიდრებულ ხარ შენ. სიტყვათა მათგან ნუ გეშინინ და პირისა მათისაგან ნუ განკრთები, რამეთუ სახლი განმამწარებელთა არს~(2,6-7).

ვისაც უფლის სახელისათვის შეემთხვევა გინება-შეურაცხყოფა და შეწუხებულ იქმნება, მოიგონოს სიტყვა საქმეთაგან მოციქულთასა: `ხოლო მოციქულნი წარვიდეს პირისაგან მის კრებულისა და უხაროდათ, რამეთუ ღირს იქმნეს სახელისათვის ქრისტესისა გინებად~ (5,41).

ჭირითა და განსაცდელით შეწუხებულმა მოიგონოს სიტყვა მოციქულის პავლეს ეპისტოლედან, რომალეთა მიმართ: `არა ხოლო ესე, არამედ ვიქადითცა ჭირთა შინა, რამეთუ სიყვარული ღვთისა განფენილ არს გულთა შინა ჩვენთა სულითა წმიდითა, რომელი იგი მოცემულ არს ჩვენდა: ვუწყით, რამეთუ ჭირი მოთმინებასა შეიქმს,

ხოლო მოთმინება გამოცდილებასა და გამოცდილება სასოებასა, ხოლო სასოება არა არცხვენს~ (5,3-5).

ვისაცა ჰგონია, რომ ჩვენზე მოვლენილ ჭირისა და განსაცდელისაგან არაფერი სასყიდელი მოგვეცემაო, მოიგონოს სიტყვა პავლეს ეპისტოლედან, რომელთა მიმართ: `რამეთუ მე ესრეთ მგონიეს, ვითარმედ ვერ ღირს არიან ვნებანი ამის ჟამისანი მერმისა თანა დიდებისა, რომელი გამოჩინებად არს ჩვენდა მომართ~ (8,19).

რომელთა ჰგონიათ, რომ ძალაზე მეტი განსაცდელი შეგვემთხვევაო, მოიგონონ სიტყვა პავლესი კორინთელთა მიმართ: `რამეთუ სარწმუნო არს ღმერთი, რომელმან არა გიტევნეს თქვენ განცდად უფროს ძალისა თქვენისა, არამერ ჰყოს განსაცდელსა თანა გამოყვანებაცა, რათა შეუძლოთ დათმენად~ (1, 1,13).

რომ მარადის სასოება გვაქვდეს უფლისა მიმართ, მისგან შეწევნას ვითხოვდეთ და მის წმიდა სახელს ვხადოდეთ, მოვიგონოთ სიტყვა პავლესი კორინთელთა მიმართ: `არამედ თვით თავით თვისით განჩინებან სიკვდილისა მოგველო, რათა არა ვესვიდეთ თავთა თვისთა, არამედ ღმერთსა, რომელმან იგი აღადგინნის მკვდარნი, რომელმან ესე ვითარისა სიკვდილისაგან მიხსნა ჩვენ და მიხსნის, რომელსა იგი ვესავთ, ვითარმედ მერმეცა მიხსნეს ჩვენ~ (2. 1,9-10).

როცა ეშმაკნი სიჭაბუკის ცოდვას მოგვაგონებს და უზომო მწუხარებაში ჩაგვაგდებს, მოვიგონოთ სიტყვა პავლესი: `პრიველი იგი წარხდა, აწ ესერა იქმნა ყოველივე ახალ~ (2 კორ. 5,19).

როცა ამაო და წარმავალ საქმისათვის მწუხარებაში ჩავარდები, მოიგონე სიტყვა პავლესი: `რამეთუ ღვთისა-მიერი მწუხარება სინანულსა ცხოვრებისასა შეუნანებელსა შეიქმს, ხოლო სოფლისა ამის მწუხარება სიკვდილსა შეიქმს~ (იქვე 7,11).

ეშმაკისაგან ხილულისა და უხილავის ბრძოლით მოწყინებულმა და შეჭირვებულმა მოიგონე სიტყვა მოციქულის იაკობისა: `დაემორჩილენით ღმერთსა, წინა აღუდევით ეშმაკსა და ივლტოდის თქვენგან~ (4,7).

რომელთაც ჰგონიათ და ეშინიანთ, რომ ეშმაკი სულიერსა და ხორციელს უკურნებელს რასმე წყლულებას შეგვამთხვევსო, მოიგონონ სიტყვა მოციქულის პეტრესი: `და ვინმე არს ბოროტის მყოფელ თქვენდა? უკეთუ თქვენ კეთილის მობამავ იქმნეთ, დაღათუ გევნებოდეს სიმართლისათვის, ნეტარ ხართ; შიშისა მათისაგან ნუ გეშინინ, ნუცა შეძრწუნდებით, უფალი იესო ქრისტე წმიდა ჰყავთ გულთა შინა თქვენთა~ (1.3,13-15).

სწავლა მრისხანებისათვის

მრისხანება დედა არს ბოროტი და მის მომგებელის სულს განაცოფებს და განამხეცებს, სიმშვიდისა და სიყვარულის საზღვართაგან განაშორებს. როგორც კლდეზე დამტკიცებულს გოდოლს სასტიკი ქარი ვერ შეარყევს, ისე სახიერისა და მშვიდი კაცის გულსაც გულის-წყრომა ვერ წარიტაცებს, როგორც ძლიერი ქარი ზღვას ააღელვებს, ისე მრისხანების სისასტიკე შეაშფოთებს ლაღის ადამიანის გულსა. მრისხანე მონაზონი ველური ცხოველია; აღიმჯრის გულის-წყრომითა და კბილებს ილესავს. როგორც ხშირი ნისლი ჰაერს აბნელებს, ისე გულის-წყრომა შეამღვრევს მრისხანის გონებასა. როგორც სქელი ღრუბელი დაფარავს მზის სხივებს, ისე მრისხანის გონებას შეაშფოთებს ძვირის ხსენება. ლომი გალიაში აღიმჯრის ნადირთა ხსენებითა, მრისხანე მონაზონიც შფოთავს სენაკში გულის-წყრომითა.

მშვენიერია ზღვა მყუდრო და უღელვო, უფრო უშვენიერესია გონება მშვიდი და დაწყნარებული.

დაწყნარებულს ზღვაში იშვებენ თევზნი, დაწყნარებულს გონებაშიაც ბრწყინავს ღვთივ-შვენიერი გულის-ხმის-ყოფა.

სულ-გრძელი მონაზონი გამომდინარე მყუდრო წყაროა, რომელიც ყველას ასმევს ტკბილს სასმელს სიმდაბლისას.

მრისხანის გონება მარადის მღვრივეა და მწყურვალეს ვერ ასმევს წმიდა სასმელსა. თუ მისცა, იმასაც მღვრიესა და უხმარს მისცემს.

მრისხანის თვალი მარადის შეშფოთებული და სისხლიანია და მომასწავებელია მისის გულის დაუწყნარებლობისა.

სულ-გრძელის პირის-სახე წრფელია, მყუდრო და მშვენიერი და თვალი მისი წესიერად მხედველი.

წრფელი და რისხვისაგან განშორებული სული ტამარია სულისა წმიდისა და უფალმან თავი მიიდრიკოს სულ-გრძელის კაცის გულში და იქმნეს სადგურად წმიდისა სამებისა მშვიდობის მოყვარე გონება.

მელნი (მელა) დაიმკვიდრებენ ძვირის-მომხსენის სულში, და მხეცნი მეშფოთარის სულსა და გულში.

როგორც პატიოსანი კაცი გარბის ბილწის სადგურისაგან, ისე ანგელოზი მშვიდობისა განეშორება ძვირის-მომხსენის სულისაგან.

განიშორე მრისხანება შენის სულისაგან და გულის-წყრომა ნუ დაივანებს (დაისადგურებს) შენს გულში და ლოცვის დროს ნუ შეშფოთდება.

გულის-სიტყვა მრისხანისა ნაყოფია ასპიტისა და სჭამს მათ მშობელს-გულსა.

მრისხანის ლოცვა საძაგელი საკმეველია და ფსალმუნება მეშფოთისა-ხმა საწყინო.

ძღვენი ძვირის მომხსენისა დამპალი და დამატლებული მსხვერპლია და წმიდა საკურთხეველს ვერ მიეახლება.

გულ-მყრალი შეშფოთებულს სიმზრებსა ხედავს, და მრისხანეს ზედ მოსეულნი მხეცნი ეჩვენება, ხოლო კაცი სულ-გრძელი და მშვიდი წმიდანებთან ზრახვით გამოიძიებს სულიერს სიტყვებსა და ღამის ჩვენებაში უფლის მადლით საიდუმლო განემარტება.

მრისხანების გულის-სიტყვის მისაგებელი სიტყვები

როცა გულში ჩვენის ძვირის-მყოფელისა და მაჭირვებელის სიძულვილი გაგვიჩნდება და წყევას გვაწვევს, მოვიგონოთ სიტყვა მათეს სახარებიდან: `ჰრქვა უფალმან ჩვენმან იესო, გიყვარდეთ მტერნი თქვენნი, აკურთხევდით მწყევართა თქვენთა, კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქვენთა და ილოცევდით მათთვის, რომელნი გმძლავრობენ თქვენ, რათა იყვნეთ შვილ მამისა თქვენისა ზეცათასა~ (5,44-45).

როცა უფლის გულისათვის ჩვენს მდევნელზე რისხვა გაგვიჩნდება, მოვიგონოთ სიტყვა სახარებიდან: `ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა~ (5,10).

იმ გულის-თქმას, რომელიც აზრით შფოთს გაგვიჩენს ძმისა მიმართ, მიუგე სიტყვა სახარებიდან: `რომელი განურისხნეს ძმასა თვისსა ცუდად, თანა მდებ არს სასჯელისა~ (5,22).

როცა ჩვენს ყვრიმლის მცემელსა და მგვემელზე მწუხარება და სიძულვილი გაგვიჩნდება, მოვიგონოთ სიტყვა სახარებიდან: `რომელმან გცეს ყვრიმალსა მარჯვენასა, მიუპყარ ერთ კერძონცა~ (5,39).

როცა სინანულისა და ჩვენს შემაწუხებელ ძმასთან შერიგების შემდეგ მრისახნება გაგვიჩნდება, მივუგოთ სიტყვა ლუკას სახარებიდან: `უკეთუ შეგცოდოს ძმამან შენმან, შერისხენ მას, და უკეთუ შეინანოს, მიუტევე მას, დაღაცათუ შვიდგზის დღესა შინა შეგცოდოს და შვიდ-გზის მოიქცეს და გრქვას: შევინანე, მიუტევე მას~ (17, 3-4).

ვინც ძმაზე რისხვის გულის-წყრომას შეიწყნარებს და უფლის სიყვარულის მცნებას უარყოფს, მოვიგონოს სიტყვა იოანეს სახარებიდან: `მცნებასა ახალსა მიგცემ თქვენ, რათა იყვარებოდეთ ურთიერთთარს, ვითარცა მე შეგიყვარე თქვენ, რათა თქვენცა იყვარებოდეთ ურთიერთთარს~ (13,34).

მრისახნების დროს, თუ გული გვაწვევს ჩვენს ძმას ცილი დავსწამოთ, მოვიგონოთ სიტყვა გამოსლვათაგან: `არა ცილ სწამო მოყვასისათვის შენისა ცილის წამებითა სიცრუისათა, არცა შეიწყნარო მისთვის შესმენან ცუდი, არცა მოიძულო ძმან შენი გონებითა შენითა~ (20,16).

რომელსაც ჰგონია შეუძლებელია სრული სიმშვიდით წარმატებაო, მოიგონოს სიტყვა წიგნისაგან რიცხვთა: `და კაცი იგი მოსე იყო მშვიდ ფრიად უფროს ყოველთა კაცთა, მყოფთა ქვეყანასა ზედა~ (12,3).

ვინც სიმშვიდის მოგებისათვის არა ზრუნავს და მოწადინეა ისე ისწავლოს გზა უფლისა, მოიგონოს სიტყვა ფსალმუნიდან: `უძელუ მშვიდთა სასჯელსა შინა, ასწავენ მშვიდთა გზანი შენნი~ (24,9).

ვინც მრისხანების გულის-თქმას შეიწყნარებს და გულში შემოიკრებს ძმისათვის ცუდსა და ამოა აზრს, მოიგონოს სიტყვა მე-ლვ ფსალმუნიდან: `დაჰსცხერ რისხვისაგან, დაუტევე გულის-წყრომა შენი, ნუ ჰბაძავ უკეთურთა, რამეთუ უკეთურნი ადრე მოისრნენ, ხოლო რომაელთა დაუთმონ უფალსა მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა~ (36, 8-9).

ვინც ძმის ძვირის საზრახავად განემზადება და თავის თავს გულის-წყრომის ნისლს შეუკრებს, მოიგონოს სიტყვა მე-მთ ფსალმუნიდან: `ჰსჯდი, ძმისა შენისათვის ბოროტსა იტყოდი და ძისათვის დედისა შენისა დასდვი საცთური~ (49, 20).

როცა გონებითა სცნობ, რომ გულის-წყრომისა და რისხვისაგან ძნელი და საშინელი ოცნება წარმოსდგება, მაგრამ მოწყალებითა და სულგრძელებითა განქარდება არმური გულის-წყრომისა, ლოცვისათვის მოიგონე სიტყვა მე-რი ფსალმუნიდან: `უფროს მტერთა ჩემთა მეცნიერ მყავ მცნებათა შენთა, რამეთუ უკუნისამდე ჩემნი არიან~ (11,98). და შემდგომი ამისი.

როცა გული ძმისათვის ბოროტის-ყოფას გვაწვევს იმის გამო, რომ ვნება ანუ შეურაცხყოფა მოგვაყენა, მოვიგონოთ სიტყვა იგავთაგან: `ნუ ზრახავ მეგობრისათვის შენისა ძვირსა, რომელი შეყოფილ და მოსავ იყოს შენდა, რამეთუ სიძულვილმან აღადგინის სიტყვის-გებაჲ და ყოველნი, რომელნი არა მახლობელ არიან, დაფარნის სიყვარულმან~ (10,12).

როცა გული ძმის ძვირის ზრახვასა და გინებისათვის გვაწვევს, მოვიგონოთ სიტყვა იგავთაგან: `მტერობა დაჰფარიან ბაგეთა მართალთა, ხოლო რომელნი წარმოიღებენ გინებასა ძვირის-მეტყველებასა, იგინი უგუნურ არიან~.

როცა ძმაზე გულის-წყრომა და რისხვა აღგვეძვრის და ლოცვის დროს გონებას დაგვიფანტავს, მოვიგონოთ სიტყვა იგავთაგან: `სული კურთხეული ყოველი წრფელ არნ, ხოლო კაცი გულ-მწყრალი არა შევნიერ არს. მრავალსა ზედა შეშასა აღატყდების ცეცხლი და სადა არს გულ-მწყრალი, არა დაშრტის ლალვა~ (26,20).

როცა პირუტყვის უწესობისა და ცდომისათვის გულის-წყრომა აღგვეძვრის, უნდა მოვიგონოთ სიტყვა იგავთაგან: `სწყალობნ მართალი სულსა ცხოვართა თვისთასა, ხოლო ნაწლევნი უღმრთონი უწყალო~ (12,10).

როცა უეცარი გულის-წყრომა მცირე რამ მიზეზისათვის აღგავშფოთებს, მოვიგონოთ სიტყვა იგავთაგან: `უგუნური იგი დღითი-დღე მიუთხრობნ რისხვასა თვისსა, ხოლო იფარავნ კაცი გონიერი უპატიობასა~ (29,11).

როცა გული ძმის ზაკვას გვაზრახებს, მოვიგონოთ სიტყვა იგავთაგან: `ზაკვან გულსა შინა მოქმედსა ძვირისასა, ხოლო რომელთა ნებავენ მშვიდობისა ყოფად, იხარებდენ, საძაგელ უფლისა ბაგენი მზაკვარნი, ხოლო რომელმან ჰყვის სარწმუნობან, შეწყნარებულ მისა~ (12,20-22).

როცა გულის –თქმა ძვირის –ხსენებისაკენ გვაწვევს და ამ გვარ ვერაგობით მოაკვდინებს გონებასა ჩვენსა, მოვიგონოთ სიტყვა იგავთაგან: `გზათა ზედა სიმართლისათა სლვა ცხოვრება არს, ხოლო გზანი ძვირის-მოხსენეთანი სასიკვდინე~ (12,28).

როცა რაიმე გულის-თქმა ჩვენს სულ-გრძელებას შეარყევს და უგუნურების საქმეს გვასწავლის, მოვიგონოთ სიტყვა იგავთაგან: `სულ-გრძელი კაცი დიდ არს სიბრძნითა, ხოლო სულ-მოკლე ძლიერად უგუნური~.

როცა გული ნებას არ გვაძლევს, რომ სიმდაბლით პასუხი გავსცეთ ჩვენს უფროსს შემრისხველსა, და ამ სახით მონაზონების წესიერებას შეაშფოთებს, მივუგოთ სიტყვა იგავთაგან: `რისხვამან წარწყმდნის ბრძენნიცა, ხოლო სიტყვის-გებამან შევრდომისამან გარე წარაქციის გულის-წყრომან~ (15,1).

როცა გული ძმასთან საშფოთველად აღგვეძვრის და ამ შფოთისაგან მოწყვედას გვიშლის, მივუგოთ სიტყვა იგავთაგან: `კაცი გულ-მწყრალი განემზადების შფოთად,

ხოლო სულ-გრძელმან კაცმან დაშრიტის სასჯელი, ხოლო უღმრთომან ადაგზნის უფროს~ (15,18).

ვისაცა ჰგონია, რომ მარტო გულის-წყრომა კი არა, არმედ მისი საქმით აღსრულება სმაგს უფალსაო, მოიგონოს სიტყვა იგავთაგან: `სამაგელ უფლისა გულის-სიტყვანი ცრუნი, ხოლო სიტყვანი მართალთა და წმიდათანი სათნო არიან უფლისა~ (15,26).

როცა გული გვამზადებს წარმავალისა და ცუდის საქმისათვის ძმის სარჩელსა და ლალვას, და გონების სიწყნარეს შეგვიშფოთებს,-რაიცა პირველი უწყსობაა ამ გვარ გულის-თქმით წვრთა და მერმე ამ უწყსობის საქმით აღსრულება მიუგოთ სიტყვა იგავთაგან: `ნუ იტყვი, ვითარმედ მივაგო მტერთა, არამედ დაითმინე, რათა უფალი შეგეწიოს შენ~ (20,22).

რომელსაც ძვირის ზრახვა ნებავს ძმათა და მათის ძვირის-მეტყველებით ჰფარავს თავისს ბრალსა, უნდა მიუგოს სიტყვა იგავთაგან: `ნუ გიყვარნ ძვირის-ზრახვან, რათა არა აღიფხვრე. აღიხილენ თვალნი შენნი და განსძელი პურითა~.

გონების შემაშფოთებელს ძვირის ხსენების გულის-თქმას, რომელიც ლოცვის დროსაც გვაწყენს, უნდა მიუგოთ სიტყვა იგავთაგან: `ფიცხელსა და თავხედსა და ლალსა ბილწ ჰქვიან, ხოლო რომელი ძვირსა იხსენებდეს მას უსჯულო~.

როცა გული გვეტყვის, მრისხანე კაცთან მეგობრობასა და გულ-მწყრალთან საუბარს, უნდა მიუგოთ სიტყვა იგავთაგან: `ნუ იქნები მოყვარე კაცისა გულ-მწყრალისა და მეგობარ; მრისხანისა ნუ თანა იქცევი, ნუ უკვე ისწავლნე გზანი მისნი და მოილო მახე სულისა შენისა~ (22,24-25).

ვისაცა სურს ძვირის-მომქმედს სამაგიერო ძვირი უყოს, რაიცა მაჩვენებელია ვნებულის გონებისა, და რომელსაც უყვარს ამაოება და სიცრუე, უნდა მოიგონოს სიტყვა იგავთაგან: `ნუ იტყვი, ვითარცა მიყო მე,-ვუყო მას მეცა. მივაგო რაოდენი მავნო მე, რამეთუ ბოროტ არს ზრახვა ესე~ (24,29).

როცა უწყალო გონებიანი თავის მტერს დაგლახაკებულსა და დამჭირვებულს ნახავს და არა სურს მისთვის წყალობა და ხელის-აღპყრობა, უნდა მოიგონოს სიტყვა იგავთაგან: `შიოდეს თუ მტერსა შენსა, პური ეც; სწყუროდეს თუ, ასუ მას. ესე რა ჰყო, ნაკვერცხალი შეკრიბო თავსა მისსა, ხოლო უფალმან მოგაგოს შენ კეთილი~ (25,21-22).

რომელნიც მოძმეთა ზედა მსწრაფლ გულის წყრომით აღიძვრიან და მხეცურ სიფიცხეს გამოიჩინენ, რისგანაც წარმოსდგება თავხედური და უჯერო საქმე, უნდა მოიგონონ სიტყვა ეკლესიასტესაგან: `ნუ ისწრაფი სულითა შენითა განრისხებასა, რამეთუ გულის-წყრომა წიაღთა უგუნურთასა განისვენებს~ (7,9).

ვისაც არა სურს გულის-წყრომის მიზეზისაგან მოწყვედა, არამედ საფასისა, ჭამადისა, ანუ წარმავალ დიდებისათვის შფოთსა და სასჯელს აღადგენს, რაიცა წარწყმედის მომგებელია, უნდა მოიგონოს სიტყვა ეკლესიასტესაგან: `განიშორე გულისწყრომა გულისაგან შენისა და თანა-წარხადე უკეთურება ხორცთაგან შენთა, რამეთუ სიჭაბუკე და უგუნურება ამო არს~ (11,10).

როცა ეშმაკი მრავალის განსაცდელის საშვალეებით ესწრაფება შეგვირყიოს ძმათა სიყვარული, მივუგოთ სიტყვა ქებისაგან ქებათასა: `წყალნი მრავალნი ვერ შემძლებელ არიან დაშრეტად სიყვარულისა და მდინარეთა ვერ წარღვნან იგი~ (8,7).

როცა გული გვეტყვის ჩვენს შემაწუხებელთან გულის-მომწყვლელ ბოროტი სიტყვების მიწერას, მივუგოთ სიტყვა წინასწარ-მეტყველის ისაიასი: `ვან მათდა, რომელნი ჰსწერენ უკეთურებასა, რამეთუ ჰსწერენ და უკეთურებასა ჰსწერენ~.

ფიცხელად მეტყველმა მრისხანემ, რომელიც გულის სიწმიდეს აღამღვრევს, უნდა მოიგონოს სიტყვა ისაია წინასწარ-მეტყველისა: `და არა იტყოდი რისხვით სიტყვასა პირისაგან შენისა~.

იმ მრისხანე გულის-თქმას, რომელიც გვასწრაფებს ქრისტეს სიყვარულისაგან განშორებას, უნდა მივუგოთ პავლე მოციქულის ეპისტოლედან: `ვინ განმაშორნეს ჩვენ სიყვარულსა მას ქრისტესა? ჭირმან ანუ იწროებამან, დევნამან ანუ სიყმილმან, შიშლოებამან ანუ ურვამან ანუ მახვილმა?~ (რომ. 8,36).

იმ შურიან გულის-თქმას, რომელიც მოხარულია მტრის ჭირისა და დაცემისათვის, უნდა მივუგოთ სიტყვა მოციქულის პავლეს ეპისტოლედან რომაელთა მიმართ: `გიხაროდენ მოხარულთა თანა და სტიროდეთ მტირალთა თანა და მასვე ურთიერთარს ზრახევდით~ (12,15-16).

ძვირის-ხსენების გულის-თქმას, რომელიც გვაიძულებს ბოროტი ვუყოთ ჩვენს შემაწუხებელს, უნდა მივუგოთ სიტყვა პავლე მოციქულის ეპისტოლედან რომაელთა მიმართ: `ნუ ვინ ბოროტის წილ ბოროტსა მიაგებთ წინასწარ განიზრახევდით კეთილსა წინაშე ღვთისა და კაცთა, და უკეთუ შესაძლებელ არს თქვენ-მიერ, ყოველთა კაცთა თანა მშვიდობასა ჰყოფდით. ნუ თავით თვისით შურს იძიებთ, საყვარელნო, არამედ ეცით ადგილი რისხვასა (ღვთისასა). რამეთუ წერილ არს: ჩემი არს შურისგება და მე მივაგო, იტყვის უფალი~ (12,17-19).

მრისხანე გულის-თქმას, რომელიც მოყვასის ვნებასა და მისგან მოხვეჭას გვაწვევს, უნდა მივუგოთ სიტყვა პავლე მოციქულის ეპისტოლედან კორინთელთა მიმართL `რანსათვის უფროსთა გევნების თქვენ, რაისთვის არა უფროს თქვენ მიგეხვეჭების, არამედ თქვენ ავნებთ და მოიხვეჭთ ძმათაგან?~ (1.6,7).

გულის-თქმას, რომელმაც სიყვარულის ნიჭი არ იცის და მრისხანებითა და სიძულვილით განსდევნის მას, უნდა მივუგოთ სიტყვა პავლე მოციქულის ეპოსტოლედან კორინთელთა მიმართ: `ენასლა თუ ანგელოსთასა და კაცთასა ვიტყოდი და სიყვარული არა მაქვნდეს, ვიქმედ მე ვითარცა რვალი, რომელნი ოხრინ, და წინწილი, რომელი ჰხმობედ; მაქვნდეს თუ წინანსწარ-მეეტყველება და ვუწყოდი ყოველი საიდუმლონ და ყოველი მეცნიერებან, მაქვნდეს-ლა თუ სარწმუნოება ვიდრე მათათა ცვალებადმდე, და სიყვარული არა მაქვნდეს, არავე რან სარგებელ არს ჩემდა, სიყვარული სულგრძელ არს და ტკბილ, სიყვარულსა არა შურნ, არა მადლოინ, არა განლაღნის, არა უხარის სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჭემმარიტებასა თანა; ყოველსა თავს იდებნ, ყოველნი ჰრწამნ, ყოველთა ესავნ, ყოველსა მოითმენნ, სიყვარული არა სადა დავარდეს~ (1,13,1-8).

რომელნიც სწრაფის რისხვით აღიძვრიან და გულის-ხმის-ყოფის სასწაულს ეძიებენ, უნდა მოიგონონ სიტყვა პავლესი გალატელთა ეპისტოლედან: `ხოლო ნაყოფი სულისა არს სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულ-გრძელება, სიტკბოება, სახიერება, სარწმუნოება, მყუდროება, მარხვა, მოთმინება~ (5,22).

ძმათა ცთომისათვის სულ-მოკლემ, უნდა მოიგონოს სიტყვა პავლეს ეპისტოლედან: `ურთიერთარს სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ ადასრულეთ სჯული იგი ქრისტესი~ (გალ. 6,2).

რომელნიც რისხვით აღიძვრიან, თუ ამხილეს რამ ძმათა და მას მდრტვინველად იხილვენ, უნდა მოიგონონ სიტყვა მოციქულის ეპისტოლედან: `ხოლო კეთილისა საქმენ ნუმცა ოდეს გეწყინების, რამეთუ ჟამსა თვისსა მივიძკოთ, და ნუმცა დავხსნდებით, არამედ ვიდრე ჟამი გვაქვსლა, ვიქმოდეთ კეთილსა ყოველთავე მიმართ~ (გალ.6,9-10).

როცა რისხვის გულის-თქმა ნებას არ გვაძლევს, რომ ძმას დავეგოთ და ეშმაკის მანქანებით მცირე რა მიზეზი წინ გვიდგება, უნდა მივუგოთ სიტყვა პავლეს ეპისტოლედან ეფესელთა მიმართ: `მზე ნუ დაჰვალონ განრისხებასა თქვენსა, ნუცა სცემთ ადგილსა ეშმაკსა~ (4,26-27).

მრავალ გვარის საქმისაგან მრისხანებით აღძრულს გულის-თქმას უნდა მივუგოთ სიტყვა იმისივე ეპისტოლედან: `ყოველი სიმწარე და გულისწყრომაჲ, რისხვა და ღალატება და გმობა მოისპენ თქვენ შორის ყოვლითურთ, იყვენით ურთიერთარს ტკბილ, მოწყალე~ (6,31-32).

ძმათა მსახურებისათვის რისხვითა და გულისწყრომით აღძრულს გულის-თქმას უნდა მივუგოთ სიტყვა პავლეს ეპისტოლედან: `ყოველსავე იქმოდეთ თვინიერ დრტვინვისა და გულის-სიტყვათა, რათა იყვნეთ უბიწო და უმანკო, შვილ ღვთისა, უბრალო შორის ნათესავთა დრკუსა და გულარძნილსა~ (ფილიპ. 2,14-15).

გულის-თქმას რისხვისას, რომელიც ფიცხელის გულის-წყრომისაგან იშობება და გმობასა და ტყუილს წარმოშობს, უნდა მივუგოთ სიტყვა პავლეს ეპისტოლედან კოლასელთა მიმართ: `აწ ესერა განიშორეთ თქვენცა ყოველი რისხვა, გულის-წყრომაჲ, უკეთურებაჲ, გმობაჲ, საძაგელი სიტყვაჲ პირისაგან თქვენისა, ნუ უტყუით ურთიერთარს~ (3,8-9).

როცა გული გვითქვამს მივაგოთ ბოროტი ბოროტისა წილ და მით ეშმაკი გონებას დაგვიბნელებს, რომ ველარა ვცსნათ რაც უმჯობესია, უნდა მიუგოთ სიტყვა მოციქულის ეპისტოლედან: `ეკრძალენით უკვე, ნუუმე (ნუ უკვე) ბოროტი ბოროტისა წილ ვისმე მიაგოთ, არამედ მარადის კეთილსა შეუდევით ურთიერთარს და ყოველთა მიმართ~ (1 თეს. 5,15).

ქრისტეს მცნების სრულად უმეცარმა და რისხვის გულის-თქმით ცხოვრების გზიდან შემცდარმა უნდა მოიგონოს სიტყვა პავლეს ეპისტოლედან ტიმოთეს მიმართ: `ხოლო დასასრული მცნებისა არს სიყვარული გულისაგან წმიდისა და გონებისა კეთილისა, და სარწმუნოებისა შეუორგულეებისა~ (1. 1,5).

გულის-თქმას, რომელიც მახლობელისა თუ შორებელის ჩვენის მდევნელისა და მაჭირვებელის მრისხანებასა და ძვირის-ხსენებისათვის გვაწვევს, უნდა მივუგოთ სიტყვა პავლეს ეპისტოლედან ტიმოთეს მიმართ: `ყოველთავე, რომელთა უნდეს ცხოვრებან ღვთის მსახურებით ქრისტეს-მიერ, იღვენენ~ (2,3,12).

გულის-თქმას, რომელიც ვერცხლისა, ანუ სხვა სახმარის დაგვიანებისა გამო ძმაზე რისხვას აღგვიძრავს, მივუგოთ სიტყვა პავლეს ეპისტოლედან, ფილიმონის მიმართ: `უკეთუ რანმე შეგცოდა, გინა თანა-ამს, იგი მე შემირაცხე, მე გარდავიხადო. მე პავლე დავსწერე ხელითა ჩემითა, რათა არა ჰგრქვა, ვითარმედ შენცა თანამდებ ხარ ჩემდა~ (18-19).

ვინც ადვილად განრისხდება და მით ჰგონია, რომ ღვთის სიმრათლეს ვეძიებო, უნდა მოიგონოს სიტყვა კათოლიკეთაგან იაკობისთა: `აწ უკვე იყავთ ყოველი კაცი მოსწრაფე სმენად, მძიმე სიტყვად, მძიმე გულის-წყრომად; რამეთუ გულის-წყრომამან კაცისამან სიმართლენ ღვთისა არა ჰქმნას~ (1, 19-20).

შურითა და ხდომით სავსე გონების პატრონმა, უნდა მოიგონოს სიტყვა კათოლიკეთაგან იაკობისთა: `სადა არს შური და ხდომა, მუნ არს ყოველი ბოროტი და შფოთი~ (3,16).

მრისხანებით ძლეულმა, რომელიც ეძიებს სასწაულს საღმრთო სიბრძნისას, უნდა მოიგონოს სიტყვა კათოლიკეთაგან იაკობისთა: `ხოლო ზეგარდამო იგი სიბრძნე პირველად სიწმიდე არს, მერმე მშვიდობა, სახიერება, მორჩილება, სავსე წყალობითა და ნაყოფითა საქმეთა კეთილთათა, განუკითხველ, შეუორგულეებელ; რამეთუ ნაყოფი მშვიდობისა დაეთესვის მშვიდობით მათთვის, რომელნი ჰყოფენ მშვიდობასა~ (3,17-18).

ვისაც გული აღეძვრება ძმის საძრაზავად და უარყოფს მცნებას უფლისას, რომელი ბრძანებს: `ნუ განიკითხავთ, და არა განიკითხნეთ~ (მათ. 7,1). მოიგონოს სიტყვა კათოლიკეთაგან იაკობისთა: `ნუ ძვირსა იტყვი, ძმანო ჩემო, ურთიერთარს, რომელი ძვირსა იტყოდის ძმისათვის, გინა განიკითხვიდეს ძმასა თვისსა,

განიკითხავს სჯულსა. (და ჰსჯის ჰსჯულსა: უკეთუ ჰსჯულს ჰსჯი, არა ხარ მყოფელ ჰსჯულისა), არამედ განმკითხველ, ერთი არს სჯულის-მდებელი და განმკითხველი, რომელი შემძლებელ არს ცხოვრებად და წარწყმედად. შენ ვინ ხარ, რომელი განიკითხავ მოყვასსა?~ (4,11-12).

მოშურნემ და ძვირის-მეტყველმა, უნდა მოიგონოს სიტყვა კათოლიკეთაგან პეტრესა: `განიშორეთ ყოველი უკეთურებან და ყოველი ზაკვან, და შური, და ყოველივე ძვირი-სიტყვან გულითადი, ურთიერთარს იყვარებოდეთ განმარტებულად~ (1,2,1).

ვისაცა სურს ბოროტის მიგება ბოროტისა წილ და გინება გინებისა წილ და არა სწრაფობს უფრო კურთხევითა და პატივით განაქარვოს ძვირის-მეტყველებან და ბოროტნი გულის-სიტყვანი, უნდა მოიგონოს სიტყვა მოციქულის პეტრესი: `ნუ მიაგებთ ბოროტსა ბოროტისა წილ, ნუცა გინებასა გინებისა წილ, არამედ წინააღმდეგობსა აკურთხევდით, და უწყოდეთ, რამეთუ ამისთვის მებრ იჩინებით, რანთა კურთხევან დაიმკვიდროთ~ (1.3,9).

იმან, ვინც ღვთის მსახურებას იჩენს და თვისი ძმა სძულს, უნდა მოიგონოს სიტყვა კათოლიკეთაგან იოანესთა: `რომელმან სთქვას ნათელსა შინა ყოფან და ძმან თვისი ჰსძულდეს, იგი ბნელსა შინა არს ვიდრე აქამომდე~ (1.2,9).

იმ სიძულვილის გულის-თქმას, რომელიც კაცის მკვლელს მიამსგავსებს მისგან შეცდომილს, უნდა მიუგოს სიტყვა კათოლიკეთაგან იოანესთა: `ყოველსა, რომელსა სძულდეს ძმან თვისი, იგი კაცის მკვლელი არს და იცით, რამეთუ ყოველსა კაცის მკვლელსა არა აქვს ცხოვრება საუკუნო~ (1.3,15).

ჭეშმარიტისა და გულითადის სიყვარულისათვის მოიგონე სიტყვა კათოლიკეთაგან იოანესთა: `შვილნო, ნუმცა ვიყვარებით სიტყვით, ნუ ენითა ხოლო, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებითა: ამით საცნაურ ვიყვნეთ, რამეთუ ჭეშმარიტებისაგანნი ვართ~ (1.3,18-19).

ვინც ღვთის სიყვარულს აღიარებს და ძმის სიძულვილისა გამო ამ სიყვარულისაგან მოწყვეტილია, უნდა მოიგონოს სიტყვა კათოლიკეთაგან იოანესთა: `უკეთუ ვინმე ჰსთქვას, მიყვარს ღმერთი და ძმან თვისი სძულდეს, იგი მტყუარ არს; რამეთუ რომელსა არა უყვარდეს ძმან თვისი, რომელი იხილა, ღმერთი, რომელი არა უხილავს, ვითარ ხელეწიფების შეყვარებად; და ესე მცნებან მოვიდეთ მისგან, რათა რომელსა უყვარდეს ღმერთი, უყვარდეს ძმანცა თვისი. ამით ვუწყით, რამეთუ

გვიყვარნ შვილნი ღვთისანი, რაჟამს ღმერთი გვიყვარდეს და მცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ~ (1. 4,20-21;5,2).

მოწყინებისათვის

მოწყინება არის უძღურება სულისა, როცა სული უძღურია და თავის ბუნებრივ წესსა ზედა არ არის, განსაცდელსაც ვეღარ აღუდგება მხნედ.

როგორც მრთელის გვამისათვის სასარგებლოა საზრდელი, ისე სასარგებლოა განსაცდელი ახოვანის სულისათვის.

როგორც ჩრდილოეთის ქარი, რომელსაც ეწოდება ბორა, ზრდის ნაყოფთა, ისე განსაცდელი დაამტკიცებს სულის მოთმინებას.

როგორც ურწყული ღრუბელი ქარისაგან იღვევება, ისე იღვევება უთმინო გონება სულის მოწყინებისაგან.

გაზაფხულის ცვარი ზრდის ნაყოფსა, ხოლო სიტყვა წესიერი აღამაღლებს სულსა.

სული მოწყინებისა მონაზონს სენაკიდან გამოსდევნის, ხოლო რომელსაც მოთმინება აქვს, მარადის მყუდროებით იმყოფება.

იჩემებს მოწყინე უძღურთა ხილვას, მაგრამ თავის უთმინობას თანა-ჰყვება.

მონაზონი მოწყინე მალე არნ მსახურებასა და მცნებისა აღსრულებად შერაცხავს თვისის ნების აღსრულებას.

როგორც მცირე ნიავი სუსტ შტოს შეარხევს, ისი შეარყევს და მიიზიდავს მოწყინე მონაზონს განზრახვა მიმოსლვისა.

როგორც მტკიცედ და კეთილად დამყარებულ ხეს ვერ შეარყევს ძლიერი ქარი, ისე ღვთის შიშით განმტკიცებულ სულს ვერ წარიტაცებს მოწყინება.

მოსიარულე მონაზონი ქარქვეტია (ხმელი ღერო), მინდვრისა, რომელიც მცირე ხნით დაეყუდება და ისევ მიმოიტაცება.

უძლურს არ ეყოფა ერთი საზრდელი, მოწყინე მონაზონიც არ დასჯერდება ერთს საქმეს.

მოწყინეს თვალი მარადის კარებისაკენ იყურება და სტუმრის მოსლვა ეოცება. კარი რო იჭრიჭინებს, იგი წამოხტება, ხმა რომ მოესმის სარკმლიდგან, გადიხედავს და არ მოშორდება, სანამ ძლიერ არ მოეწყინება. წიგნს რო კითხულობს, ზედი-ზედ ამთქნარებს, ძილისაგან შეპყრობილია, ხშირად თვალებს ისრესავს, ხელებს იწვადინებს და წიგნს თვალს არიდებს, შეხედავს კედლებს, ისევ შემობრუნდება, ცოტა ხანს იკითხავს წიგნს, დასასრულს (წიგნისას) გამოიძიებს, რვეულებს დასთვლის, შემდეგ წიგნებს შეჰკრავს, სასთუნლად დაიდებს და ღრმად დაიძინებს, ვიდრე შიმშილი არ გამოაღვიძებს და ჭამის ზრუნვა არ აღადგენს.

მოწყინე მონაზონი ლოცვისათვის უდება და უფლის სავედრებელი სიტყვების თქმაც ეზარება.

როგორც სნეული მძიმე ტვირთს ვერ იტვირთავს, ეგრეთვე მოწყინე კაცი ვერ აღასრულებს სულიერ საქმეს.

როგორც უძლურის ძვლები დახსნილია, ისე დახსნილია მოწყინეს სიმხნე სულისა.

მოწყინებას ჰკურნავს მოთმინება, მოღვაწეობის სიყვარული და საუკუნო ცხოვრების სურვილი.

განაწესე საზომი შენის საქმისა და ნუ მოშორდები ვიდრე აღასრულებდე.

ხშირად და წადიერად ილოცე და მოწყინება გაგმორდება ქრისტეს მადლითა.

სიტყვის-მიგება მოწყინების გულის-თქმასთან

როცა გული გვეტყვის ავადმყოფ ხორციელ მამის ნახვას, ანუ სხვა ხორციელთა და ნათესავთა, მიუგე სიტყვა მათეს სახარებიდან: `ერთმა მოწაფეთა მისთაგანმა ჰრქვა მას: მოძღვარ, მიბრძანე მე პირველად მისლვად და დაფლვად მამისა ჩემისა, ხოლო იესო ჰრქვა მას: `შენ მომდევდი მე, დააცადენ მკვდარნი დაფლვად თვისთა მკვდართა~ (8,9-10).

მოწყინებისაგან დახსნილსა და ხორციელ ნივთის მამიებელ გულის-თქმას უნდა მიუგო სიტყვა მათეს სახარებიდან: `ჰსთქვა უფალმან, ყოველმან, რომელმან დაუტეოს სახლი, გინა ძმანი, ანუ მამანი, ანუ დედანი, ანუ ცოლი, ანუ შვილი, ანუ აგარაკი სახელისა ჩემისათვის, ასი წილი მიიღოს და ცხოვრება საუკუნო დაიმკვიდროს~ (19,29).

იმ მოწყინების გულის-თქმას, რომელიც ხელ-საქმის მაგიერ სხვა რასმე უშრომელს ხელობას გირჩევს და მით თავის-თავის გამოზრდას, უნდა მიუგო სიტყვა დაბადებიდან: `ოფლითა პირისა შენისათა ჰსჭამდე პურსა შენსა ვიდრე მიქცევადმდე შენდა ქვეყანად, რომლისაგანცა მოგიყვანე შენ. მიწა ხარ და მიწადვე მიხვიდე~ (შექმ. 3,19).

მოწყინებისაგან შეშფოთებულს გულის-თქმას, რომელიც ძვირსა ზრახავს ეკლესიის წინამძღვარისათვის, ფიცხელია და კრებულს არაფრით ნუგეშსა სცემს, უნდა მიუგო სიტყვა გამოსლვათაგან: `მთავარსა ერისა შენისასა არა ეტყოდე ბოროტად~ (22,28).

მოწყინებით დახსნილმა, რომელსაც ჰგონია, მოუთმენელად მოვიპოვებ ნაყოფს გულის-ხმის ყოფისასაო, უნდა მოიგონოს სიტყვა რიცხვთაგან: `მოთმინე იქმნენით და მოიღეთ ნაყოფთაგან ქვეყნისათა~ (13,21), ხოლო უფალი ბრძანებს: `მოთმინებითა თქვენითა მოიპოვნეთ სულნი თქვენნი~ (ლუკ. 21,19).

იმ მოწყინების გულის-თქმის შემწყნარებელმა, რომელიც მოსურნეა სოფლის ამოებისათვის, და საწუთო და საშვებელი უყვარს, უნდა მოიგონოს სიტყვა მეორე სჯულისაგან: `ისმინე ისრაილ! უფალი ღმერთი შენი უფალი ერთ არს, და შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი~ (6,4-5; ლევიტ.19.18).

იმ მოწყინების გულის-თქმას, რომელიც სულიერ წვრთას უშლის მონაზონსა და ეტყვის,-წმიდა ბერმა მხოლოდ ათორმეტი ფსალმუნი იცოდა და მით სათნო ეყო უფალსაო, უნდა მიუგო სიტყვა მეორე სჯულისაგან: `და იყვენ სიტყვანი ესე, რომელ გამცნე შენ დღეს, გონებასა შინა შენსა, და ასწავე იგინი შვილთა შენთა და იწურთიდე შენ, სჯიდე რა სახლსა შენსა, და ხვიდოდე რა გზასა შენსა და სასვენებელსა შენსა და აღდგომასა შენსა~ (6,6).

ხორცის ცოტათი სიუძღურის გამო დახსნილ და მოწყინებას მიცემულ გულის-თქმას უნდა მიუგო სიტყვა მეორე სჯულისაგან: `და განგაშოროს შენ უფალმან ღმერთმან ყოველი იგი სენი და საღმობან ბოროტი მეგვიპტელთა, რომელ იგი უწყი და არა მოავლინოს იგი შენზედა, არამედ მტერთა შენთა ზედა~ (7,15).

მოწყენილ და მტრის ბრძოლით შეშინებულ გულის-თქმას, რომელსაც ჰგონია მოწყინების ეშმაკი ძლიერიაო, უნდა მიუგო სიტყვა მეორე სჯულისაგან: `ნუ გეშინინ პირისაგან მათისა, რამეთუ უფალი ღმერთი შენთანა არს, დიდი, ძლიერი და მოსრნეს უფალმან ღმერთმან შენმან ყოველნი მტერნი შენნი პირისაგან შენისა~ (7,21-22).

მოწყენილმა მონაზონმა, რომელსაც გულისთქმა უშლის სულიერსა წვრთასა და ეტყვის, უმჯობესია უფლისა-მიერ სწავლა წერილებისა, ვიდრე თავის-თავად წვრთა და წიგნების კითხვაო, უნდა მოიგონოს სიტყვა ისო ნავესაგან: `და არა განგეშოროს წიგნი ესე ამის ჰსჯულისა პირისაგან შენისა და იწვრთიდე მას დღე და ღამე, რათა გულის ხმა-ჰყო ყოვად ყოველი წერილი, მაშინ წარგემართენ გზანი შენნი და მაშინ გულის-ხმა-ჰყო, აჰა ესერა მე გამცნებ შენ~ (1,8-9).

როცა მოწყინების ეშმაკი ძლიერად შეებმის მოღვაწე სულსა, მაშინ უნდა მოიგონოს სიტყვა წიგნისაგან მეფეთასა: `უფალმან უძღურ ჰყოს მხდომნი მისნი, უფალი წმიდა არს~.

მოწყინების გულის-თქმით განფიცებულმა რომელსაც ღამე ლოცვის დროს ცრემლი არ მოსდის, რაიცა წამალია მისთვის,-ესე იგი ტირილით ღვთის ვედრება სდევნის

ყოველ გვარ ოცნებას მოწყინებისას, როგორც ნეტარი დავითი იქმოდა და ჩვენც გვასწავა,-უნდა მოიგონოს სიტყვა მე-ვ ფსალმუნიდან: `დავშვერი მე სულთქმითა ჩემითა, დავბანე მე მარადლე ცხედარი ჩემი, ცრემლითა ჩემითა სარეცელი ჩემი დავალტვე~ (6,6).

მოწყინების გულის-თქმით შეჭირვებულმა, უფლის სავედრებელად უნდა მოიგონოს სიტყვა მე-კდ ფსალმუნიდან: `იხილე სიმდაბლენ ჩემი და შენ მომიტევენ ყოველნი უსჯულოებანი ჩემნი~ (24,18).

ცხოვრებისათვის სასო-წარმკვეთელს მოწყინების გულის-თქმას უნდა მიუგოს სიტყვა მე-კვ ფსალმუნიდან: `მრწმენა მე ხილვად კეთილი უფლისა ქვეყანასა მას ცხოველთასა, და დაუთმე უფალსა, მხნე იყავნ და განძლიერდინ გული შენი და დაუთმე უფალსა~ (26,13-14).

მოწყინებისაგან გაჩენილს გულის-თქმას, რომელიც ღვთის დიდებისათვისაც დრტვინვას აბედვინებს კაცს, უნდა მიუგოს სიტყვა მე-ლვ ფსალმუნიდან: `ვაკურთხო უფალი ყოველსა ჟამსა, მარადის ქება მისი პირსა ჩემსა~ (33,1).

ვინც მოწყინებისაგან უსასოების გულის-თქმას შეიწყნარებს და მონაზონურ ცხოვრების წარმატებას დიდად სამნელოდ შერაცხავს, უნდა მოიგონოს სიტყვა მე-ლვ ფსალმუნიდან: `ესევდ უფალსა და ჰყავ სიტკბოება და დაიმკვიდრო ქვეყანან და დაემწყსო სიმდიდრესა~ (36,3).

მოწყინებისა გამო სხვა ადგილას დამკვიდრების მსრუველმა უნდა მოიგონოს სიტყვა მე-ლვ ფსალმუნიდან: `დაუთმე უფალსა, დაიცვენ გზანი მისნი, მან აღგამაღლოს შენ დამკვიდრებად ქვეყანასა~ (36,34).

ვინც არ იცი, რომ როცა მოწყინების გულის-თქმა განმრავლდება, გონების წესიერებას შეარღვევს და ლოცვის დროს ნათელს აღარ დაანახვებს, უნდა მოიგონოს სიტყვა მე-ლზ ფსალმუნიდან: `გული ჩემი შეზრწუნდა, და დამიტევა მე ძალმან-ჩემმან, და ნათელი თვალთა ჩემთა იგიცა არავე იყო ჩემთანა~ (37,10).

ვისაცა სწადიან სცნას, რომ ჩვენთან მდგომარე არიან ანგელოსნი და, როცა ცოტა ხნით გვმორდებიან, მაშინ გვებრძვიან ეშმაკნი, უნდა მოიგონოს სიტყვა მე-ლზ

ფსალმუნიდან: `მოყვარენი ჩემნი და მეგობარნი ჩემნი ჩემ წინაშე მომეახლნეს და დასდგეს, და მახლობელნი ჩემნი შორს დადგეს ჩემგან. და მაიძულებდეს მე, რომელნი ეძიებდეს სულსა ჩემსა და რომელნი ეძიებდეს ძვირსა ჩემსა, იტყოდეს ცოდვასა და ზაკვასა მარადღე ზრახვიდეს~ (37, 11-12).

ვისაც მოწყინებისაგან მოთმინება და სასოება წარეკვეთება და იფიქრებს, შესაძლებელი აღარ არის, რომ უფალს ვუყვარდეთ, უნდა მოიგონოს სიტყვა მე-ლთ ფსალმუნიდან: `თმენით დავუთმე უფალსა და მომხედნა მე და ისმინა ლოცვისა ჩემისა~ (39,1).

ვინც ამისთანა ბრძოლის დროს არ მოიხსენებს ცრემლს ნეტარის დავითისას და მის სიტყვებს, მოიგონოს სიტყვა მე-მა ფსალმუნიდან: `მექნეს მე ცრემლნი საჭმელად ჩემდა დღე და ღამე~ (41,3).

მოწყალებით დახსნილმა და მწუხარებით აღვსებულმა უნდა მოიგონოს სიტყვა მე-მა ფსალმუნიდან: `რად მწუხარე ხარ სულო ჩემო, ანუ რად შემადრწუნებ მე? ესვედ ღმერთსა, რამეთუ მე ავუარო მას, მაცხოვარსა პირისა ჩემისასა და ღმერთსა ჩემსა~ (41,5).

უფლის სავედრებელი სიტყვები მე-ნე ფსალმუნიდან, რომ შერისხოს მოწყინების ეშმაკნი, რომელნიც სხვა-და-სხვა გვარის ბრძოლით გვაჭირვებენ: `მიწყალე მე ღმერთო, რამეთუ დამთრგუნა მე კაცმან, მარადღე ბრძოლითა მაჭირვეს მე, და დამთრგუნეს მე მტერთა ჩემთა მარადღე~ (55, 1-2).

უფლისა მიმართ სავედრებელი სიტყვები მე-ნე ფსალმუნიდან მრავალ გვარ გულის-თქმისა და ბრძოლისაგან მოსარიდებელი: `გავვლეთ ჩვენ ცეცხლი და წყალი და გამომიყვანენ ჩვენ განსასვენებელად~ (65,11).

იმ მოწყინების გულის-თქმას, რომელიც ცუნდრუკებით გეტყვის: იგი ვინმე შენი ძმა და ნათესავი, მთავართან ანუ მღვდელ-მოძღვართან არის პატივ-ცემული და შვებული, შენ კი შეურაცხი ხარ პურის მთხოველიო, უნდა მიუგო სიტყვა მე-ობ ფსალმუნიდან: `ხოლო ჩემდა მიახლება ღვთისა კეთილ არს, და დადებად უფლისა მიმართ სასოება ჩემი~ (72,28).

მოწყინების გულის-თქმას, რომელიც უცხოვსთან სტუმრად მისლვას გვაწვევს, რომ ნუგეში გვეცეს მისგან, უნდა მივუგოთ სიტყვა მე-ოვ ფსალმუნიდან: `წარიწირა ნუგეშის-ცემან სულმან ჩემმან; მოვიხსენე ღმერთი და ვიხარე, ვზრუნევდ და მოაკლდა სულსა ჩემსა~ (76,2-3).

იმ მოწყინების გულის-თქმას, რომელიც ჩვენის ცხოვრების გრძელს ჟამს გვაუწყებენ, უნდა მოვიგონოთ სიტყვა მე-რბ ფსალმუნიდან: `კაცნი, ვითარცა თივა არიან დღენი მისნი, და ვითარცა ყვავილი ველისა ეგრე აღყვავდეს~ (102,15).

იმ მოწყინების გულის-თქმას, რომელიც სხვის სენაკის ძიებას გვაწვევს, რაიცა საკეთილო არ არის და მრავალის საბრთხით სავსეა, უნდა მივუგოთ სიტყვა მე-რლა ფსალმუნიდან: `ესე არს განსასვენებელი ჩემი, ამას დავემკვიდრო, რამეთი მთნავს ესე~ (131,14).

უფლისა მიმართ სავედრებელი სიტყვები მე-რმბ ფსალმუნიდან, როცა ჩვენს გონებას მოწინება მოიცავს და გვაჭირვებს: `ჰსდევნა მტერმან სული ჩემი და დაამდაბლა ქვეყანასა ზედა ცხოვრება ჩემი, დამსვა მე ბნელსა შინა, ვითარცა მკვდარი საუკუნოჲ, მოეწყინა ჩემთანა სულსა ჩემსა~ (142, 3-4).

იმ მოწყინების გულის-თქმას, რომელიც საქმეს ატოვებინებს მონაზონს და ურჩევს კედელზე მიყრდნობას დასაძიებლად, უნდა მიუგოს სიტყვა იგავთაგან: `ვიდრემდე ქვემდებარე ხარ, კი მცონარო, ანუ ოდეს განიღვიძო ძილისაგან? მცირედ ჰსჯიდი, მცირედ მიირული, მცირედლა დაიხსნი ხელნი მკერდსა ზედა,- მაშინ მოიწიოს შენზედა, ვითარცა მოგზაური, სიგლახაკე და ნაკლულეევანება, ვითარცა კეთილი მსრბოლი~ (6,9-10).

იმ გულის-თქმას, რომელიც შრომისა და მოღვაწეობის მოწადინე არ არის, უნდა მიუგო სიტყვა იგავთაგან: `პირი კაცისა გულის-ხმის-მყოფელისა ბრძენ, ხოლო თავნი უგუნურთაგანი კიდეთა ქვეყანისათა~.

მოწყინების გულის-თქმას, რომელიც ძმას ბრალსა სდებს: არა აქვს არცა ძმათა სიყვარული და არცა ნუგეშინის-ცემა დამაშვრალთაო, უნდა მიუგო სიტყვა იგავთაგან: `მიზეზსა ეძიებნ კაცი, რომელსა ეგულვებინ განშორებან მეგობართაგან თვისთა, ხოლო ყოველსა ჟამსა საყვარელ იყოს იგი~.

მოწყინების გულის-თქმით შეჭირვებულმა უნდა მოიგონოს სიტყვა იობისაგან: `ნეტარ არს კაცი, რომელსაც ამხილოს უფალმან; ჰსწავლასა ყოვლისა-მპყრობელისასა ნუ განეშორები, რამეთუ მან ამხილოს და მერმე კვალად მოაგის, და ჰსცეს და ხელთა მისთა განკურნეს. ექვს გზის ბოროტისაგან გიხსნას შენ და მეშვიდესა მას არ შეგირაცხოს შენ ბოროტი~ (5,17-19).

იმ მოწყინების გულისთქმას, რომელიც ხანგრძლივს სიბერესა, უღონო სიგლახაკესა და ფიცხელს სნებას მოგვაგონებს, უნდა მივუგოთ სიტყვა იობისაგან: `ჰკითხე ნათესავთა მას პირველსა და გამოიძიე ნათესავითი-ნათესავად მამან, რამეთუ საწუთრონი ვართ და არა ვიცით, რამეთუ აჩრდილ არს ცხოვრება ჩვენი ქვეყანასა ზედა~ (8,8-9).

მოწყინების გულის-თქმას, რომელიც სხვა ადგილას წასლვას და სენაკის აშენებას გვიჩვენებს, საცა განსაცხრომელი ადვილად იპოვება და დიდი ნუგეშინის-ცემა აქვთ მმათა, უნდა მიუგო სიტყვა იობისაგან: `ანუ არა მცირე არს ჟამი ცხოვრებისა ჩვენისა? მაცადე მე და განვისვენო მცირედ, ვიდრე-მისლვად ჩემდა, ვინა არღარა მოქცევად ვარ~ (10,20-21).

სულით შეჭირვებულმა, რომელსაც ჰგონია, უფალი არა ხედავს ჩემს ჭირსა და ურვას მოწყინებისასაო, უნდა მოიგონოს სიტყვა იობისაგან: `ნუ იტყვი, ვითარმედ არა იყოს მოხედვა კაცისა, და მოხედვა მისი უფლისა მიერ, და იყოს შემწე შენდა ყოვლისა-მპყრობელი მტერთაგან შენთა, და მაშინ განცხადებულებან ჰპოვო წინაშე უფლისა და აღიხილნე თვალნი შენნი ზეცად, მხიარულებით ილოცვიდე რან შენ მისა მიმართ~.

იმ გულის-თქმას, რომელიც ნატრის მათ, რომელნიც სოფელში იმყოფებიან, უნდა მიუგო სიტყვა წინასწარ-მეტყველის მიქიასი: `რამეთუ ყოველნი იგი ერნი ვდიოდიან კაცად-კაცადი გზასა თვისსა, ხოლო ჩვენ ვიდოდით სახელითა უფლისათა უკუნისამდე და მერმეცა~ (4,5).

სულით მოწყენილმა და გვამით უძლურმა უნდა მოიგონოს სიტყვა წინასწარ-მეტყველის მიქიასი: `შერისხვან უფლისა თავს ვიდვა, რამეთუ შევჰსცოდე მას, ვიდრემდის განამართლოს სასჯელი ჩემი და ჰყოს განკითხვან ჩემი, და გამომიყვანოს მე ნათლად და ვიხილო სიმართლენ მისი~ (7,9).

მოწყინების გულის-თქმით დამძიმებულმა, რომელიც თავის ადგილიდან წასლვას განიზრახავს, უნდა მოიგონოს წინასწარ-მეტყველის ისაიას სიტყვები: `აჰა ესერა,

ჰსრცხვენოდენ და კდემულ იყვენენ ყოველნი მტერნი შენნი, და ვითარცა არა ყოფილნი იყვენენ და წარსწყმდენ ყოველნი მოსაჯულენი შენნი. ეძიებდე მათ და არა ჰპოვნე, რამეთუ იყვენენ, ვითარცა არა რანი და არა იყვენენ ბრძოლნი იგი შენნი, რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი შენი~ (41,11-13).

ემმაკის ბრძოლისაგან შეჭირვებულმა უნდა მოიგონოს სიტყვა ისაია წინასწარ-მეტყველისა: `უფალი მსაჯულ ჩვენდა, უფალი მთავარ ჩვენდა, უფალი მაცხოვარ ჩვენდა, და მან თავადმან მიხსნა ჩვენ~ (33,22).

უფლისა მიმართ სავედრებელი სიტყვები იერემია წინასწარ-მეტყველისა და მოწყინებისა გამო, რომელიც ჩვენს მოთმინებას შეარყევს და მახლობლებთან მისლვას გვაიძულებს: `უფალო, ჰყავ ჩვენთანა წყალობა სახელისა შენისათვის, რამეთუ მრავალ არიან ცოდვანი ჩემნი წინაშე შენსა, რამეთუ შენ შეგცოდეთ. თმენაო ისარილისაო, უფალო, გვიხსენ ჩვენ ჟამსა ჰირისასა~ (14,7-8).

მოწყინებისაგან შევიწროებულმა, რომელსაც გაუჩნდება პირველი იგი საქმის სურვილი, უნდა მოიგონოს სიტყვა იერემია წინასწარმეტყველისა: `ესრეთ ჰსთქვა უფალმან: ნუ დასცხრებინ ხმან შენი ტირილისაგან და თვალნი შენნი ცრემლთაგან, რამეთუ არს სასყიდელი შენთა საქმეთა, ჰსთქვა უფალმან, და მოიქცენ ქვეყანით მტერთათ, და იყოს სასოება აღსასრულსა შენსა, ჰსთქვა უფალმან~ (31,16-17).

იმ მოწყინების გულის-თქმას, რომელიც მონაზონურ ცხოვრებას საძნელოდ და საჭიროს (ჰირად) გვიჩვენებს, უნდა მიუგოთ სიტყვა გოდებათაგან იერემიასთა: `სახიერ არს უფალი, რომელთა დაუთმონ მას, და სულმან, რომელმან მოიძიოს იგი; კეთილ არს დათმენა და სასოება მაცხოვარებისა უფლისა~ (3,25-26).

ვინც იფიქრებს თვინიერ მოღვაწეობისა, შესაძლებელია კეთილის ცხოვრების მოგებაო, უნდა მოიგონოს სიტყვა იერემიას გოდებათაგან: `კეთილ არს კაცისა, რაჟამს აღილოს უღელი მისი სიჭაბუკითგან მისითა; და დასჯდეს მართო და დასუმნეს, რამეთუ აღილო თავით თვისით; მისცეს მიწასა პირი თვისი, თმენით მიუპყრას მცემელსა ღაწვი თვისი და აღივსოს ყვედრებითა, რამეთუ არა უკუნისამდე განიშოროს უფალმან~ (3,27-31).

განძლიერებულის მოწყინების დროს, ღვთის სავედრებელად, უნდა მოვიგონოთ სიტყვა დანიელისაგან, გალობა სამთა ყრმათა: `ნუ მიმცემ ჩვენ სრულიად სახელისა შენისათვის და ნუ განაჟარვებ აღთქმასა შენსა; და ნუ განაშორებ წყალობასა შენსა

ჩვენგან აბრაამისათვის, საყვარელისა შენისა, და ისაკისათვის, მონისა შენისა, და ისრაილისათვის, წმიდისა შენისა~ (3,34-35).

როცა გაჭირვებული ცხოვრების გამო მოწყინება გაგვიჩნდება, უნდა მოვიგონოთ სიტყვა მოციქულის პავლეს ეპისტოლედან რომაელთა მიმართ: `ჭირსა დაუთმობდით, ლოცვასა განკრძალულ იყვენით~ (12,12).

როცა მოწყინებისა გამო გული დრტვინვას დაგვიწყებს, უნდა მოვიგონოთ სიტყვა პავლესი კორინთელთა მიმართ: `ნუ სდრტვინავთ, ვითარცა იგი მათთაგანნი ვინმე დრტვინვიდეს და წარსწყმდეს მომსვრელისა მისგან~ (1.10,10).

გაჭირვებულის ცხოვრებისა გამო მოწყინებით შეურვებულმა, თუ არ მოიხსენიებს ჭირსა და ტანჯვას, რომელიც დაითმინეს წმ. მოციქულებმა, უნდა მოიგონოს სიტყვა კორინთელთა მიმართ პავლეს ეპისტოლედან: `შრომითა, უმეტეს ტანჯვითა, უმეტეს პყრობილებითა გარდარეულად, სიკვდილთა შინა მრავალ-გზის, ურიათაგან ხუთ-გზის, ორმოცსა ერთ მოკლებული ცემა მოვიღე, სამგზის კვერთხითა ვიეც, ერთ-გზის ქვითა განვიტვინე, სამ-გზის ნავი დამექცა, ღამე და დღე უფსკრულთა შინა დავჰყავი; (დამითმენიეს): გზისა სლვანი, მრავალ-გზის ჭირნი მდინარეთანი, ჭირნი ავაზაკთანი, ჭირნი ნათესავთაგან, ჭირნი წარმართთაგან, ჭირნი ქალაქთა შინა, ჭირნი უდაბნოთა ზედა, ჭირნი ზღვათა შინა, ჭირნი ძმათა-მტყუართაგან, შრომითა და რუდუნებითა, მღვიძარებითა, მრავალ-გზის შიმშილითა და წყურვილითა, მარხვითა, მრავალ-გზის ყინულითა და შიშლოებითა, გარეშე მისა, რომელი მოიწევის ჩვენზედა დღითი-დღე~ (2.11,24-29).

მოწყინების გულის-თქმას, რომელიც სულიერთა მამათა და ძმათა მიმართ უმადლოებას დაგვიბადებს, უნდა მივუგოთ სიტყვა ეპისტოლედან ეფესელთა მიმართ: `ჰმადლობდით ყოვლადვე ყოველთათვის სახელითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა ღმერთსა და მამასა, დაემორჩილენით ურთიერთას შიშითა ღვთისათა~ (5,20-21).

ვინც იმის უმეცარია, რომ ქრისტესთვის ვნება და ჭირი სულ ერთია სულერთა მადლთა შორისაო, უნდა მოიგონოს სიტყვა მოციქ. პავლეს ეპისტოლ. ფილიპ. მიმართ: `რამეთუ თქვენ მიგემაძლა ქრისტესთვის არა ხოლო მისა მიმართ სარწმუნოებაჲ, არამედ მისთვის ვნებაცა~ (1,29).

როცა მოწყინება შეგვარყევს და გვაწვევს წმიდა გზისა და საცხოვრებელ ადგილის დატოვებას, უნდა მივუგოთ სიტყვა პავლესი ებრ. მიმარ. ეპისტ: `რამეთუ მოთმინებან გიხმს თქვენ, რათა ნებან ღვთისა ჰყოთ და მოილოთ აღნათქვამი იგი. მცირედლა, წუთ ერთ, მომავალი იგი მოვიდეს და არა ყოვნოს, ხოლო მართალი იგი სარწმუნოებით ჰცხონდეს~ (10, 36-38).

მოწყინებისაგან უსასოდ ქმნილმა უნდა მოიგონოს სიტყვა პავლესი ეპისტოლედან ებრ. მიმ.: `არს სარწმუნოება მოსავთა მისთა ძალ, საქმეთა მამხილებელ-არა ხილულთა~ (11,1).

გულის-თქმას, რომელიც სურვილს აღგვიძრავს ჩვენის ქალაქისა და იქ მყოფთა თვისთა და მეგობართა ხილვას, უნდა მივუგოთ სიტყვა იმავე ეპისტოლედან: `რამეთუ არა გვაქვს ჩვენ აქა საყოფელად ქალაქი, არამედ მერმესა მას ვეძიებთ საუკუნესა~ (13,14).

იმავე გულის-თქმისათვის სიტყვა პავლე მოციქულის ეპისტოლედან ებრ. მიმართ: `სარწმუნოებით მოსწყდეს ესე ყოველნი და არა მოელოთ მათ აღნათქვამი იგი, არამედ შორით იხილეს იგი და მოიკითხეს და აღიარეს: `რამეთუ რომელნი ამას იტყვიედ, გამოაჩინებენ, რამეთუ სტუმარ და წარმავალი არიან იგინი ქვეყანასა ზედა, რამეთუ სასუფეველსა ეძიებენ; და თუმცა მას (სასუფეველსა) მოიხსენებდეს, ვინა (საიდგანაც) იგი გამოვიდეს, აქვდამცა ჟამი მუნვე მიქცევისა, ხოლო აწ უმჯობესსა მას გული ეტყვის, ესე იგი არს, ზეცისასა~ (11,13-16).

მოწყინებით დაღონებულმა, რომელსაც ჰგონია, ნუ თუ მარტო მე ვარ მიცემული ეშმაკისადმი სატანჯველად, უნდა მოიგონოს სიტყვა პავლესი ეპისტოლედან ებრ. მიმ.: `და სხვანი ტანჯვითა და გვემითა განიცადნეს, მერმე კვალად ბორკილებითა და საპყრობილებითა, (ქვითა) განიტვინნეს, განიხერხნეს, განიცადნეს, სიკვდილითა მახვილისათა მოსწყდეს, იქცეოდეს ხალენებითა და თხის ტყავებითა ნაკლულევანნი, ჭირვეულნი, ძვირ-ხილულნი; რომელთა ღირსვე არა იყო სოფელი ესე, უდაბნოთა ზედა შეცთომილნი (ივლტოდნენ) მათათა და ქვაბთა და ხვრელთა ქვეყანისათა~ (11, 36-38).

მოწყინების გულის-თქმას, რომელიც სულიერ მამებზე განგვაფიცებს, რომ არც ერთი ნუგეშინის-ცემა არა გვაქვს მათგანო, უნდა მივუგოთ იმავე ეპისტოლედან: `დაემორჩილ

ცუდად მზვაობრობისათვის

ცუდად-მზვობრობა უგუნური ვნება არის და ყოველსა კეთილსა საქმესა შეეთხზნება და არ განშორდება, ვიდრე არ განახმობს მას. როგორც მიწაზე მდებარე ყურძნის ტევანი ადრე დალპება, ისე სათნოება, მზვობრობასთან შეერთებული, სწრაფად წარსწყმედს კაცსა. მზვობარი მონაზონი უმაღლო მუშაკია, შრომას ტვირთულობს, მაგრამ ღვთისაგან სასყიდელს ვერ მიიღებს. როგორც გახვრეტილი ვაშკარანი (ხურჯინი) ვერ დაიმაგრებს შიგ ჩადებულს რასმე, ისე მზვობრობა წარწყმედს შრომის სასუფეველსა მზვობარის მარხვა ცეცხლის კვამლია და მის მსგავსად ჰაერში განქარდება. როგორც ქარი მტვერს აღგვის, ეგრეთვე მზვობრობა უჩინო ჰყოფს ქველის-საქმესა. როგორც გასროლილი ქვა ზეცამდე ვერ მისწვდება, ეგრეთვე ლოცვა კაცთა-მოთნისა ვერ აღვალს წინაშე ღვთისა, ცუდად მზვობრობა კლდეა ზღვაში დაფარული: თუ მას ნავი შეეჯახება შეიმუსრება და ტვირთი დაინთქმება.

გონიერი კაცი თავისს საუნჯეს დამალავს, ბრძენი მონაზონიც დაჰფარავს თავისს შრომასა.

მოღვაწე ფუტკარსა ჰბადავს, მეცნიერიც გარედან იკრებს ყვავილსა და გოლეულს ფარულად აკეთებს.

ზვობა კაცს ბანზე სალოცავად იწვევს, გონიერი კაცი კი თავისთვის დაფარულად ილოცავს.

უგუნური ვაჭარი თავისს სიმდიდრეს განაქიქებს, საყოველთაოდ გამოაცხადებს, რის გამოც მრავალნი შურითა და ხდომით აღიძვრიან, ხოლო შენ, ძმაო, უნდა მალავდე საუნჯესა შენსა უშიშარ ქალაქში მისლვამდე, რადგან ავაზაკთა გზაზე დადიხარ, რომ, როცა უშიშარ ქალაქში მიხვალ, კეთილად იხმარო შენი მონაგები. გზად უნდა იგულისხმო ავაზაკით სავსე ეს საწუთრო და მშვიდობის ქალაქად კი საუკუნო ცხოვრება. ნუ იქადი ვიდრე მოგზაურობაში იმყოფები, რადგან ეს უგუნურება იქნება ბრძოლის გამომწვეველი.

როცა უშიშარ ქალაქში შეხვალ უნდა გიხაროდეს, რადგან ველარავინ წარიტაცებს შენს ნაშრომსა.

მზვობრის შესაწირავი გარყვნილია და უფლის საკურთხევლის წინაშე ვერ აღვალს.

როგორც ნაწერი ყინულიანის წყალისაგან სწრაფად აღიხოცება, ისე სწრაფად უჩინო იქნება მზვობარის შრომა და სათნოება.

ნუ ქადაგებ მარხვის მოღვაწებასა მრავალთა სასმენლად, და ნურც უჩვენებ შენს ნაშრომს სხვათა სახილველად, რათა მამამან შენმან, რომელი ხედავს დაფარულთა მოგცეს სასყიდელი ცხადად.

დაფარული სათნოება ნათლის უბრწყინვალესად გამოჩნდება, მოწყინება კი დახსნის სულის შრომასა.

ზვაობა მიძინებულს გონებას განაღვიძებს, უძლურს განაძლიერებს და მოხუცებულს ჭაბუკზე უქველესს ჰყოფს, თუ მას ხედავს მრავალი თვალი. მარხვა, ლოცვა და მღვიმარება მისთვის მსუბუქია, რადგან მრავალთა ქება განაღვიძებს მაჩვენებლობის გულს-მოდგინებასა, შენს შრომას ნუ გაჰყიდი კაცთა სადიდებელად და ნუ ანაცვალე საუკუნო დიდებას უნდოსა და წუთიერს ქებას. კაცობრივი დიდება მიწაში დაემკვიდრება და მისი ქებულება ქვეყანაზედვე დაშრტება. საღმრთო სათნოების დიდება კი უკუნისამდე ეგება ქრისტეს მადლითა.

ცუდად-მზვაობარის გულის-თქმის შესახებ_1

იმ გულის-თქმას, რომელიც კაცთა საჩვენებლად გვაქნევინებს ქველის საქმესა, უნდა მივუგოთ სიტყვა მათეს სახარებიდან: `ეკრძალენით ქველის საქმესა თქვენსა, რანთა არა ჰყოთ წინაშე კაცთა სახილველად მათდა, უკუეთუ არა, სასყიდელი არა გაქვსთ მამისა თქვენისა ზეცათაჲსა~ (6,1).

იმ მზვაობრივს გულისთქმას, რომელიც ლოცვის დროს გაგვიჩნდება, რომ კაცთა გასაგონად ვილოცოთ და რომელიც გონებას განგვიცვიფრებს და ამის გამო სიწმიდით ვერ შევსწირავთ უფალს ვედრებას, უნდა მივუგოთ სიტყვა მათეს სახარებიდან: `და რაჟამს ილოცვიდე არა იყო ეგრეთ, ვითარცა ორგულნი, რამეთუ უყვარნ შესაკრებელთა შორის და უბანთა ზედა დგომან და ლოცვან, რანთა უჩვენენ კაცთა. ამინ გეტყვი თქვენ: `მიუღებთ სასყიდელი მათი; ხოლო შენ, რაჟამს, ილოცვიდე, შევედ საუნჯესა შენსა და დაჰხმ კარი შენი და ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად და მამან შენი, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად~ (6,5-9).

მზვაობრივს გულის-თქმას, რომელიც ისწრაფის მარხვის ქადაგებას, რომ მით ჩვენი გონება მოეცალოს ნაყოფანების გულის-თქმას და მიეცეს მზვაობრივს გულის-თქმას, რის გამოც ეშმაკნი მოსწრაფე არიან, რომ ჩვენი გონება არ განთავისუფლდეს მავნებელის გულის-თქმისაგან და არ შეეძლოს უბრალოდ წარდგომა ღვთის წინაშე. უნდა მივუგოთ სიტყვა მათეს სახარებიდან: `და რაჟამს იმარხვიდეთ, ნუ იყოფით, ვითარცა იგი ორგულნი, მწუხარე, რამეთუ განირყვნიან პირნი მათნი, რანთა ეჩვენენ კაცთა მმარხველად; ამინ გეტყვი თქვენ: მიუღებთ სასყიდელი მათი~ (6,16).

იმ მზვაობარს გულის-თქმას, რომელიც ცუდად-მეტყველებას გვაიძულებს, ამას საქმეში გონებას გაგვირთობს, გულის-წყრომას ან გულის-თქმას აღვიგძრავს, გონებას აოცნებებს, რაიცა მავნებელია გონების სიწმიდისათვის, უნდა მივუგოთ სიტყვა მათეს სახარებიდან: `ხოლო მე გეტყვი თქვენ, ყოველი სიტყვა ცუდი და უქმი, რომელსა იტყოდინ კაცნი, მისცენ სიტყვან დღესა მას სასჯელისასა, რამეთუ სიტყვათა შენთაგან განმართლდე და სიტყვათა შენთაგან დაისაჯო~ (12,36-37).

მზვაობარს გულის-თქმას, რომელიც გვახარებს, რომ ეშმაკნი ჩვენგან გარბიანო, უნდა მივუგოთ სიტყვა ლუკას სახარებიდან: `ხოლო ამას ზედა ნუ გიხარის, რამეთუ სულნი უკეთურნი დაგემორჩილებიან, არამედ გიხაროდენ, რამეთუ სახელები თქვენი დაიწერა ცათა შინა~.

როცა ეშმაკი ჩავვაგონებს, სასწაულით კურნების მაღლი მიგიღიაო, უნდა მივუგოთ იოანეს სახარებიდან: `რამეთუ იგი კაცის მკვლელი იყო დასაბამიდგან და ჭემმარიტებასა არა დაადგრა, რამეთუ ჭემმარიტებან არა არს მისთანა. ოდეს იტყვინ ტყუვილსა თვისისაგან გულისა იტყვინ, რამეთუ მტყუვარ არს და რამეთუ მამანცა მის მტყუვარი არს~ (8,44).

როცა მზვაობრივი გულის-თქმა სოფელში მისლვას გვაწვევს ძმათა და დათა მონაზონად წამოსაყვანად, უნდა მივუგოთ სიტყვა დაბადებიდან: `რქვეს ანგელოსთა მათ ლოთს: განრინებით განარინე თავი შენი და ნუ გარე უკუნ იხილავ, ცა სდგა ყოველსა ამას სახებსა (ნუცა დასდგები ყოველსა შინა გარემოს სოფლებსა); მთად კერძო ივლტოდე, ნუ უკვე თანა შეიპყრა~ (შექმ. 19,17).

ცოდვილმა სულმა, რომელსაც არა წმიდა გულის-თქმა აქვს და მღვდელობა სურს, უნდა მოიგონოს სიტყვა რიცხვთაგან: `და მოიხვნა ელიაზარ მღვდელმან, ძემან

აპრონისმან საცეცხურნი იგი რვალისანი, რაოდენი იგი მიეხვნეს და მწურთა მათ და მოსდევს გარე შესადებელად საკუთხეველსა, სახსენებელად ძეთა ისრაელისათა, რამეთუ არვინ მოუხდეს უცხო თესლი, რომელი არა იყოს ნათესავისაგან აპრონისა, დასხმად საკმეველისა წინაშე უფლისა, რათა არა იყოს, ვითარცა კორე და კრებული მისი, ვითარცა იტყოდა უფალი პირითა მოსესეითა, ვითარმედ: დაიმარხეთ მღვდელობან თქვენი ყოვლისაებრ წესისა საკურთხეველისა და შინაგან კრეტსაბმელისა და მსახურებდით მსახურებასა, მოცემულსა მღვდელობისა თქვენისასა, და უცხო თესლი იგი, რომელი შეეხოს, მოკვდეს~ (16, 38-39, 18,7).

იმ მზვაობარს გულის-თქმას, რომელსაც სურს კაცთ-მოთნეობისათვის სიმართლის ქმნა, უნდა მიუგოს სიტყვა რიცხვთაგან: `მართლად იქმოდეთ სიმართლესა, რათა სცხონდეთ და შეხვიდეთ და დაიმკვიდროთ ქვეყანა იგი, რომელი უფალმან ღმერთმან მოგცეს თქვენ~.

იმ გულის-თქმას, რომელიც სათნოებას ზვაობას შეურევს და ამ გვარად აღასრულებს თავის მოქალაქობას ანუ ცხოვრებას, უნდა მიუგოთ სიტყვა მეორე სჯულისაგან `არა ხვნიდე ხარითა და ვირითა ერთბამად~ (22,10).

რომელნიც ზვაობისაგან იძლევიან და ჰგონიათ ჭეშმარიტს იტყვიან, და ეშმაკნიც ეპისკოპოსობის მიღებას უქადაგებენ, უნდა მოიგონონ სიტყვა მეხუთე ფსალმუნიდან: `რამეთუ არა არს პირსა მათსა ჭეშმარიტება, გული მათი ამაო, სამარე ზეაღებულ არს ხორხი მათი, ენითა მათითა ზაკვიდეს, საჯენ იგინი ღმერთო~ (10-11).

მზვაობარს გულის-თქმას, რომელიც ძმათა მოძღვრად დაჯდომას გვაწვევს ვნებათაგან განუწმედელად, მიუგოთ სიტყვა მე-3გ ფსალმუნიდან: `და რამეთუ სირმანცა პოვა თავისა თვისისა სახლი და გვრიტმან ბუდე თვისი სადა დაისხნეს მართვენი თვისნი; საკურთხეველი შენი, უფალო ძალთაო, მეუფეო ჩემო და ღმერთო ჩემო. ნეტარ არიან რომელნი დამკვიდრებულ არიან სახლსა შენსა, უკუნითი უკუნისამდე გაქებდნენ შენ, ნეტარ არს კაცი რომლისა შეწევნა მისი შენგან არს; აღსლვა გულსა თვისსა დაიდვა. ღელესა მას გლოვისასა, ადგილსა მას რომელსაცა აღუთქვა.~ (83,3-6).

მზვაობარს გულის-თქმას, რომელიც გონებას იტაცებს და ზოგჯერ სამეფო ქონების გამგეობასა და მონაზონთა წინამძღვრობას გვირჩევს, უნდა მიუგოთ სიტყვა მე-რიA ფსალმუნიდან: `მისდრეკით ჩემგან, უკეთურნო, და გამოვიძინე მცნებანი ღმრთისა ჩემისანი~ (118,115).

მზვაობარი გულის-თქმა, რომელიც უწესოდ ძმათა განშორებასა და კაცთა-
მოთნობით დაყუდებას გვაწვევენ, უნდა მივუგოთ სიტყვა მე-რმა ფსალმუნიდან:
`გზასა, ამასა რომელსაცა ვიდოდე, დამირწყეს მე მახენ~ (141,4).

მზვაობარ გულის-თქმას, რომელიც გვაიძულებს მრავალს ცუდს საქმესა და მრავლის-
მეტყველებას, რომელიც ბუნებით თანა სდევს მზვაობარს, უნდა მივუგოთ სიტყვა
იგავთაგან: `მრავალ-მეტყველებითა ვერ განერე ცოდვასა, ხოლო ერიდებოდი თუ
ბაგეთა, გონიერ იყო~ (10,19).

როცა გული, ვნებისაგან განთავისუფლებამდე, გვაწვევს წინამძღვართა და ძმათა
მოდღვრებას და მათის სულის ცხოვნებას, უნდა მივუგოთ სიტყვა იგავთაგან: `არიან
გზანი, რომელნი საგონებელ არიან კაცთა-მიერ მართალ (ჰგონიათ სწორე), ხოლო
უკანასკნელი მათი მიიწევს ფსკერსა ჯოჯოხეთისასა~ (14,12).

მზვაობრივ გულის-თქმას, რომელიც გვაწვევს მოძღვრებასა და წერილთა ძალის
თარგმნას, უნდა მივუგოთ სიტყვა იგავთაგან: `რომელი მიუგებდეს სიტყვასა, ვიდრე
სმენადმდე, უგუნურება არს მისსა და საყვედრებელ~ (18,13).

მზვაობრივ გულის-თქმას, რომელიც გვაწვევს ჭაბუკი მონაზონის ჩვენგან შორს
დაჯდომას, უნდა მივუგოთ სიტყვა იგავთაგან: `ჭაბუკი ღირსისა თანა იყავნ და
წრფელ არნ გზანი მისნი, რამეთუ `ძმისა შემწე არს, ვითარცა ქალაქი ძლიერი, და
ძლიერ იყოს, ვითარცა სამეფო მოზღუდვილი~ (18,19).

ვისაც სწადიან ცუდ-დიდებობისათვის რაიმე თავისი საიდუმლო მოღვაწეობა
უთხრას ერის კაცთა, უნდა მიუგოს სიტყვა იგავთაგან: `ყურთა მიმართ უგუნურთასა
ნურას იტყვი. ნუ უკვე შეურაცხევნეს სიტყვანი შენნი გონიერნი~ (23,9).

როცა გული სოფლად გასლვას გვირჩევს მრავალთათვის სასარგებლოდ, უნდა
მივუგოთ სიტყვა იგავთაგან: `მოსპე სლვან ფერხითა და იგავნი პირისაგან
უგუნურისა. ვიხილე კაცი, რომელსა ეგონა თავი მისი ბრძენ, ხოლო სასოება აქვნდა
უგუნურსა მას, ვიდრე მას~ (26.7.12).

როცა ეშმაკი ჩვენზე განსაცდელს აღადგენს, მერმე ცხადად გვეჩვენება და ზვაობას
აღგვიძრავს, უნდა მივუგოთ სიტყვა იგავთაგან: `რაოდენვე გვედრებოდეს მტერი

ქენებით დიდითა ხმითა, ნუ გრწამნ მისი, რამეთუ შვიდნი უკეთურებანი არიან გულსა~ (26,25).

გულის-თქმას, რომელიც გვაიძულებს, ჩვენის შრომა-მოღვაწეობისათვის ქება მივიღოთ, უნდა მივუგოთ სიტყვა იგავთაგან: `შენ უკვე გაქებდინ მოყვასი და ნუ შენ თავსა თვისსა, რამეთუ არიან, რომელნი მდიდრად გამოაჩინებენ თავთა თვისთა და არა რაჲ აქვენ, და არიან რომელთა დაამდაბლიან თავნი თვისნი მრავალსა მას სიმდიდრესა~.(27, 2)

რომელნიც კაცობრივის დიდებას უფრო პატივსა სცემენ, ვიდრე საღმრთო გულის-ხმის-ყოფასა უნდა მოიგონონ სიტყვა ისაია წინასწარმეტყველისაგან: `ყოველი ხორციელი თივა არს და ყოველი დიდება კაცისა, ვითარცა ყვავილი თივისა, განხმა თივა და ყვავილი მისი დასცვივა, ხოლო სიტყვა უფლისა სდგა და ჰგიეს უკუნისამდე~ (40,6-8).

მზვობრივს გულის-თქმას, რომელიც, როცა ვისმე დიდ ხანს ჩარჩება გუნებაში და ჩააგდებს რისხვასა, მწუხარებასა და ამპარტავნების ვნებაში, უნდა მიუგოს სიტყვა იერემიას წინასწარ-მეტყველისა: `განმკურნე მე, უფალო, და განვიკურნო, მაცხოვრე და ვსცხონდე. რამეთუ სიქადული ჩემი შენ ხარ~ (17,14).

ვინც მონაზონის დიდებას სწუნობს და სოფლის დიდება სწადიან, უნდა მიუგოს სიტყვა იერემიასაგან: `ნუ მისცემ სხვასა დიდებასა შენსა, და კეთილსა შენსა ნათესავსა უცხოსა~.

როცა ძილის დროს მონაზონს ეშმაკი ჩააგონებს ცხოვართა დამწყვას და გამოღვიძების შემდეგ მღვდელთ-მთავრობის მიღებას, უნდა მიუგოს სიტყვა იერემიას გოდებიდან: `ნადირთა მომინადირეს მე, ვითარცა სირი მტერთა ჩემთა ცუდად, და მოაკვდინეს მღვიმესა მას შინა ცოხვრებან ჩემი, დამსდვეს ჩემზედა ქვან, გარდაეცა წყალი თავსა ჩემსა და ვსთქუ, განმეგდებულ ვარ~ (3,52-54).

ცუდად-მზვობარის გულის-თქმის შესახებ_2

როცა ეშმაკი მარტო მყოფს მონაზონს ზეცას აღტაცებას ჩააგონებს, რაიცა განიზრახეს რომელიმე ძმათა და ბოროტს ღელვაში დაინთქეს უნდა მოიგონოს სიტყვა

დანიელისაგან: `მართლიად ჰსიტყვე თავისა შორისა, რამეთუ აწ უკვე ანგელოსა ღვთისასა მოუღებეს სასჯელისა განჩინებან და განგაპოს შენ ორად~.

როცა ეშმაკი ჩაგვაგონებს მღვდელთ-მთავრობის ხარისხის საფასით მოსყიდვას, უნდა მივუგოთ სიტყვა საქმეთაგან მოციქულთასა: `ვერცხლი იგი შენთანავე იყავნ წარსაწყმედელად შენდა, რამეთუ ნიჭსა ღვთისასა ჰგონებ შენ ფასითა მოპოვნებად; არ გიცს შენ ნაწილი, არცა სამკვიდრებელი სიტყვასა ამას შინა~ (8,20-21). აგრეთვე პავლეს ეპისტოლედან კორ.მიმართ: `წერილ არს წარვსწყმიდო სიბრძნე იგი ბრძენთა და მეცნიერება მეცნიერთა შეურაცხ-ვპყო, რამეთუ სიბრძნე ამის სოფლისა სიცოფე არს წინაშე ღვთისა~ (1.1,9; 3,19).

მზვაობარს გულის, თქმას, რომელიც ჩვენის შრომისა და მოღვაწეობის ქადაგებას გვირჩევს, უნდა მივუგოთ სიტყვა იმავე ეპისტოლედან: `რომელი იქადოდეს, უფლისა-მიერ იქადოდეს~ (2. კორ. 10,17).

იმ მზვაობარს გულის-თქმას, რომელიც გვირჩევს ვაუწყოთ ჩვენს თვისიანებს, რომ ჩვენის მონაზონური ცხოვრებით უვნებელობა და გულის-ხმის-ყოფა მოგვეცაო, უნდა მივუგოთ სიტყვა პავლეს ეპისტოლედან: გალატ. მიმართ: `აწ კაცთამე ვარწმუნოა, ანუ ღმერთსა? ანუ ვეძიებ მე აწ კაცთ-მოთნებასა? უკეთუმცა კაცთა სათნო ვეყოფოდე, ქრისტეს მონამცა არა ვიყავ~ (1.10).

გულის-თქმას, რომელიც თავის-თავს, დიდად გვაჩვენებს და რომელსაც თავმოყვარეობა ეწოდება, უნდა მივუგოთ სიტყვა იმავე ეპისტოლედან: `უკეთუ ვისმე ეგონოს თავი თვისი რანმე და იგი არა იყოს, აცთუნებს თავსა თვისსა, და საქმენი თვისნი გამოიცადენინ~ (6,3-4).

მზვაობრის გულის-თქმით ცდომილმა, რომელსაც სიმდაბლე არა აქვს, უნდა მოიგონოს სიტყვა იმავე ეპისტოლედან: `ნუ ჰსცთებით, ღმერთი არავისგან შეურაცხ იქმნების, რანცა სთესოს კაცმან, იგიცა მოიმკოს~ (6,7).

როცა გული გვეტყვის, შენის შრომითი და მოღვაწეობით ცხონდებიო, უნდა მივუგოთ პავლეს ეპისტოლედან ეფესელთა მიმართ: `რამეთუ მაღლითა ხართ გამოხსნილ და ესე არა თქვენგან, არამედ ღვთისა ნიჭი არს, არა საქმეთაგან, რათა არავინ იქადოს~ (2,8-9).

მზავობარს გულის-თქმას, რომელიც მეტყვის სხვისა ვისამე ხარკებად მღვდელთ-
მოდღვრებისა პატივსა ჩვენ-მიერ დადგინებად, მივუგოთ სიტყვა პავლეს
ეპისტოლედან ებრაელთა მიმ.: `არავინ თავით თვისით მიიღოს პატივი, არამედ
რომელი წოდებულ არს ღვთისა-მიერ~ (5,4).

იმ მზავობარს გულის-თქმას, რომელიც უვნებლობისა და გულის-ხმის-ყოფამდე
სამოდღვროდ გვაწვევს, უნდა მივუგოთ სიტყვა იაკობის კათოლიკეთაგან: `ნუ
მრავალნი მოძღურით, ძმანო ჩემნო! უწყოდეთ, ვითარმედ უდიდესი სასჯელი
მოიღოთ, რამეთუ ფრიად ვსცდებით ყოველნი. რომელი სიტყვით არა ჰსცდებოდის,
იგი სრული კაცი არს, შემძლებელ არს იგი აღვირ-სხმად ყოვლისავე გულის თქმისა~
(3,1-2).

იმ გულის-თქმას, რომელიც კაცობრივის დიდებისთვის ითხოვს კურნების მადლსა
და დიდს მეცნიერებას, უნდა მივუგოთ სიტყვა კათოლიკეთაგან იაკობისთა:
`ითხოვთ და ვერ მიიღებთ, რამეთუ ბოროტად ითხოვთ, რანთა გულის-თქმათა შინა
თქვენთა განილინეთ~ (4,3).

მზავობარს გულის-თქმას, რომელიც მსურველია სოფლისებთათვის და კაცობრივს
დიდებას ეძიებს, უნდა მივუგოთ სიტყვა იოანეს კათოლიკეთაგან: `ნუ გიყვარს
სოფელი ესე, და ნუცადა რა არიან სოფლისა ამის: უკეთუ ვისმე უყვარდეს სოფელი
ესე, არა არს სიყვარული ღვთისა მისთანა, რამეთუ ყოველივე სოფელსა შინა ესრეთ
არს: გულის-თქმა ხორცთა და გულის-თქმა თვალთა, და სილაღე ამის ცხოვრებისა;
ესე არა არს მამისაგან, არამედ სოფლისაგანი არს და სოფელი ესე წარხდეს და გულის-
თქმა მისი, ხოლო რომელმან ჰყოს ნება ღვთისა, იგი ეგო, უკუნისამდე~ (1.2,15-17).

ამპარტავნებისათვის

ამპარტავნება სიმსივნეა სულისა, წუთხით სავსე. როცა დამწიფდება, გაიპოზა და
დიდს სიმყრალეს ამოუშვებს.

ელვის გამოჩენა ქუხილის მომასწავებელია. ცუდად მზავობარის ვნებაც
ამპარტავნობის გამოჩენის მაუწყებელია.

ამპარტავნის სული დიდს სიმაღლეზე ადის და იქიდგან თავის-თავს წარწყმედის
უფსკრულში აგდებს.

როგორც მაღალის კლდიდან მძიმე რამ რომ მოსქდება და უცებ და მძლავრად ჩაგორდება, ესრედ ამპარტავანიც უცებ დაეცემა, როცა ღმერთს განშორდება.

ვინც ღვთის შეწევნას განეშორება და თავის ძალას მიანდობს სათნოების მოგებას, იმასა სჭირს ბოროტი სნება ამპარტავნებისა.

როგორც დედაზარდლის (აბლაბუდა) ბუდეზე შემხტარი უცებ დაეცემა, ისე დაეცემიან თავიანთს ძალაზე მინდობილნი.

როგორც ნაყოფის სიმრავლე ძირს დასდრეკს ხის რტოებსა, ისე სათნოების სიმრავლე ამდაბლებს კაცის გონებას.

როგორც დამპალი ნაყოფი არაფრად სახმარია, ისე უხმარია ამპარტავანის სათნოება ღვთის წინაშე.

როგორც მაგარი სვეტი სახლის დირეს იმაგრებს, ისე ღვთის შიში შეურყეველ ჰყოფს ღვთის სათნოსა და მდაბალს სულსა.

ნუ მისცემ ამპარტავნებასა შენს სულსა და საშინელს ოცნებას აღარსად იხილავ. ამპარტავანს ღმერთი დასტოვებს და ეშმაკთა სამღერელი შეიქმნება. ამპარტავანი რამე ოცნებით იხილავს მასზედ მოსეულს მრავალ ბოროტ მხეცსა და დღე შიშის გულისთქმით განილევს; ძილის დროს ზედი-ზედ ჰკრთის, მღვიძარეა და შემრწუნდება მფრინველთა აჩრდილისაგან.

ფურცლის შრიალის ხმა განჰკვართავს ამპარტავანს და წყლის ღელვა შეაძრწუნებს მის სულსა. ვინც განაგდება თავის სულს ღვთის შეწევნისაგან, იგი ძრწის ცუდის ოცნებისაგან ამპარტავნებამ ზეციდგან ჩამოჰყარა ანგელოსნი მათის მთავრითა და ელვის მსგავსად ქვეყანაზე ჩამოვარდნენ. სიმდაბლე კი კაცს ზეცას აიყვანს და ანგელოზებთან შეაერთებს.

რისთვის განსცხრები და ზვაობ, კაცო? რად განლაღებულხარ და ღრუბელზე მეტად მალლობ? გულის-ხმა-ჰყავ ბუნება შენი, რომ მიწა ხარ და ნაცარი და მცირე ხნის შემდეგ მტვრად იქცევი.

ეხლა რომ ზვავი და საშინელი ხარ, მალე მატლების საჭმელი შეიქმნები. კაცი დიდია, სანამ მას კაცები ეწევიან, ხოლო თუ დასტოვეს იგი უძლურია ბუნებით და ამაო. არა რა კეთილი არა გვაქვს ისეთი, რომ ღვთისაგან არა გვქონდეს მიღებული. ამისთვის იცანი მომცემელი მისი, მადლობდე და ზვავი და ამპარტავანი ნუ ხარ. ღვთის დაბადებული ხარ და ნუ დაივიწყებ დამბადებელსა. უკეთუ გეწევა ღმერთი, ნუ უარ-ჰყოფ შენს შემწესა. თუ სათნოების მოქალაქობის სიმადლეზედ ხარ ასული, სახიერს უფალს აღუყვანიხარ. თუ სათნოებაში წარგემართა, მისისავე მადლით და შეწევნით. აღიარებდი ქველის მოქმედსა მას, რომ ეგო შეურყევლად სათნოების სიმადლეზედ.

კაცი ხარ უძლური, ბუნებით ეგე წესსა ზედა ბუნებისასა. მეცნიერ იყავ ნათესავისა შენისა, რამეთუ ერთისა ბუნებისანი ხართ, და ნუ უარ-ჰყოფ ამპარტავნებისა გამო თვისებასა ბუნებისასა. თუმცა მოყვასი შენი მდაბალი იყოს და შენ დიდებული, ორივენი ღვთისაგან ხართ დაბადებულნი, ამიტომ უნდოსა და მდაბალსა ნუ შეურაცხ-ჰყოფ, რადგან იგი უფრო მტკიცედა სდგას, ვიდრე შენ და არცა ადრე დაეცემა, ხოლო თუ მაღალი დაეცა, მსწრაფლ შეიმუსრება.

ამპარტავნება შემუსვრილი ეტლია, რომელიც ზედ ავა, ძირს დაეკვეთება და დაილეწება, ხოლო მდაბალი კი მარადის მტკიცე და შეურყეველია, ფერხი ამპარტავანისა და ცოდვილის ხელი ვერ შესძრავს მას. ამპარტავანი მონაზონი უძირო ხეა, იგი ვერ დაუდგება ქარის სიმძაფრესა და მსწრაფლ დაეცემა. გონება მდაბალი, შეზღუდული ქალაქია და იმაში მყოფი უცდომელი და უშიშარი იქნება მპარავთაგან.

მდაბალი სიტყვა წამალია სულისა, ხოლო ამპარტავანის ზრახვა სავსეა სილაღითა, მდაბალის ლოცვას შეისმენს უფალი, ხოლო ამპარტავანის ლოცვა კი ვერ მიაღწევს უფლის წინაშე.

როგორც პატიოსანი თვალნი შვენიერი და განრჩვნილი (შემკული) ოქროითა, ისე ბრწყინავს მდაბალი სული სათნოების სამკაულითა. როცა სათნოების სიმადლეს მიაღწევ, მაშინ შენთვის საჭიროა დიდი კრძალულება. რომელიც დაეცემა ქვეყანაზე, ადვილად აღდგება, ხოლო რომელიც სიმადლიდგან ჩამოვარდება, სასიკვდინედ დაეცემა და შეიმუსრება.

კვერთხი სწავლის სახეა, ვისაც იგი ჰქონდეს, ამ საწუთო ცხოვრების იორდანეში განვალს. როგორც მოგზაურისათვის ყოველთვის საჭიროა ჯობი, ისე სიმდაბლე მოღვაწისა კეთილად წარმართებს ცხოვრებასა მისსა.

სიტყვის მიგება ამპარტავნების გულის-თქმისა

იმ ამპარტავნულს გულის-თქმას, რომელიც ძმას შეურაცხყოფს: უდებია და მოსწრაფე არ არისო, უნდა მივუგოთ სიტყვა სახარებისა: `რანსა ხედავ წველსა თვალსა შინა ძმისა შენისასა და დვირესა თვალსა შინა შენსა არა განიცდი~ (მათ. 7.3).

ამპარტავნების გულის-თქმით შეურვებულმა, უნდა მიუგოს სიტყვა მათეს სახარებიდან: `ესე ნათესავი ვერა რათ შესაძლებელ არს განსლვად, გარნა ლოცვითა და მარხვითა~ (17,21).

იმ ამპარტავნულ გულის-თქმას, რომელსაც თავი სხვაზე პირველად და უფროსად მიაჩნია, უნდა მიუგოს სიტყვა მარკოზის სახარებიდან: `რომელსა უნდეს თქვენს შროის დიდ ყოფად, იყოს იგი ყოველთა მსახურ, და რომელსა უნდეს პირველ ყოფად, იყოს იგი ყოველთა მონა~(9,35).

გონება-მაღალსა და ამპარტავანს, სიტყვა ლუკას სახარებიდან: `და ეტყოდა მათ უფალი: თქვენ ხართ, რომელნი განიმართლებთ თავთა თქვენთა წინაშე კაცთა, ხოლო ღმერთმან იცნის გულნი თქვენნი: რამეთუ კაცთა შორის მაღალი საძაგელ არს წინაშე ღვთისა~ (16,15).

იმ ამპარტავნულ გულის-თქმას, რომელიც გვაგონებს ღვთის მცნებაზე მეტი აღასრულებო, უნდა მივუგოთ სიტყვა ლუკას სახარებიდან: `ოდეს ჰყოთ ბრძანებული თქვენი, ჰსთქუთ, ვითარმედ მონანი ვართ უხმარნი, რომელი თანა გვედვა ყოფად ვჰყავთ~ (17,10), და კვალად იტყვის: `ყოველმან, რომელმან აღიმალლოს თავი თვისი დამდაბლდეს, და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს~ (18,14).

ამპარტავნულს გულის-თქმას, რომლითაც ეშმაკი ჩაგვაგონებს: წმიდა ვარო, უნდა მივუგოთ სიტყვა დაბადებიდან: `წყულ იყავნ შენ ყოველთა შორის პირუტყვთა და ყოველთა მხეცთა ქვეყანისათა, გვერდითა და მუცლითა შენითა ხვიდოდე, მიწასა ჰსჭამდე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა~ (შექმ. 3,14).

ვინც გონებას აღიმალლებს და თავს წმიდად შერაცხავს იმიტომ, რომ არა წმიდა გულის-თქმა აღარ ებრძვის, უნდა მიუგოს სიტყვა დაბადებიდან: `აწ ვიწყე სიტყვად უფლისა მიმართ, რამეთუ მე ვარ მიწა და ნაცარ~ (იქვე 18,27).

იმ ამპარტავნულს გულის-თქმას, რომელიც გმობს და უარ-ჰყოფს თავისს გამომზრდელს უფალსა და სწუნობს მისგან მოვლენილს შემწე ანგელოზს, უნდა მიუგოთ სიტყვა დაბადებიდან: `ღმერთმან, რომელმან გამომზარდა მე სიყრმით ჩემითგანვე დღეინდელად დღემდე, ანგელოზმან, რომელმან მიხსნა მე ყოვლისაგან ბოროტისა~ (48, 15-16).

ამპარტავნულს გულის-თქმას, რომელიც ღვთის შეწევნას უარს ჰყოფს, უნდა მიუგოთ სიტყვა გამოსლვათაგან: `უგალობდეთ უფალსა, რამეთუ დიდებით დიდებულ არს; ცხენები და მხედრები შთასთხია ზღვასა, შემწე და მფარველ მეყავნ მე მხსნელად~ (15,1-2).

ქება უფლისა მიმართ გულის სიტყვისა მისთვის ამპარტავანისა, რომელ დამაკვირვებენ დიდითა ძალითა, შეიმუსრა ეშმაკი იგი მწუხარებისა, უნდა მიუგოთ სიტყვა გამოსლვათაგან: `მარჯვენემან ხელმან შენმან მოსრნა მტერნი და სიმრავლითა მით დიდებისა შენისათა შემუსრენ მხდომნი იგი შენნი~ (15,6-7).

იმ ამპარტავნულს გულის-თქმას, რომელიც გვაიძულებს ანგელოზის დაწუნებას და გვეტყვის: ანგელოზს არა აქვს უფლება დაგვსაჯოს, თუნდა ვსცოდოთ კიდევცაო, რასაც ეშმაკი იმიტომ ჩაუნერგავს კაცს, რომ თუ ეს ფიქრი შეითვისა, ღვთისაგან დატოვებულ იქნება და ჩვენ მოგვეცემაო, უნდა მიუგოთ სიტყვა გამოსლვათაგან: `აჰა ესე რა წარმოვავლინო ანგელოზი ჩემი მზღვრად. შენდა და დაგიცვას შენ გზასა შენსა და შეგიყვანოს ქვეყანასა მას, რომელი განგიზარდა შენ; ეკრძაღე თავსა შენსა~ (23,20-21).

ამპარტავნულს გულის-თქმას, რომელიც წმიდა ბერებს სწუნობს და გვეუბნება, ჩვენზე მეტი რა უშრომნიათ და უმოღვაწნიათო, უნდა მიუგოთ სიტყვა ლევიტელთა წიგნიდან: `წინაშე პირსა მხცოვანისასა ზე აღუდეგ, და პატივ-ჰსცე პირსა მოხუცებულისასა, და გეშინოდენ ღვთისა ცხოველისა, მე ვარ უფალი ღმერთი შენი~ (19,32).

ვინც არ იცის გულის-ხმის-ყოფის სიკეთე, ეშმაკის ჩაგონებულს გულის-თქმას ირწმუნებს და ქრისტეს მოცემული გულის-ხმის-ყოფა ეძაგება, მან უნდა მოიგონოს სიტყვა წიგნისაგან რიცხვთა: `ხოლო ისუ ძემან ნავესმან ქალებ, ძემან იეფონისმან, რომელთა განემსტურო (დაეზვერათ) ქვეყანან იგი, დაიპეს სამოსელი მათი და ეტყოდეს ყოველსა მას კრებულსა ძეთა ისრაილისათა და ჰრქვეს: ქვეყანან იგი, რომელ განვიხილეთ, კეთილ არს დიდ ფრიად; უკეთუ სათნო უჩნდეთ ჩვენ უფალსა, შეგვიყვანნეს ჩვენ მას შინა და მოგვცეს ჩვენ იგი, რომელი იგი არს გამომადინებელი სძისა და თაფლისა, არამედ უფლისაგან ნუ განდგომილ იქნებით~ (14,6-9).

ვინც ამპარტავნობით იფიქრებს, ჩემის ძალით დავსძლიე მოღვაწეობის წინააღმდეგს ეშმაკსაო, უნდა მოიგონოს სიტყვა მეორე სჯულისაგან: `ნუ იტყვი გულსა შენსა, ვითარმედ ძლიერებითა ჩემითა და სიმტკიცითა მკლავისა ჩემისათა ვჰყავ ძალი ესე, არამედ მოიხსენე შენ უფალი ღმერთი შენი, რომელმან მოგცეს შენ ძალი და ძლიერება~ (8,17-18).

ვისაცა ჰგონია თვისის სიმართლით სძლია მტერსა და ქრისტეს მეცნიერება შეითვისა, უნდა მოიგონოს სიტყვა მეორე სჯულისაგან: `ნუ იტყვი გულსა შენსა: რაჟამს მოსრნეს უფალმან ღმერთმან შენმან წარმართნი იგი პირისაგან შენისა, ნუ იტყვი ვითარმედ სიმართლისაგან ჩემისა, შემომიყვანა მე უფალმან დამკვიდრებად ქვეყანასა მას, არამედ უკეთურებისათვის წარმართთა მათ მოსრნა იგინი უფალმან პირისაგან შენისა, და არა თუ სიმართლისა შენისა შეხველ შენ დამკვიდრებად ქვეყანისა მის მათისა, არამედ უკეთურებისათვის წარმართთასა მოსრნეს იგინი უფალმან შენმან პირისაგან შენისა~ (9,4-5).

როცა ეშმაკი ჩაგვაგონებს: `მე მაქებენ კაცნი და მე ვარ მშობელი ქვეყნის ბრძენთაო, უნდა მივუგოთ სიტყვა მეორე სჯულისაგან: `წყეულ იყავნ შენ ქალაქთა შინა და წყეულ იყავ ველთა გარე, წყეულ იყავნ საუნჯენი შენნი და მონაგებნი შენნი, წყეულ იყავნ ნაშობნი მუცლისა შენისანი და ნაყოფნი მუცლისა შენისანი~ (28, 16-18).

როცა გული გვეტყვის, არც განკითხვა და არც სასჯელი არ არისო, უნდა მივუგოთ სიტყვა მეორე სჯულისაგან: `აჰა ესე რა დავსდებ მე წინაშე შენსა ცხოვრებასა და სიკვდილსა კეთილსა და ბოროტსა, კურთხევასა და წყევასა. გამოირჩიე შენ ცხოვრებან, შეიტკბე კეთილი, გამოირჩიე შენ კურთხევან, რათა ჰსცხონდე, რამეთუ თვით მფლობელ ჰყო ღმერთმან კაცი~ (30, 15-19), ხოლო განკითხვა და სასჯელი რომ იქნება, ამისთვის ისმინე დავითისი, რომელი იტყვის: `ღმერთი ცხადად მოვიდეს, ღმერთი ჩვენი არა დასდუმნეს, ცეცხლი მის წინაშე აღატყდეს და გარემოს მისა ნიაგ-ქარი ფრიად; მოუწოდოს ცასა ზესკნელსა და ქვეყანას განკითხვად ერისა თვისისა და შეკრებად წმიდათა მისთა; უთხრობენ ცანი სიმართლესა მისსა, რამეთუ ღმერთი მსაჯულ არს~ (ფს. 49,3-6); და კვალად იტყვის: `სიმართლით და განგებულებით

ამაღლებულ არს საყდარი მისი, ცეცხლი მის წინაშე ვიდოდეს და შესწუვნეს გარემოს მისსა მტერნი მისნი~ (ფს. 96,2-3). ეგრეთვე ყოველნი წინასწარ-მეტყველნი ამასვე ქადაგებენ, მოციქულნიც გვასწავლიან და თვით უფალიც ბრძანებს: `ვითარმედ მოვიდეს ძე კაცისა დიდებისა მამისათა, და ყოველნი ანგელოსნი მისნი მისთანა; მაშინ დასჯდეს საყდარსა დიდებისა თვისისათა და შეკრბენ მისა ნათესავნი და განარჩინეს იგინი ურთიერთარს, ვითარცა იგი მწყემსმან რა განარჩინის ცხოვარნი თიკანთაგან და დაადგინის ცხოვარნი მარჯვენით მისსა და თიკანნი მარცხენით~ (მათ. 25,31-33).